

გიორგი შალამბერიძე

ქართული ენის
პრაქტიკული
სტილისტიკა

განათლება
1974

სტილისტიკის საგანი

ტერმინ „სტილისტიკის“ ძირია ბერძნული სიტყვა „სტილოს“. რაც წვეტიან ჯოხს აღნიშნავდა. ამ ჯოხით ძველი ბერძნები და რომაელები წერდნენ ხის ფირფიტებზე, რომელთა ცალი მხარე გასანთლული იყო. ანტიკურ ხანაში ზოგჯერ ასეთ ხელსაწყოთა ძვლის ან ლითონისაგან ამზადებდნენ. მისი მეორე ბოლო ბრტყელი ან სფეროსებრი იყო, რითაც შლიდნენ ერთხელ დაწერილს. ამ ხელსაწყოთა სახელწოდებისაგან გაჩნდა ტერმინი „სტილი“, რომელმაც შემდეგ სხვადასხვა მნიშვნელოვან მიიღო. ცნობილია, მაგალითად, რომ ხელოვნებაში სტილი აღნიშნავს ამა თუ იმ ეპოქის, ერის, მიმართულების ან შემოქმედების დამახასიათებელი გამომსახველობით ხერხების, მხატვრული თავისებურებების ერთობლიობას. სამ ტერმინს ხმარობენ ამა თუ იმ მწერლის, ლიტერატურული მიმართულების დამახასიათებელ ინდივიდუალურ ენობრივ თავისებურებათა აღსანიშნავადაც და სხვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ენათმეცნიერებაში ჩნდება ტერმინი „სტილისტიკა“. ამგვარად, მანამდე არსებულ სტილისტიკას, როგორც პოეტურ ერთ-ერთ დარგს, გვერდით ამოუდგა სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგი.

პოეტუკური სტილისტიკა სხვაა და ენათმეცნიერული სტილისტიკა -- სხვა.

პროფესორ არნოლდ ჩიქობავას განსაზღვრით, „პოეტუკური სტილისტიკა შეისწავლის მხატვრული ნაწარმოების ენას, როგორც მხატვრული შინაარსის გამოვლენების საშუალებას; მისი საგანია პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქცია.“

სტილისტიკა ენათმეცნიერული გაგებით განიხილავს არაპოეტურ მეტყველებას, ყოველდღიურ სასაუბრო თუ მეცნიერულ ნაწარმოებთა ენას, რამდენადაც ეს ენა სათანადო შინაარსის გამოხატულებას საშუალებას. პოეტური ენა მას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც პოეტუკური სემანტიკისა (აემპაიოლოგიისა) და სინტაქსის პროცესები საერთო სემანტიკისა და სინტაქსის კანონზომიერებათა თავსებურ გამოვლენას წარმოადგენენ“ („ენათმეცნიერებასა შესავალი“. თბილისი, 1952, გვ. 313).

სტილისტიკა, როგორც ენათმეცნიერების დარგის საგანი. ამა

თუ იმ ენის ექსპრესიული, ე. ი. განომხატველობითი შესაძლებლობანია. რა ურთიერთობაშია ერთმანეთთან გადმოსაცემი შინაარსი და გადმომცემი ენობრივი საშუალებანი, ე. ი. სათქმელი და თქმული, — ეს არის სტილისტიკის ძირითადი პრობლემა. ასე რომ, „სტილისტიკა შეიწავლის ენობრივ საშუალებებს მათა მიმართებაში გადმოსაცემ შინაარსთან“ (არნ. ჩიქობავა).

ნათქვამი რომ უფრო გასაგები იყოს, განვიხილოთ ასეთა წინადადება: „ჩვენი სკოლის ეზო კარგად არის კეთილმოწყობილი“. წინადადება გრამატიკულად უნაკლოა. მასში ვერც ორთოგრაფიულ შეცდომას ვიპოვით, ვერც მორფოლოგიურს და ვერც სინტაქსურს, მაგრამ სტილის თვალსაზრისით უვარგისია. „კარგად არის კეთილმოწყობილი“, რომ ვამბობთ, სწორედ ეს არის სტილისტიკურად გაუმართავი გამოთქმა. „კეთილმოწყობა“ თვითონ ნიშნავს „კარგად მოწყობას“, „ცუდად რისამე კეთილმოწყობა“ არ შეიძლება. მაშასადამე, ამ წინადადებაში შეუსაბამობაა ენობრივ საშუალებებსა (ე. ი. სიტყვებსა) და გადმოსაცემ შინაარსს შორის. სკოლის ეზო არ შეიძლება ან კარგად, ან ცუდად იყოს კეთილმოწყობილი; იგი შეიძლება ან იყოს კეთილმოწყობილი, ან არ იყოს. თუ ეზო კეთილმოწყობილია, მაშინ უნდა ვთქვათ: „ჩვენი სკოლის ეზო კეთილმოწყობილია“. ხოლო თუ კეთილმოწყობილი არ არის, მაშინ ასე: „ჩვენი სკოლის ეზო კეთილმოწყობელია“ (ან „არ არის კეთილმოწყობილი“).

როგორც ჩანს, პირველ ვარიანტში სიტყვათა შეხამება („კარგად არის კეთილმოწყობილი“) სტილის თვალსაზრისით მიუღებელია.

ახლა სხვა მავალითი განვიხილოთ: „ფერმის გამგის დაუდევრობის წყალობით პირუტყვს ზამთარში საკვები შემოაკლდა“. გრამატიკულად ეს წინადადებაც სწორია, მაგრამ სტილის თვალსაზრისით — გაუმართავი. პირუტყვს რომ ზამთარში საკვები შემოაკლდა, ეს „წყალობა“ არ არის. „წყალობითო“ მაშინ იტყვიან, როცა რაიმე სიკეთეზე ლაპარაკობენ. რაკი ასეა, მაშასადამე, ამ წინადადებაში „წყალობით“ სიტყვა არადანიშნულებისამებრ არის ნახმარი, ამიტომ რაღაც სხვა სიტყვით უნდა შეიცვალოს. მართლაც, მის ნაცვლად შეიძლება ვიხმაროთ სიტყვები: გამო, შედეგად: „ფერმის გამგის დაუდევრობის გამო (ან დაუდევრობის შედეგად) პირუტყვს ზამთარში საკვები შემოაკლდა“. ახლა ყველაფერი რიგზეა. სტილის თვალსაზრისით ამ წინადადებას დასაწუნი არაფერი აქვს. საკვების დაკლების მიზეზის გამოხატველი სიტყვა სწორად არ იყო შერჩეული და ეს სტილური შეცდომა გასწორდა. ამგვარად, ზემოთ განხილული წინადადებების სტილური თვალსაზრისით უვარგისობის მიზეზი ის იყო, რომ ენობრივი საშუალებები არ შეესაბამებოდა გადმოსაცემ შინაარსს.

სტილისტიკის მიმართება გრამატიკასა და ენათ- მეცნიერების სხვა დარგებთან

სტილისტიკა მკიდრო კავშირშია ენათმეცნიერების სხვა დარგებთან, კერძოდ, გრამატიკასთან (ნორფოლოგასა და სინტაქსთან), ლექსიკოლოგიასთან.

— ზორფოლოგიიდან ვიცით, რომ ქართულში ზმნისწინები გაუმარტივებელი სახითაც იხმარება და გამარტივებული სახითაც. მაგალითად, აღ ზმნისწინიანი ფორმაა „აღღა“ ზმნა, მაგრამ იგივე ზმნისწინი გამარტივებულია „აღგა“ ფორმაში. ამის გამო გვაქვს პარალელური ფორმები „აღღა“ და „აღგა“. თითოეულ მათგანს თავისი სტილური ელფერი აქვს. წინადადებაში — „დიდი სამაშულო ომის დროს მთელი საბჭოთა ხალხი აღგა საძულველი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად“ — „აღგა“ ზმნა არ გამოდგება, მის ნაცვლად „აღღა“ უნდა ვიხმაროთ, მას მეტი ემოციური ძალა აქვს. მაგრამ ასევე სტილურად გაუქართავი წინადადებაა „მოწაფე აღღგა მერხიდან და დაფრთხვენ წავიდა“. ამ წინადადებაში, ცხადია, „აღგა“ ზმნა უნდა გამოვიყენოთ.

თუ ამ ორი ზმნის საწყისებს შევადარებთ ერთმანეთს, განსხვავება უფრო თვალაჩინო იქნება: „აღღგომა“ სხვაა და „აღღგომა“ — სხვა. აქ უკვე აღ ზმნისწინის გაუმარტივებელი და გამარტივებული ფორმები სიტყვების მნიშვნელობის განსაზღვრებლად არის გამოყენებული, რინი სემანტიკურ ფუნქციას ასრულებენ.

სხვა მაგალითი განვიხილოთ. მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ქართულში ვხ სუფიქსის პარალელურად ნ და თ სუფიქსებიც გამოიყენება (კაცები — კაცნი. კაცებმა, კაცებს, კაცების — კაცთა; ქალებო — კაცნო). წინაარსობრივად ერთი და იგივე აზრია გამოხატული წინადადებაში: „დაიწყო მსოფლიოს უძლიერეს მოქადრაკეთა ჰურნირი“ და „დაიწყო მსოფლიოს უძლიერესი მოქადრაკეების ჰურნირი“. ოღონდ პირველ წინადადებაში „მოქადრაკეების“ ნების სრავლობითშია, მეორე წინადადებაში — თანაან მრავლობითში. ფუნქციურად ტოლფასოვანი აფიქსები ერთი და იმავე შინაარსის დადგენასაცემად არის გამოყენებული, მაგრამ მათ წორის სტილური განსხვავება მაინც არის. გრამატიკულად ორივე ფორმა („მოქადრა-

კეთა“ და „მოქადრაკეების“) სწორია, მაგრამ სტილური თვალსაზრისით პირველი სჯობს, რადგან უფრო სხარტი და მოქნილია: ერთი მარცვალის (თა) გამოხატავს იმას, რის აღსანიშნავადაც მეორე სიტყვაში გამოყენებულია ორი მარცვალის (-ებ-ის).

ამგვარად, ერთი და იმავე ფუნქციის მქონე მორფოლოგიურ საშუალებებს შეიძლება სხვადასხვა სტილური ღირებულება ჰქონდეს. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხებით, ამჯერად კი დავიმახლოვროთ, რომ სტილისტიკას მორფოლოგიასთან მკიდრო კავშირი აქვს; მორფოლოგიის ცოდნა გვეხმარება აზრის მკაფიოდ, ცხადად და მეტი ემოციური ელფერიტ ჩამოყალიბებაში.

სინტაქსი შეისწავლის წინადადებებზე სიტყვების შეკავშირების წესებს. წინადადება სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს; ჩვენ ვიცნობთ მარტივ წინადადებას და მის სახეებს — სრულსა და უსრულს, გაუვრცობელსა და გავრცობილს, შერწყმულ წინადადებასა და მის სახეებს — ქვემდებარეების მიხედვით შერწყმულს, შემასმენლების, ღამატებების, გარემოებათა მიხედვით შერწყმულს და სხვა. ცნობილია აგრეთვე რთული წინადადება და მისი სახეები — თანწყობილი და ქვეწყობილი. მაგრამ რა ტიპის წინადადება როდის გამოვიყენოთ? ეს უკვე სტილისტს საქმეა. რა სჯობს: „დღეს ქუჩაში შემხვდა ქალაქიდან ჩამოსული ამხანაგი“ თუ „დღეს ქუჩაში შემხვდა ამხანაგი, რომელიც ქალაქიდან ჩამოვიდა“ ან „დღეს ქუჩაში შემხვდა ამხანაგი, ქალაქიდან ჩამოსული“? გრამატიკულად სამივე წინადადება სწორია, მაგრამ რომელი ავირჩიოთ? ეს უკვე მთქმელის ინდივიდუალური სტილისტის საქმეა, მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, თუმცა ერთი რამ მაინც აშკარაა: პირველი წინადადება ჩვეულებრივი სააუბრო მეტყველების ნიმუშია, მეორეს წიგნური ელფერი დაჰკრავს, მესამეში კი მსაზღვრელ-საზღვრული სიტყვები (ამხანაგი, ქალაქიდან ჩამოსული) ისეა დალაგებული, რომ ძველი ქართულიებურ წყობას მოგვაგონებს. ამ მომენტებზე ანგარიში უნდა გაეწიოს დასახელებულ წინადადებათაგან ერთ-ერთს ამორჩევისას.

სინტაქსის ცოდნა აგრეთვე გვეხმარება აზრის გამოსახატავად შუბაფერისი ფორმის შერჩევაში, სტილისტიკის საკითხების გადაწყვეტაში.

სტილისტიკისათვის ასევე ძვირფასია ლექსიკოლოგიის მონაცემები. შეიძლება წინადადებაში სიტყვები სინტაქსურად სწორად იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ სტილი არ ვარგოდეს. მაგალითად. სინტაქსურად სავსებით სწორი წინადადებაა „თამაზმა ქიში მისცა ოთარს“, მაგრამ სტილურად უვარგისია, რადგან

ქიშს კი არ აძლევენ, არამედ უცხადებენ. ან კიდევ, „მოკიდავეთა შე-
 ჯიბრებაში პირველი გამარჯვება იწვინა ჩვენი რესპუბლიკის წარმო-
 მადგენელმა“. მართლაც, „იწვინა“ „იგემასაც“ ნიშნავს, მაგრამ მისი
 ხმარება რაიმე უარყოფითი განცდის მიღებასთან არის დაკავშირე-
 ბული. მაშასადამე, „გამარჯვების წვენეა“ არ შეიძლება, გამარჯვება
 შეიძლება მოიპოვო, შეიძლება მას მიაღწიო და სხვ. ასე რომ, ამ
 წინადადებაში „იწვინა“ ზმნის ნაცვლად უნდა გვებმარა „მოიპოვა“,
 „მიაღწია“, პირველი გამარჯვება მოიპოვა... ან პირველ გამარჯვებას
 მიაღწია... ხოლო თუ მოკიდავის დამარცხებაზე ვილაპარაკებდით, მა-
 შინ შეიძლებოდა გვეთქვა: პირველი დამარცხება იწვინა... ან განიცა-
 და. რატომ? იმიტომ, რომ ენაში არ შეიძლება რაგინდარა სიტყვის რა-
 გინდარა სიტყვასთან დაკავშირება. აქ ანგარიში ეწევა სიტყვათა და
 გამოთქმათა მნიშვნელობას, რაც ლექსიკოლოგიის საგანია. ეს საკი-
 თხი სტილისტიკისათვის არსებითი მნიშვნელობისაა.

პროფ. არნოლდ ჩიქობავას თავის წიგნში, რომელსაც „ენათ-
 მეცნიერების შესავალი“ ეწოდება, მოჰყავს ასეთი მაგალითი: „და-
 ვითმა შეურაცხყოფა გაუყეთა ძმდღს“. სიტყვათა დაკავშირების წე-
 სები დაცულია, სინტაქსური მხარე უნაკლოა, სტილის თვალსაზრი-
 სით — აუტანელია: „შეურაცხყოფა“ და „გაუყეთა“ მნიშვნელობის
 მიხედვით ქართულში ერთმანეთს სრულებით არ შეეფერება; შე-
 სიტყვებაში „შეურაცხყოფა გაუყეთა“ სიტყვები ფორმით ერთმა-
 ნეთს შეეფერება, მნიშვნელობით — არა! ქართულია: „შეურაცხყო-
 ფა მიაყენა“... (გვ. 289). გაუყეთა სახლი, საქმე, სათამაშო და სხვ.,
 მაგრამ შეურაცხყოფის გაკეთება არ შეიძლება. წინადადება სტი-
 ლურად უვარგისი აღმოჩნდა იმიტომ, რომ სიტყვის მნიშვნელობა
 და გამოყენების არე არ იყო გათვალისწინებული. სტილური შეც-
 დომები რომ არ დავუშვათ, საჭიროა ვნის ლექსიკაც ვიცოდეთ და
 შეგვეძლოს იქიდან იმ სიტყვების ამორჩევა, რომლებიც მაქსიმალ-
 ლური სიზუსტით, მკაფიოდ და ცხადად გამოხატავენ გადმოცემ
 აზრს.

ოგიეპტური და ინდივიდუალური (სუბიექტური) სტილი .

გადმოცემი შინაარსისათვის ისეთი ენობრივი საშუალებები
 უნდა შეირჩეს, რომლებიც ერთმანეთისათვის შესაფერია, ამასთან
 ერთად აზრი უნდა გადმოიცეს მკაფიოდ, ცხადად, მარტივად,
 ენობრივ საშუალებათა გამოყენებისას უნდა დავიცვათ ხალხურ-
 ტურთა ენის ნორმები. ეს წესები სავალდებულოა ყველაათვის,
 ვინც უნდა იყოს იგი. ერთი და იგივე აზრი, შინაარსი შეიძლება
 ნაირ-ნაირი ფორმით გადმოიცეს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეს

ფორმები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: სიტყვები სწორად იყოს შერჩეული; მკითხველს (ან მამენელს) წინადადების აზრი და წინადადებაში გამოყენებული სიტყვების მნიშვნელობა სწორედ ისე ესმოდეს, როგორც მწერალს (მთქმელს, მოუწარს) ესმის; წინადადებები გამართული იყოს სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით; ამ უკანასკნელ მოთხოვნასთან მჭიდრო კავშირშია ენის სიწმინდის საკითხი.

ზემოჩამოთვლილი მოთხოვნების დაცვას სტილისტიკური მინიმუმის სახელით უწოდებენ. ~~ობიექტური სტილი სწორედ სტილისტიკური მინიმუმის დაცვას უწოდებენ.~~ ობიექტური სტილი სწორედ სტილისტიკური მინიმუმის დაცვას უწოდებენ. ის წესები, ნორმები, როგორც დაცვა ყველასათვის სავალდებულოა, ობიექტური სტილის შინაარსს ქმნის. ამგვარად, ობიექტური სტილი სტილისტიკური მინიმუმის ფარგლებშია მოქცეული.

აქ უკვე დგება სტილისტიკური ნორმის საკითხი. ნორმის ცნებას დიდი მნიშვნელობა აქვს სალიტერატურო ენისათვის. რა სტილისტიკური ნორმები უნდა იყოს დაცული ენაში ან რა უნდა მივიჩნიოთ ახალ ნორმად? რუსი ენათმეცნიერი ს. ოქეგოვი ნორმად მიიჩნევს „საზოგადოების მომსახურებისათვის ყველაზე ხელაყრელ („სწორ“, „უპირატესობის“ შქონე“) ენობრივ-საშუალებათა ერთობლიობას“.

სტილისტიკური მინიმუმის, სტილისტიკური ნორმების საკითხებს შეესაბამება პრაქტიკული სტილისტიკა; ასე რომ, პრაქტიკული სტილისტიკის საგანი ობიექტური სტილის საკითხებს მოიცავს.

ზემოთ განვიხილეთ სტილურად გაუმართავი წინადადებების რამდენიმე მაგალითი. პროფ. არნოლდ ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალში“ სტილისტიკური მინიმუმის დარღვევის ნიმუშებად ასეთი წინადადებები აქვს დასახელებული: „პალიასტომის ტბის“ მთავარი აქტიორია ივანე“. სიტყვა „აქტიორი“ აქ უადგილოა: იგი არ შეეფერება თავისი მნიშვნელობით „ივანეს“. ივანე მოთხრობის მოქმედი პირია, აქტიორი კი „სცენაზე მოქმედ პირს“ ნიშნავს...

მეორე მაგალითი: „მამა და შვილი შთანთქა აღელვებულმა ტალღებმა“; „აღელვებული“ შეიძლება იყოს ზღვა, ტბა... და არა ტალღა, ტალღა ღელვებს შედეგად; ამიტომ ზერ ვიტყვით „აღელვებულიაო“. აქ მსაზღვრელი და საზღვრული ერთმანეთს არ შეეფერება მნიშვნელობის მიხედვით.

მესამე მაგალითი: „გამგეობამ განახორციელა მთელი რიგი ნაბიჯები“; განახორცილება შეიძლება მიზნისა „ნაბიჯებზე“ ითქმის „გადადგაო“. აქაც ორი სიტყვა მნიშვნელობის მიხედვით ერთმანეთს არ ეგუება.

ზემოგანხილულ მაგალითებში დარღვეულია სტილისტიკური მინიმუმი, სტილისტიკური ნორმა.

1 სტილისტიკური მინიმუმის დარღვევა შეიძლება სხვა ენობრივ მოვლენებშიც გამოვლინდეს, კერძოდ, დარღვეული იყოს კავშირების, თანდებულების, ნაწილაკების გამოყენების წესები, გათვალისწინებული არ იყოს ბრუნვათა ფუნქციები, დაცული არ იყოს ქვემდებარისა და შემამბენლის რიცხვში შეთანხმების წესები, არეული იყოს სიტყვათა წყობა წინადადებაში, სწორად არ იყოს აგებული რთული წინადადება და სხვ.

ყველა ამ საკითხის მოგვარება პრაქტიკული სტილისტიკის საქმეა.

სუბიექტური სტილი ობიექტური სტილის ფარგლებს სცილდება. ერთი და იგივე შინაარსი შეიძლება სხვადასხვაინაირად გადმოიცეს, სხვადასხვა თვალსაზრისით დახასიათდეს, ამასთან ერთად გამოვლინდეს (ან არ გამოვლინდეს) მისდამი-მეტყველის (მწერლის, მოუბრის) დამოკიდებულება. თითოეულმა ამ დახასიათებამ შეიძლება მკითხველისათვის მსმენელს სხვადასხვანაირი ემოცია გამოიწვიოს. საქმე ის არის, თუ მეტყველი ენის უამრავი გამოხატულებითი შესაძლებლობიდან რომელს აირჩევს. მა თუ იმ ფაქტის ან მოვლენის გადმოსაცემად. მაგრამ რომელი შესაძლებლობაც უნდა აირჩიოს მეტყველმა, ის მაინც ვალდებულია დაიცვას ობიექტური სტილის ნორმები.

იმის გამო, რომ ენის გამომსახველობით შესაძლებლობათა არჩევა ინდივიდების (მწერლის, მოუბრის) საქმეა, მათი სტილი ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ნათქვამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. ვნახოთ, როგორ აღწერს დაღამების სურათს სხვადასხვა მწერალი.

„ხევისბერ გოჩაში“ აღექსანდრე ყაზბეგი წერს:

„ბინდუნდი იყო: დღე წყნარად ქრებოდა. მზის უკანასკნელი შუქები სევდიანად ესალმებოდნენ მთის წვერებს. გააულისებელი ნისლი უშიშრად ამოდოდა. დედამიწიდან და ოხშივარსავეთ ეფინებოდა მწვანე მინდორს“.

ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ დაღამებას ასე აგვიწერს.

„დაღამდა. მიწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მიწყდა ადამიანის მორკმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილს ზრუნვისა და წადილის გუგუნე, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარ სჩანს ჩემს გარშემო“.

ეგნატე ნანოშვილსაც აქვს აღწერილი საღამოს მზის ჩასვლის სურათი:

„სექტემბრის მზე ჩაგორდა დასავლეთის კუთხეში, მაგრამ მისი ფართო კვალი ჭერ კიდევ აჩნდა ოქროსფრად მოწმენდილ ცის კუთხეს. ჰაერი, რომელიც მთელი ის დღე საშინლად გაცხელებული იყო, მზის ჩასვლისთანავე გაგრილდა“.

ახლა პოეზიის ნიმუშებსაც დავაკვირდეთ. გრიგოლ ორბელიანი ფერებს არ იშურებს დაბინდების სურათის გადმოსაცემად:

„მზე ჩაესვენა: მზის შუქი გამოსალმის ქაშს
კავკასსა

თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას
მობუცსა!

ბუმბერაზ მთანი, მღუმარედ ცათამდის
აყუდებულნი,

ჰსხედან, ვით დევნი, ჰპეტაქის ყინულ
გვირგვინით შემკულნი“

(„სალამო გამოსალმებისა“).

ილია ჭავჭავაძე დინჯად მოგვითხრობს, თუ როგორ მოეფინა ზინდი სამშობლოს ცას. ნაირ-ნაირი შედარებებით პოეტი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ემოცია გამოიწვიოს მკითხველში:

„სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი

მწუხრის ზეწარი გადაეფარა

და მთვარის შუქზე მთებისა ჩრდილი

ალაზნის ველზე წამოიხარა.

ლამის გუშაგი, მულამ მკმუნავი,

მთვარე მედურად მსლაგრად ვიდოდა,

მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი

იმის სხივებთან მუსაიფობდა.

შორნი მნათობნი, მოკამკამენი,

იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდენ,

მღუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი

სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.

და იმ მნათობთა სხივის ალერსით

ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,

მხოლოდ ნიავე მთისა — მოლხენით

ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა“

(„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის
ცხოვრებიდან“).

ბუნების სურათებსა ხატვის ოსტატი ვაჟა-ფშაველა კი მთელი დეტალებით წარმოგვიდგენს დაბინდება-დაღამების მშვენიერ სანახაობას. აი რამდენიმე მაგალითი მისი შემოქმედებიდან:

„დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი

აყვავდნენ, დასხდნენ ცაზედა;

მთვარე კი ჭერ არსაღა სჩანს,
არ დაგენათოს თავზედა,
ჭერ თუ არ გუღვიძნია,
იხეე თუ სძინავს მკლავზედა!
ჭერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჭდარს გორის ფხაზედა,
სხიენი არ დაუგზავნია
პირის საბანად წუალზედა“.

(„ღამე მთაში“).

ან:

„ღღემ დაიხურა პირბაღე,
მთებმა დახუკეს თვალები“.

(„ბახტრიონ“).

ან:

„ბინდღება. ბნელი ხეკები
იმურებიან შავაღა,
თვალს ისე ეჩვენებიან,
თითქო გამხდარან ავაღა“.

(„გველის მკაველო“).

ან კიდევ:

„დაბინდღა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეხურვის ღამისა,
დროა ვარსკვლავთა ეიქივის,
მცვრევა ბალახზედ ნამისა,
მკვდართ სულთ ჰაფლავით გამოსვლი“,
დრო მათ სიმღერის წყნარისა“.

(„აღუღა ქეთელაური“):

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ მწერლები სულ სხვადასხვა
სიტყვებს, ხერხებს იყენებენ დაღამების სურათების გაღმრთაცემად.

აქ მათ ინდივიდუალურ სტილს ფართო გასაქანი აქვს.

ანლა ისიც ვნახოთ, როგორ არის გაღმრთებული ქართულ მწე-
რალთა თხზულებებში გათენების სურათები.

ალექსანდრე ყაზბეგი „მამის მკვლელობა“ ანუ აგვიწერს მზის
ამოსვლას:

„მზემ წვერი ამოჰყო და სუნჯის ტყის ფოთლები მოჰჟინა ოქროჟრად.
აქამდისინ გაჩუმებული ბუნება თითქოს ღიჟილით მიეგება მოღიმარს მნათობს.
ყველა ცხოველი გრძობდა, რომ ის ცოცხალია და მისთვის ესლეოდა თავს-
ფაღს მხიარულებას; თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეინძრნენ. გაღმრთ-
ლენ, იცვალეს მკრთალი ფერი და ღამის ნამით გაღორჩინებულნი, სწრაფად გაცხო-
ვლდნენ, რათა უმანკო სურნელთ ნახად და კეკლუცად მზისკენ მოექციათ თავიანთი
ნაზი სახე“.

იგივე მწერალი „ელიასში“ ერთგვარ ჰიმნს უძღვნის მზის ამოსვლას:

„მზემ წვერი ამოჰყო, მინდვრის მახლობელ ტყიდგან მოისმა ჰიკიკი და გალობა სხვადასხვა ფრინველებისა. ბუნებამ გაიღვიძა და ყოველი სულდგმული ქებას ასხამდა მის ძლიერებას. თვით ნამი, რომელიც მცერად დასდებოდა ზურმუხტოვანს მინდორს, შემეკულს ფერადოვანის და სურნელიანის ყვავილებით, წესთამაშებდა მზის სხივებს, რომლის შიკარებისთანავე ათასგვარად იცვლიდა ჟერს“.

„ხევისბერ გონაში“ კი ბუნების სურათის აღწერა მეტ ხანს გრძელდება:

„გარეორაჟი იყო. თერგის ხეობაზე ხშირი და ბამბასავით გადაქნტილი ნისლი შემოწოლილიყო, მოებურა მთელი მიდამო. სოფლები თითქოს შიგ გახვეულიყვნენ. რამდენიმე ადგილას ნისლი ამოეგლიჯა უმაღლესს მთას წვერებს და იქე მოჩანდნენ. თითქოს ჰაერში დგანანო. მათ ზევით ლაქვეარდოვანი ცა შეწითლებულიყო მზის მოახლოვების შუქით. ვარსკვლავებს ეგრანოთ დღის მოახლოვება და შემერთალები ნაზის სხივით ძლიერდა ციმციმებდნენ. გათვრებული მოხუცო კავკასიისა ამაყად გადმოჰყურებდა სამების წვერს, რომელზედაც ამავე სახელის ტაძარი, ძველი და საკმაოდ მოზრდული, გამწვანებულს ყვავილიან ველზედ წარსულის მოსაგონებელ ნაშთად დარჩენილიყო“.

ილია ქავჭავაძე „მგზავრის წერალებში“ უფრო ლაკონიურად გვჩვენებს გათენებას სურათს:

„ვათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიერაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ!... გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუღეგარი ფაცი-ფუცო“.

მაგრამ „აჩრდილში“ პოეტი უფრო მკაფიო საღებავებით ხატავს მზის ამოსვლის დიდებულ სურათს:

„აღმობრწყინდა მზე; დიდებულადა და გაანათლა ქვეყანა ბნელი, კავკასის მთების წვერთა მაღალთა ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი. აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი, ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ, იგივე ზვიადი, იგივე მძვინვარი, იგივე დიდებულ და დაღუშვებულ“...

ან კიდევ:

„რიერაჟი იყო და თენდებოდა, გაღაყრილიყო ცილამ ღრუბელი.“

და დაწყნარებულ წუთთა-სოფელსა
დილის ნიჟე დაქრიადა ნელი“.

(„განჯეღო“).

ეგნატე ნინოშვილი გათენების სურათს ასე აგვიწერა:

„გათენდა. მზე ამოვარდა აჟარის მთის იქიდან და ჩახედა ოზურგეთის არ-
მარეს, სადაც დანამულ მცენარეებს ადგა სქელი ნისლი, თითქო მზის შუქს.
სული ჩაუდგა და გააცოცხლაო. გარუღმა ფრინველებმა გამოაღვიძეს და იმათ
ფრიაბულში მიიყარგა მდინარე ბეუვის შუილი, რომელიც იმ დაწყნარებულ
ღამეში განუწყვეტლოვ გაისმოდა“.

(„ქანყი გურაში“)

შიო არაგვისპირელი მზის ამოსვლის სურათს აგრეთვე პოეტე-
რი შთაგონებით აღწერს:

„დათუა შრომიშვილი დაჰყრდნობოდა ბარის ტარს ვენახში და გასქვაროდა
აღმოსავლეთით ახლად შემოსილს მთის წვერს, რომელსაც ოქროსურად მოელ-
ვარე გვირგვანი დასდგომოდა, რის გამოც იგი ისე გამოიქვირებოდა და მოელ-
ვარებდა, თითქონ ცეცხლი წაიღებოდაო. ელვარებდა იგი, გაქონდა ლაპლაპი;
მასი ალი ცას სცემდა, მაგრამ ობლად მდგომნი მთის წვერზე ახლად გაწოლი
ხეები უვნებლად და ნაზად გამოიქვირებოდნენ ცეცხლის შეაგულიდან; ეკიდებო-
და იმათ ცეცხლი, მაგრამ კი არ იწოდნენ“.

(„ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!“).

ბუნების გამოლვიძების მშვენიერი სურათთა დახატული გრიგოლ
ორბელიანი „სააღღებროდლონი“.

„ცისკარმან აღმოსავლეთით ვარდისა ფერად შეჰლუბა,
ცას სიხარული შიპფინა და ქვეყანასა შეენება!
აენთენ ცეცხლის აღებრივ შორს გაბნეულნი ღრუბელნი;
ცა მშვენიერობს, წითლდება... მასა შეენატრდით მხილველნი!
იღვეა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებთან!
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!
მოჰქრის დილისა ნიაიცი, გულისა მაგრილებელი;
ფშვინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ

შრიალი!

ოჰ, რა ღამაზად იღვიძება ბუნება შიძინებული!

დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით. ჰგალობს

ბუღბუღო“

დასასრულს ორიოდ ნიმუში ვაჟა-ფშაველას თხზულებებთა-
დანაც.

„ირიერიებანდა, ცისკარი
სულს ჰლევის, თანდათან ჰქრებოდა. —

ნეტავი ყველა ლამაზსა
ესრე სიკვდილი ჰხედებოდა!
დღეს მკედარი, ზვალე დილითა
ცოცხალი წამოდგებოდა;
სრულის ჟანით და იერით,
თვალეზს წინ დამიდგებოდა“.

(„ბახტრიონი“)

ან კიდევ:

„თენდება, მთის წვერნ დაწითლენ,
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.
დგება, იღვიძებს სოფელი,
მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.
სოფნი სამგზავროს წავიდენ,
მთა-ბარს გაავლეს თვალთა;
რამდენს ფრამ-ფრამში არიან,
ცას ვერ გაავლეს კვალია!“

(„ალუდა ქეთელაური“)

როგორც ვხედავთ, გათენების სურათების აღწერაშიც მწერ-
ლები სხვადასხვა ლექსიკურ და მხატვრულ საშუალებებს მიმართა-
ვენ. თვით ერთი და იგივე მწერალიც კი სხვადასხვა შემთხვევაში
სხვადასხვანაირად აგვიწერს ბუნების ამ მოვლენას. ამ საკითხის
შენახვა მწერლის სუბიექტური, ინდივიდუალური სტილის შეს-
წავლას გულისხმობს.

ენის გამომსახველობითი შესაძლებლობანი მრავალფეროვანიაო,
როცა ამბობენ, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში აქვთ სინონი-
მები. სუბიექტური სტილი სინონიმების არსებობას ემყარება; ენაში
სინონიმები რომ არ არსებობდეს, არც სუბიექტურ სტილზე შეიძ-
ლებოდა ლაპარაკი, რადგან მრავალნაირ ენობრივ საშუალებათა
არარსებობის გამო მეტყველს არჩევანის შესაძლებლობა არ ექნე-
ბოდა.

ს ი ნ ო ნ ი მ ე ზ ი

ენის სიცხადე და სიზუსტე გულისხმობს, რომ ყოველი აზრი ან
ცნება გამოხატული იყოს ყველაზე უფრო შესაფერისი სიტყვებისა
და გამოთქმების საშუალებით. აზრის ზუსტად გამოხატვის საშუა-
ლებას გვაძლევს ს ი ნ ო ნ ი მ ე ზ ი ანუ ერთნაირი მნიშვნელობის
მქონე სიტყვები, რითაც ჩვენი ენა მდიდარია.

სინონიმებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თითქმის ყველა პეტყველების ნაწილი — არსებითი სახელი, ზედსარათავი სახელი, ზნა, ზმნა, ზმნაზედა.

სინონიმური არსებითი სახელები

არსენამ ისიც იცოდა, რომ გლეხებმა ბევრგან მისი დღეგრძელობის და გამარჯვების წირვაც კი შეუკვეთეს (მ. ჭავჭავაძე).

გიორგი სახლსა და ოქახში ბატონობას არ შეეცილა დედასა (ილია).

სინონიმური ზედსარათავი სახელები

ვეება ეზო და მარაბდაც თითქოს მაინც დაცარიელებულიყო და დიდი ბატონი მარტოდმარტო დარჩენილიყო — უმწყო. უპატრონო. ყველა-საგან მოძულე ბული, დაწყველილი და დევნილი (მ. ჭავჭავაძე).

სინონიმური ზმნები

ყველა საქვეყნო საქმეს ის ნათლავს, ისა ზრდის, ჰკვებავს, მიდევს და მიუძღვება (მ. ჭავჭავაძე).

სინონიმური ზმნიზედები

ყოჩაღად და მხნედ იყავით, შეილებო! (მ. ჭავჭავაძე).

რთულ სინონიმებს შორის და კავშირი იგულისხმება, რაც მნიშვნელობით განსხვავებაზე მიუთითებს. კომპოზიტი (რთულ სახელში) შემავალი სინონიმები ერთმანეთს უკავშირდებიან ვარკვეული თვისებისა და საგნის ნიშნის გამო.

სინონიმური კომპოზიტები

ირანულ ფუფუნება-ანებერობაში აღზრდილს მაინც მისდევდა თანდაყოლილი ეშხი და სილაპაზე (ლ. გოთუა).

...კაცი გამოჩნდა უცხო რამ.
ჩამოგლეჯ-ჩამოწეწილო,
ერთი ყარიბი, უშნო რამ (ვაჟა).

სინონიმების მნიშვნელობა დიდია:

1. სინონიმები განმეორების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა.

2. სინონიმებით სრულყოფილად ხასიათდება საგანი ან მოვლენა.

ორი ან რამდენიმე სინონიმის პარალელურად ხმარება აზრის ხატოვნად, მკვეთრად და ნათლად გამოხატვის საუცხოო ხერხია.

3. სინონიმებს ერთმანეთისაგან განასხვავებს აზრობრივი ელფერი. ეს განსხვავება მეტ-ნაკლებად საგრძნობია. ამიტომაც საშუალება გვეძლევა ნაირ-ნაირი ფორმებიდან ავარჩიოთ ის, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად, ცხადად და ზუსტად გამოხატავს აზრს.

1. თუ სინონიმებს დანიშნულებიანებზე გამოვიყენებთ, წინადადებაში აზრი ნათლად გამოიხატება და შესაძლებელი გახდება განმეორებისა და ერთფეროვნების თავიდან აცილება. მწერლების მიერ სინონიმების ხმარება ზოგჯერ ამ მიზანს ემსახურება, მაგ. სინონიმებია: „საორმოცო სენება“ და „სახადი“, „ფალავანი“ და „მოქიდავე“, „ამჩნევდა“ და „ხედავდა“, „გაროზგვა“ და „გაჯოხვა“.

ეს სინონიმები წინადადებაში მოხდენილადლა გამოყენებული:

აქეთ-იქით ხეტიალში საღლაე ს ა ხ ა დ ს ვადაეყარა და შინ ს ა ო რ მ ო ც ო ს ნ ე ბ ა შემოიტანა (აკაკი).

პაპა არა ჩქარობდა, თითქოს არაფერს არ ამჩნევდა, ნამდვილად კი ყველაფერს ხედავდა და უღვაშებში იღიმებოდა (მ. ჭავჭავაძე).

ეპ, ნეტა მთიორს ამოღენა ხალხი არ გაეჭოხა, ან ისეთ დროს გაეჩოხა, როცა ზაალი მარაბდაში არ იყო (მ. ჭავჭავაძე).

თანამოსახელე სიტყვები რომ არ ყოფილიყო გამოყენებული, წინადადებები განმეორებული სიტყვებით დაიტვირთებოდა.

სინონიმები აგრეთვე საშუალებას გვაძლევს ერთფეროვნება თავიდან ავიცილოთ. როცა სინონიმები წინადადებაში ერთმანეთს ემსახურებიან, ანგარიშგასაწევია, რომელ სიტყვათან თანაწევრობაში, კავშირში გამოვიყენება იგი, მაგ.:

(შაჰ-აბაზმა) ციხე-ქალაქები დააქცია, სოფლები ააოხრა, ტაძრები დაანგრია და შებღალა (აკაკი).

დააქცია, ააოხრა, დაანგრია სინონიმებია, რომლებიც ამ შესიტყვებებში გვაქვს: ციხე-ქალაქები დააქცია, სოფლები ააოხრა, ტაძრები დაანგრია.

ასევე სინონიმები — ღიღინი, შესმატკბილება, გალობა — საშუალებას გვაძლევს ერთფეროვნება თავიდან ავიცილოთ.

ქართულ ტკბილ ღიღინს, ვაჟაკურ შესმატკბილებას და სასოების მომგვრელ გალობას ბოლო მოუღო თათრულმა შექაქანებამ (აკაკი).

მსგავსი მაგალითებია:

ეგ ჩვენი ამომგდებელი.
ჩვენი მრბეველი ძალითა;

გაუმაძღარა მუდამ ემს
ჩვენი სისხლით და ძვალითა“ (ე.ე.).
„უუურე უნამუსოთა,
ჩემს ოჯახს როგორ ჰქეღავენ!
ჩაიგდეს ჩემი კაცობა,
ფეხს ქვეშ ტყლაპივით სთქლავენ!“ (ე.ე.).

უწიგნური-ს სინონიმებია ბრიყვი, უცები, უცოდინარი.
უსწავლელი. დ. გურამიშვილი ამ სინონიმებს გეგმაზომიერად უნა-
ცვლებს ერთმანეთს ლექსში „სწავლა მოსწავლეთა“:

„ძალი უწვრთელი პატრონსა ასეთს რას დაუშავებსა,
რომ შვილი ბრიყვი, უცები დედ-მამას განათავებსა?
უცოდინრობით ასეთსა საქმეებსა იქს ავებსა...
უსწავლელი ვაჟი კაცი სიბერის დროს გაწბილდების
... ვგრე კვიანი უწვრთელი ვერ მიხვდეს, რასაც ნდომობღეს.“

უწვრთნელი „გაუზრდელის“, „გაუგებელის“ მნიშვნელობითაც
იხმარება, მაგ. „სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა უწვრთე-
ლის შვილის ყოლასა“ (დ. გურამიშ.).

როცა აზრის გამოთქმისას ერთნაირი სიტყვეები მოიყრის თავს,
უნდა მოვიმარჯვოთ სინონიმი, მაგ.:

პირველ ხანებში ოჯახში სრული კმაყოფილება იყო. ოჯახს კმა-
ყოფილება დაარღვია ბეკინას ცოლის გარდაცვალებამ. —

ასე შეიცვლება:

პირველ ხანებში ოჯახში სრული კმაყოფილება იყო. ეს სიამოვნე-
ბა დაარღვია ბეკინას ცოლის გარდაცვალებამ.

მელამ იფიქრა, ეს ოფოფი ერთ ლუკმად არ შეყოფა. ბატი და ბატასინი
კი ერთ კვირასაც შეყოფაო.

ასე შეიცვლება:

მელამ იფიქრა, ეს ოფოფი ერთ ლუკმად არ შეყოფა, ბატსა და ბატა-
სინს კი ერთ კვირასაც ვიკმარებო.

ზოგჯერ სინონიმებს არასაკუროებისამებრ, ზედმეტად იყენებენ,
ექვიტავტოლოგიაა — ე. ი. ერთი და იმავე ცნების ან აზრის
განმეორება სხვადასხვა მონათესავე სიტყვების საშუალებით, მაგ.:

სამშობლოს ტრფობა და სიყვარული მუდამ გულში ჰქონდა.

ან კიდევ:

გიორგი თვალღია და თვალღიაღია იწვა ჩრდილ ქვეშ.

მსგავს გამოთქმებს უნდა ვერიდოთ, რადგან იგი მეტყველებას აუფერულებს. ასეთი განმეორებებისაგან განსხვავდება ისეთი განმეორებული სიტყვები, რომლებიც გამოყენებულია წინადადებაში გამოთქმული აზრის გასაძლიერებლად, სიტყვასა ან წინადადებაზე ყურადღების გასამახვილებლად, მაგ.:

ჩვენნი აკვანი საქართველოა, ჩვენნი ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენნი სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე და თუ გული გაქვს, გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სად? (ილია).

II. ორი ან რამდენიმე სინონიმის პარალელურად ხმარება საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად დავახასიათოთ საგანი ან მოვლენა. თითოეულ სინონიმურ სიტყვას აქვს თავისი განსაკუთრებული ელფერი, ამიტომაც სინონიმური სიტყვენი ავსებენ ერთმანეთს და ხატოვნად, სრულად, ნათლად წარმოგვიდგენენ სათქმელს.

მაგალითები:

გიორგი სეფსკვერაძე ძალიან კარგი მოჭიდავეა, მაგრამ მეტისმეტად შურიანი, დაუნდობელი, ანჩხლი, ავი ადამიანია (მ. ჭავჭავაძე).

ეს ცეცხლი ისეთი მტკიცეა, უდრეკი და იღუშალი იყო, ვითარცა ორი ამოწვდილი მახვილი (მ. ჭავჭავაძე).

... კუჭატნელი არსენას დათვივით ჰბუბნიდა, ანჯღრევდა, ჰგლეჯდა (მ. ჭავჭავაძე).

(არაკვი) დარეტყანებულნი და თავებრუდასხმულნი... იქვე მორევში რამდენჯერმე მოტრიალდებოდა ხოლმე (აკაკი).

ნუ ეწინააღმდეგები და ეუბნები ამით სურვილს (აკაკი).

პირმოთნობა და ფარისევლობა საზოგადოდ კარისკაცების ხელობაა (აკაკი).

ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შეშინდებისო (მ. ჭავჭავაძე).

არსენას თავისი რაზმის უსაქმურობისა და დაზანტებისა ეშინიან (მ. ჭავჭავაძე).

ზეიდაურსა გლოვობდა

შფოთვა და ბორცვა წყლისაო,

ნიავედ ჩამონადენი

ოხერა მალაის მთისაო (ვაჟა).

რამ დააკიავა, რამ მოაღუნა, ვინ გამოჰფიტა და ვინ დააძაბუნა?! (მ. ჭავჭავაძე).

III. სინონიმების მონაცვლეობას განსაზღვრავს კონტექსტი. ყველა კონტექსტში ისინი ვერ შეენაცვლებიან ერთმანეთს. აგრეთვე სინონიმების სხვაობა იგრძნობა შესიტყვებებშიც, მაგალითად, სინონიმებია გაჭრა, გაკაფვა, გაწალღვა. ვერ ვიტყვიით:

„მასწავლებელმა ცხოვრების გზა გამიკრაო“ — სტილურად საჩოთირო გამოთქმაა. ასევე: „გაბედული“, „თამაში“, „მამაცი“, „შეუპოვარი“, „გულადი“ სინონიმებია, მაგრამ მათ ყოველთვის როდ: შეუძლიათ ერთმანეთის შეცვლა. მაგალითად, სწორი იქნება, თუ ვიტყვით: „მომხსენებელმა გაბედული აზრი გამოთქვა“, „თამაში აზრი გამოთქვა“, მაგრამ მამაცი, შეუპოვარი ან გულადი აზრი არ ითქმის.

ამ ბოლო დროს ფეხს იკიდებს გამოთქმები „მაღალი მოსაველი“ (ზედსართავი სახელი — მაღალმოსაველიანი) და „დაბალი მოსაველი“ (ზედსართავი სახელი — დაბალმოსაველიანი), რომლენიც არ შეესაბამება ქართულ მეტყველებას. ჩვენს ენაში არის ბუნებრივი გამოთქმები: უხვი მოსაველი (ზედსართავი სახელი — უხვემოსაველიანი), დიდი მოსაველი, ბარაქიანი მოსაველი, მცირე მოსაველი (ზედსართავი სახელი — მცირემოსაველიანი), ცუდი მოსაველი და სხვ. — „მაღალი“ ან „დაბალი“ მოსაველის ნაცვლად სწორედ ეს გამოთქმები უნდა ვიხმაროთ.

პროფ. ვ. თოფურია წიგნში „ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი“ (თბილისი, 1965) სვამს „სუფთა“, წმინდა“ სინონიმების მართებულად გამოყენების საკითხს.

სუფთაა, რაც არაა ბინძური, ქუჭყიანი, რასაც მტვერი, ქუჭყი, ტალახი არა აქვს ან აქვს და რაიმე საშუალებით მოშორდება; წმინდაა ფაქიზი, შეურეველი, შეურყვენელი, კამკამა, დარკვეული, დარჩეული.

ამისადა მიხედვით სწორი, მართებული გამოთქმა იქნება:

წმინდა აბრეშუმის ძაფი	სუფთა ბოსელი
წმინდა ადგილი	სუფთა ეზო
წმინდა ალაგი	სუფთა ლოგინი
წმინდა ენა	სუფთა ზეწარი
წმინდა მოგება	სუფთა ტანისამოსი
წმინდა მოვალეობა	სუფთა ტანი
წმინდა სანთელი	სუფთა ქაღალდი
წმინდა ტაძარი	სუფთა წერა
წმინდა შალი	სუფთა ქურქული
წმინდა წყარო	სუფთა ჩაცმა-დახურვა და ა. შ.

გადმოსაცემი შინაარსისადმი მთქმელის დამოკიდებულება მქლავნდება სინონიმებით, მაგ.: თქვა და წამოროშა; დადიოდა და დააბოტებდა.

ენ სიტყვები წაშროშა ჩიტრეკია ელიზბარმა (მ. ჭავჭავ.).

ბედნიერი ბაყაყივით გაბღენძილი ზალი არსენას აღარც კი ამჩნევდა. ბერი ვაცივით დააბოტებდა (მ. ჭავჭავ.).

თვალეების მსაზღვრელად წეიძლება გამოყენებული იყოს სიტყვები: გაბრწყინებული, მოზიბინე, ნათელი, დანისლული, მუქი. ამ სიტყვეებით გამოხატულია ავტორის სიმპათია პიროვნებობადმი, ხოლო შესიტყვებებით ლოქო თვალეები, პაწაწინა თვალეები პიროვნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მქალავნდება. თვით წინადადება, რეალური კონტექსტი კარგად გვიჩვენებს სიტყვების მნიშვნელობას.

(არსენამ) გაბრწყინებული თვალეები ზალის ბოხობს გადააწლო და კარვისაკენ გაიხედა. გაიხედა და მოღიმარე კნენების უკან ერაწვილ თვალს წააწყდა — დიდრონს, ლილასავით მუქსა და კუმისის ტბასავით მოზიბინეს (მ. ჭავჭავ.).

მარინე ქორჯიაშვილმა ყურები ცქვიტა და ცისფერი თვალეები ორი ანთებული სანთელივით გამოანათა (მ. ჭავჭავ.).

— აბა, ძმაო, ქართველი გლეხობა მაგ ნათელ თვალეებში შემოგვექერის (მ. ჭავჭავ.).

ფიქრიამ დანისლული თვალეები დახუჭა (მ. ჭავჭავ.).

ამათ შევადაროთ:

მაიორ არლოვს... წყლისფერი პაწაწინა თვალეები საახალწლო ბასილასავით დაეკუტრა (მ. ჭავჭავ.).

(მაიორი) სალდათურად ოხუნჯობდა და თავის ლოქო თვალეებს მის შუკსა და დიდრონ თვალეებს არ აშორებდა (მ. ჭავჭავ.).

სინონიმური სიტყვების უადგილოდ, შეუფერებლად ხმარება ენას მდარეს და აზრს გაუგებარს ხდის. ჩვენი მიზანი უნდა იყოს კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი სიტყვის შერჩევა, რომელიც ზუსტად შეესაბამება გამოსატქმელს. სტილურ შეცდომასთან გვაქვს საქმე, როცა მნიშვნელობის მიხედვით გამოთქმაში ნახმარი სიტყვები ერთმანეთს არ შეეფერება, მაგ.:

ბეკინას სიმდიდრეს მოასწავებდა ოცდაათი ურემი სიმინდი.

უნდა იყოს: წარმოადგენდა.

პლატონი მიხვდა, რომ საქმე წყალში გადაიყარა.

უნდა იყოს: საქმე გაფუქდა. შეიძლება ვთქვათ: ნაამაგარი გადაიყარა, ნაშრომი გადაიყარა და ა. შ.

ანტონიმები

მეტყველებაში სწორად იყენებენ ერთმანეთის საპირისპირო
პნიშვნელობის მქონე სიტყვებს, რომელთაც ანტონიმები ეწოდება.

ანტონიმებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თითქმის ყველა
მეტყველების ნაწილი — არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი,
ზმნა, ზმნიზედა.

ანტონიმური არსებითი სახელები

სიმატლეს შევიყვარებ და უსამართლობას შევიძლებ, მდი-
ღარს წაერთმევ და ღარიბს დაუბრუნებ (მ. ჭავჭავაძე).

ანტონიმური ზედსართავი სახელები

ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ დონდლონი, დუნენი (ილია).
ძველისაგან ვარგისს ვისესხებთ, უვარგისს მოვიშორებთ (მ. ჭავჭავაძე).

ანტონიმური ზმნები

ქიდაობა რომ გათავდება, არიდანა დაიწყება (მ. ჭავჭავაძე).

ანტონიმური ზმნიზედები

(ჩანდიერი) ხან წალმა ჰხნავს და ხან უკულმა ჰფარცხავს (აკაკი).

ანტონიმური კომპოზიტები

ძნელია, თუ კი ვიფიქრებთ,

სიკვდილ-სიცოცხლის წუთები (ვაჟა).

ქვეყანა ყირაზე დადგა... დაიკარგა უფროს-უმცროსობა (ე. გამსახ).

ერთხელ დიდი ზალი და დიდი დავით ორბელიანი წაგებულ-მოგებულ
ბრძოლებს ანგარიშობდნენ (გოთუა).

ანტონიმებს ჩვეულებრივ იყენებენ კონტრასტული სურათების
დასახატავად, რაც აძლიერებს მკითხველისა თუ მსმენელის შთაბეჭ-
დილებას. მაგალითები:

ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!

მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!

აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,

აქ ჭირია და იქ კი ლხინია... (ილია).

უიმისოდ არც ჭირი და არც ლხინი არ იქნებოდა. ავშიაც გამოსადე-
გი იყო და კარგშიც... დიდსა და პატარას უველას იცნობდა (აკაკი):
ნურავის დაპზოგავთ: ნურც დიდს, ნურც პატარას. ნურც ბებერს
და ნურც ყმაწვილს! (აკაკი).

ბოროტი მუდამ მარცხდება, კეთილი კი იმარჯვებს; ძლიე-
რი იღუპება, საწყალი კი რჩება; ავიკაცი აღუღებულ კუპრში ვარდება,
მართალი კა ბედნიერად ცხოვრობს (მ. ჭავჭავაძე).

1 მამაჩემო, ასწიე ღონესა ჰქვიან, დასწიე უღონობასა (მ. ჭავჭავაძე).

უწმინდურ სიციხეს მეწმინდა სიყვდილი მიჩვენია (აკაკი) და ა. შ.

ანტონიმების თავ-თავის ალაგას გამოყენება წინადადებით გამოსატულ აზრს აზუსტებს, მეტ მკაფიობასა და ემოციურობას ანიჭებს.

ერთ სიტყვას შეიძლება იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ანტონიმიც მოეპოვებოდეს და სხვა ფუძის შემცველიც, მაგალითად, ერთი მხრით შეიძლება გვქონდეს ასეთი ანტონიმები: დაცვა — დაუცველობა, გატეხილი — გაუტეხელი და სხვ., მეორე მხრით კი: დაცვა — დარღვევა, გატეხილი — მთელი და ა. შ. ზოგჯერ უკეთესია საჭიროების დროს უწორედ სხვა ფუძისაგან ნაწარმოები ანტონიმი გამოვიყენოთ, მაგალითად, წინადადებაში „მოუსავლიანობის ერთ-ერთი მიზეზია აგროწესების დაუცველობა“ — „დაუცველობის“ მაგივრად უკეთესია ვიხმაროთ სიტყვა „დარღვევა“ (აგროწესების დარღვევა).

ერთ სიტყვას სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა ანტონიმი დაეძებნოს, მაგალითად, სიტყვა „სწორის“ ანტონიმებია მრუდე, მოღუნული, მცდარი... სწორი ხაზი — მრუდე ხაზი, სწორი ჯოხი — მოღუნული ჯოხი (მაგრამ არ ითქმის — მცდარი ჯოხი), სწორი აზრი — მცდარი აზრი (მაგრამ არ ითქმის — მოღუნული აზრი).

ან კიდევ, სიტყვა „ბრძენისაგან“ „არა“ ნაწილაკის დართვით იწარმოება ანტონიმი „არაბრძენი“, მაგრამ უმჯობესია მის ნაცვლად ვიხმაროთ ის ანტონიმი, რომელიც აკაკი წერეთელს აქვს გამოყენებული — „პოეტში“, ეს სიტყვაა „უგნური“: „ხან უგნურ ვარ, ხან ბრძენი, ხან არც ისა ვარ, არც ისა“.

ასევე სტილისტურად უმჯობესია, თუ მოსახერხებელია, ანტონიმები ვაწარმოოთ აფიქსებით, ვიდრე „არა“ ნაწილაკის დართვით. მაგალითად, წინადადებაში — „ახალგაზრდამ თავისი არაწესიერი საქციელით ტროლეიბუსის მგზავრების აღმფრთვება გამოიწვია“ — სიტყვა „არაწესიერი“ უნდა შევცვალოთ „უწესო“ სიტყვით: „უწესო საქციელით.“

ზოგჯერ ერთი და იმავე სიტყვის ანტონიმები შეიძლება „არა“ ნაწილაკითაც იყოს წარმოებული და აფიქსებითაც, მაგალითად, „მეგობრულის“ ანტონიმიც როგორც „მტრული“, ისე „არამეგობრული“, „ხანაბრის“ ანტონიმიც როგორც „უთანაბრო“, ისე „არათანაბარი“. შინაარსობრივად „მტრული“ განსხვავდება „არამეგობრულისაგან“, შეიძლება ორ ვინმეს შორის მტრული დამოკიდებულება არ

იყოს, მაგრამ არც მეგობრული დამოკიდებულება არსებობდეს. ამიტომ სხვადასხვა აზრს გამოხატავენ წინადადებები: „ჩვენ შორის მტრული დამოკიდებულებაა“ და „ჩვენ შორის არამეგობრული დამოკიდებულებაა“. მეორე წინადადებით გამოთქმული აზრის გადმოსაცემად უკეთესია ვთქვათ ან დავეწეროთ: „ჩვენ შორის მეგობრული დამოკიდებულება არ არაა“.

ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გულდასმით უნდა შევარჩიოთ ის ანტონიმი, რომელიც უკეთ, უფრო მკაფიოდ და ზუსტად გამოხატავს ნიშნულს, მოვლენას, საგანს თუ ცნებას. ☺

ო მ ო ნ ი მ ე ბ ი

ენაში არსებობს ისეთი სიტყვებიც, რომლებსაც ორი ან რამდენიმე მნიშვნელობა აქვთ. მათ ომონიმებს უწოდებენ. მაგალითად, ცნობილია სიტყვა „ბარის“ შემდეგი მნიშვნელობანი: ბარი არის: 1. დაბლობი, ვაკიანი ადგილი; 2. სამუშაო იარაღი; 3. ერთგვაროვანობა, სიბრტყე, სიდაც დგომელა შეექცევიან სასაშუალო-საქმელს; 4. ატმოსფერული წნევის ერთეული და სხვ. აქვე რამდენიმე მნიშვნელობის მქონე სიტყვები: ბოტი (შამალი, დაუკოდავი თხა; დიდი ნავი; მაღალყელიანი კალოში ქალისა), დოლი (საკრავი იარაღი; ბატკნის მოგეცის დრო; ძირითადი ხორბლეული ჩვენში — დოლის პური), კვერი (პატარა ჩაქუჩი; პატარა ბრტყელი, მრგვალი პური ან მქადი), კოჭი (ტერფისა და წვივის ძვლების შემადგენელი ძვალი; ჭერის ან იატაკის ფიცრების დააკრავი გათლილი ძელი; ხის ან სხვა მასალის პატარა სათამაშო რგოლი; ძაფის დასახვევი) და სხვ. (იხ. აღნიშნული სიტყვები „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“). ომონიმების გამოყენებისას ისინი სიტყვების ისეთ გარემოცვაში უნდა მოვაქციოთ, რომ ორაზროვნობას არ იწვევდნენ, მაგალითად: „გაუხსოვრდება“ ზმნას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: სწორად გაუხსნდება, დაუპირისპირდება, მიეწევა, ვალს გადაუხდია, კუთვნილს მიუზღავს, დასჯის, შურს იძიებს, გაუმკლავდება (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. II). წინადადებაში — „თუ გსურს ასახელო შენი კოლმეურნეობა, შენი სოფელი, გაუხსოვრი მოწინავეებს“ — ორაზროვნობის აცილების მიზნით სჯობს ომონიმური სიტყვა „გაუხსოვრი“ შევცვალოთ მისი ლინიმიით — „გაუტოლდა“ (ან „გაუთანასწორდი“).

ზოგჯერ სიტყვის რომელიმე ფორმას შეიძლება ომონიმური გა-

გენა ჰქონდეს, მაგალითად, ზმნა „დაუხატავს“, ცალკე აღებული. შეიძლება გავიგოთ როგორც თურმეობითი პირველი (მას სურათი დაუხატავს) და როგორც მყოფადი (იას მას სურათს დაუხატავს). ასევე — ვარდები (შენ) და ვარდები (ვარდის მრავლობითი რიცხვი): მივაძახე, ჰინჰარნი ნუ ვარდები, ნუ გგონია იქ ია და ვარდები (ა. წერეთელი); გაიხადა (თავი სასაცილოდ გაიხადა) და გაიხადა (ტანსაცმელი გაიხადა).

ასეთ ომონიმებს ომოფორმები ჰქვია. წინადადებაში ომოფორმების გამოყენებისას სიტყვენი ისე უნდა შევარჩიოთ, რომ ორპირიანობა ავიცილოთ.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ი 1. ცალკეული სინონიმის გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები.

გონებადაკარგული, გონებადაფანტული, უგონო;
გონიერი, გონებაგახსნილი, გამჭრიახი, ჰკვიანო, საზრიანი;
საყურადღებო, შესამჩნევი, ღირსშესანიშნავი, ანგარიშგასაწევი;
მოკრიალებული, წმინდა, კამკამა.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ი 2. ქვემოთ მოყვანილ წინადადებებში ზმნები გადაგორდა, ჩაგორდა, წამოვიდა, ამოცოცდა შეცვალეთ სინონიმებით.

გრილი მზე გადაგორდა, ღურნიკის სერზე დაჯდა, მცირე ხანს შეყოყმანდა და უცებ ჩაგორდა. მანგლის-ბირთვისის მხრიდან ცივი სიო წამოვიდა, ხოლო ქალებიდან თხელი ბინდი ამოცოცდა და თან შემზარავი შიში ამოიტანა.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ი 3. წინადადებები შეავსეთ სინონიმებით.

ჭერ ერთმა დამბაჩამ დაიქეა, მერე მეორემ და შემდეგ მესამემაც...
ქერივი არასოდეს არ ყოფილა ესოდენ უმწეო...
მხნედ იყავით, ყოჩაღად...!
იყოღეთ, ძმებო, რომ გამძლეობა და... ვაჟკაცობაზე უფრო ძნელი საქმეა...
ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ჩემს ამაგს რად აფუქებინებ იმ ტიალს, აბეზარს,.....
მდინარეს!
მიბუნდებულს,... ბნელს,... ტყეს ხომ არა შეედრება!

ს ა მ ა რ ჯ ი შ ი 4. წინადადებები შეავსეთ ანტონიმებით.

ნათესავეებმა (ზაალს) არც გამართლებ ადირსეს და ვერც..... აკადრეს.
ძალიან ბევრი ენახა მას ომში წარსული, ჯანსაღად.. კი მეტად...
აწ რომ ავი არ ვაძაგო ,... როგორ უნდა..?
ღვეი მუღამ გაღმა რჩებოდა, ბოკვერი არსენა კი... იღვა.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 5. შოიფექრეთ მსგავსი ხატოვანი ნიმუშები, შებინდები-
სა და გათენების სურათები.

„ჩამოდგა საღამოს უამი,
მთიდან მზის სხივი ჩამოხდა,
სიბნელე მოიპარება,
სინათლეს სული ამოჰხდა“ (ვაჟა).

„ერთი კალთა ცისა აიხადა, დილამ კარი გაუღო დღეს და გამოახედა“ (ილია).

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 6. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში მხაზღერელად გამოყე-
ნებული სიტყვები შეცვალეთ სინონიმებით.

„ალგეთის ზეგანზე ხელუხლებელ უღრან ტყეში შავი ლეჩაქი თანდათან
თხელდება. ღამის ბინდი ფეხაკრეფით მიიპარება და მკრთალ რიყრაყს გაზაფ-
ხულის გრილი სიო, ხავსის ნუბტი, ხეხუთვის ტენი და ათასნაირი ზღაბ-ყუავი-
ლების მათრობელა სურნელი მოაქვს, რომელსაც თან ერთვის მძმე სუნი
სოკოსი და თრიმლისა — მურყანის და გვირილასი, მითა შროშანის და დუცისა.

სადაღაც ქვევით ცის კიდურზე მტრედისფერა ზოლი ნელ-ნელა გაგანეურდა,
დაწითლდა და ბოლოს მუქი ნისლიდან ჭიგრისფერი ბურთი ამოღვივდა. ეს
მზე ორბელიან-ბარათაანთ ეკუთვნით, რადგან იგი მათს მამულში ამოდის და
მათსავე მამულში ჩადის.

წელან ტყეში ჩამუნიც არ ომოდა, შემდეგ კი აქა-იქ თითქოს ხელის ფათური,
ფრთხილი წრიაინი, ნელი ფრატუნი და უცნაური ფუსფუსი გაისმა. მერე მას
თანდათან სასიხარულო ვივილ-ხივილი, ტაშის მსგავსი ცემა, ონავარ ფრინველთა
ყრიყინი, წვრილფეხა ნადირთა წყმტუნი და უცნობ სულიერთა ფხაქუნი და
წოვილი დაერთო, და როცა ჩამუქებულს ტყეში უცებ მზის ათასი თინათინიც
შემონაკადულდა და შექის ნიაღვრებად შემოიქრა. ფრინველთა, მწერთა, ბოვრთა
და მხეცთა გუნდები ერთ სულიერად გადაიქცნენ, რომელიც ნიავეთან ერთად
სხივებში გიჟური სიხარულით ბანაობდა, დაძვებოდა, დაჰქროდა, ნებივრობდა
და ერთ მთლიან საგალობელს მღეროდა (მ. ჯავახი).

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 7. მარჯვენა სვეტში მოთავსებულ სიტყვებს მიუწერეთ
შესაფერისი ზმნები, ჩამოთვლილი წინადადებებისა და სიტყვების გამოყენებით
გადმოცით პატარა ამბავი (ტყის ხურათი).

ტყე გრილი ნესტით სუნთქავს. მგელი. . .

პაერი სთვლემს.	ტურა
წყაროს ბურანი ერევა.	ნაკადული
სირინოზი გალობს.	ტოტები
მთვარე მიცურავს.	ვარსკვლავები
ტბა ლაპლაპებს.	ცა
	ნეები
	ქარი
	ნიავი

სიტყვათა საწარმოებლად გამოყენებული საშუალებანი

აფიქებით ნაწარმოები სახელებით, რთული სიტყვებით (კონპოზიტებით) ჩვენი ენა მდიდარია. მეტყველებაში აუცილებელია ფართოდ და ღრმად იქნეს გამოყენებული საერთო-სახალხო ენის ამოუწურავი შესაძლებლობანი — სიტყვიერი შედგენილობის მთელი რესურსი, რათა მან აზრს ახალი სამოსი მისცეს.

რის შესაძლებლობას გვაძლევს ნაწარმოები სიტყვა?

1. აზრი გამოვსატოთ ლაკონურად/ (მრავალსიტყვაობის ნაცვლად ვიხმაროთ ცოტა, მაგრამ აზრს მორგებული და შიხდენილი სიტყვები).

2. აგვარჩევინოს შესაბამისი სიტყვა და ა. შ.

ენაში შემოტანილი და დამკვიდრებული სიხალენი/სიტყვაწარმოებაში გამოყენებული - ახალი საშუალებები და ბუნებრივი გამოთქმები ენის საერთო მარაგის გამდიდრების ერთი გზაა (ამასთანავე) ისინი:

ა) გაცვეთილი სიტყვების აგან თავის არიდების საუკეთესო საშუალებაა მაგალითად, „ყოფილი მზარეულის“ ნაცვლად: „მზარეულყოფილი“ („კორინთელმაცხოვანაძინანთ მზარეულყოფილი“ — კ. გამსახურდია).

ბ) თვისების უკეთ გამოხატვის საუკეთესო ხერხია, მაგ. „კლდეკაცი“ („კლდეკაცი იყავ, კლდეს შეედღღე, უკვდავებასთან ხარ წილდებული“ — გ. ლეონიძე).

გ) ახალი თვისების გადმოცემია, მაგ. „დაინახა ახლადმოსული ფეხუხლებელი თოვლი“ (ილია).

ფეხუხლებელში ხაზი ეხმარება არა მარტო იმას, რომ თოვლი სუფთაა, არამედ იმას, რომ თოვლს ჭერ არავის ფეხი არ მიჰკარებია, ფეხი არ დასდგმია (ეს კომპოზიტი „ხელუხლებლის“ მსგავსადაა შექმნილი). ასეთსა და მსგავს სიტყვეს შეგვიძლია მივანიჭოთ უპირატესობა, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ნაწარმოებ სიტყვებს თანაბარი ღირებულება აქვს, მათ შორის ერთ-ერთს ამოსავლად ვერ დავისახავთ, მაგ.:

„წრეში ვეფხვივით შემოვარდა ერთი ვიღაც ტანწვრილი, მაღალი მხარბეჭიანი და თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა“ (აკაკი) და „მოურავი შემოუძღვა ახალგაზრდა კაცს—ტანმაღალი, წელში წვრილი, მხარბეჭიანი, ფაფანაკ უკან გადაგდებული, გაჩეჩილი თმით... სწორედ-სააამოვნო შესახედავი იყო“ (აკაკი).

ერთი და იმავე პიროვნების დამახასიათებელი სიტყვები მაღალი — ტანმაღალი, ტანწვრილი — წელში წვრილი, თმაგაჩეჩილი —

გაჩეჩილი თმით — ამ შემთხვევისათვის თითქმის თანაზომიერია. მაგრამ განსხვავება მაინც იკრძობა, (პირველი უფრო ემოციურია.)

წაწარმოები სიტყვები გვევლინება სიტყვათა ეკონომიის საშუალებად. უ—ო აფიქსები გამოხატავენ უქონლობას, შინაარსობრივად. აღწერილად (ე. ი. აფიქსების მაგივრობას ხშირად შემთხვევაში) ვწევთ სიტყვა „გარეშე“. ნაცვლად სიტყვებისა: „იმის გარეშე“, „თუორიის გარეშე“ — ვამბობთ: „უიმისოდ“, „უთუორიოდ“ („უიმისოდ ვერც კი წარმოედგინათ სადიღვანშმის ქამა“ — აკაკი, „ეგ მართალია, მაგრამ უთუორიოდ არ შეიძლება“ — აკაკი). მაგრამ ყოველთვის უ—ო-ს ხმარებაც არ არის მიზანშეწონილი, აუცილებლობა მოითხოვს გარეშე სიტყვის გამოყენებას. მაგ. „აკაკის უმძიმდა სოფლელი ტოლ-ამხანაგების გარეშე ყოფნა“. ვერ ვიტყვით: აკაკის უმძიმდა სოფლელ უტოლამხანაგებოდ ყოფნა“. აქ უ—ო აფიქსების ხმარებას ხელი შეუშალა „სოფლელ“ მსაზღვრელმა. ახლა ამ მსაზღვრელის გარეშე ვნახოთ: „აკაკის უმძიმდა უტოლამხანაგებოდ ყოფნა“ — აქ აზრი ნათელია. ასევე ნაცვლად წინადადებისა „კოლმეურნენი ბრიგადირის გარეშე სამუშაოს დაწყებას არ აპირებდნენ“, რომ ვთქვათ: „კოლმეურნენი უბრიგადიროდ სამუშაოს დაწყებას არ აპირებდნენ“, უმჯობესია. ამ წინადადებაში გარეშე საჭირო არ არის. მაგრამ თუ სიტყვა „ბრიგადირის“ წინ დავსვამთ მსაზღვრელს, დავინახავთ. რომ გარეშე სიტყვის ხმარება აუცილებელი იქნება, მაგ.:

„კოლმეურნენი თავიანთ ბრიგადირის გარეშე მუშაობის დაწყებას არ აპირებდნენ“.

და არა:

„კოლმეურნენი თავიანთ უბრიგადიროდ მუშაობის დაწყებას არ აპირებდნენ“.

ჩვეულებრივ უ—ო აფიქსებიან წარმოებას უპირატესობას ვაძლევთ მაშინ, როცა სიტყვას მსაზღვრელი არ ახლავს, ხოლო როცა სიტყვას მსაზღვრელი ახლავს, მაშინ ვამჯობინებთ „გარეშე“ სიტყვის ხმარებას.

წაწარმოები სიტყვები რთული წინადადების მარტივით შენაცვლებიის საუკეთესო საშუალებაა. დამატებითი, ადგილის, დროის, მიზეზის, მიზნის გარემოებითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებების მარტივად შენაცვლებისას დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი აქცევა საწყისად, ქვემდებარული და ვითარების გარემო-

ბითი დამოკიდებული წინადადებებისა — საწყისად ან მიმღობად.
წოლო განსაზღვრებითი დამოკიდებულისა — მიმღობად, მაგ.:

„ბატონს უნდოდა, რომ ნოდარი თავიდან მოეშორებინა“.

ნაწარმოები სიტყვის გამოყენებით წინადადება გამარტივდება:

„ბატონს უნდოდა ნოდარის თავიდან მოშორება“.

ან კიდევ:

„ყურშა, რომელსაც ენა გადმოუგდო, ბატონს ედგა გვერდით“.

მარტივად იქნება:

„ენა გადმოგდებულ იყურშა ბატონს ედგა გვერდით“ და ა. შ.

ქართული ენა აფიქსაციის პარალელურად მიმართავს აღწერა-
იხმარება უ—ეს აფიქსებს. ყველა სიტყვას არ შესწევს ხარისხის წარ-
მოების უნარი, მაგრამ არის შემთხვევა, როცა იმ სიტყვასთანაც
იხმარება აღწერითი ფორმა, რომელსაც ხარისხის გამოხატვა შეუძ-
ლია. ეს კი სტილური საჭიროებით არის გამოწვეული.

ხარისხის ფორმათა აღწერითი წარმოება სტილური თვალსაზრი-
სით ~~სტილურად~~ ასე დავაჯგუფოთ:

1. საგნის ნიშნის, თვისების გასაძლიერებლად აღებულია
გაორკეცებული კომპოზიტი, რომელსაც პირველი წევრი მრავლობით-
რიცხვის ნათესაობით შია. ასეთი კომპოზიტი თავისი მნიშვნელობით
უფროობითი ხარისხის ფორმის ბადალია, მაგ.:

„მამაცთ მამაცმა შემუსრა მტრისა ლაშქარი“.

„უ მამაცების“ ნაცვლად ნახმარი მამაცთ მამაცი
სავსებით შეესაბამება გამოსათქმელ აზრს.

2. საგნის ამა თუ იმ ნიშნის უფროობითი ხარისხის აღწერით-
ფორმა გამოხატება გაორკეცებული ფუძის პირველ კომპონენტზე
ზე თანდებულის დართვით:)

„აფრიალდნენ საზღვარზე შავზე შავი სვაეები,
ყუმბარათმტყორცნელები,
მძიმე თვითმფრინავები“ (გ. ტაბიძე).

თითქოს უდრის შავზე-შავი უშავებსა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში
თანასწორობის დადგენაც კირს: ასეთ გაორკეცებულ ფორმებში

შესაღარებელი თვისება ნათლადაა გამოკვეთილი, შავი წვეთანაა: შეღარებულ-წებპირისპირებულა. ხოლო უშავეა-ში ისე ნათლად არ ჩანს, რომ ეს უშავესი შავისაგან მომდინარე თვისების გაძლიერებაა. ამიტომ, როცა გვინდა, შესაღარებელი საგნის თვისებასაც გავუსკათ ხაზი, მივმართავთ „შავზე შავი“-ს, „დიღზე დიდის“, „მშვენიერზე მშვენიერი“-ს მსგავს ფორმებს.

(3. ხარისხის აღწერითი ფორმისათვის იხმარება ზმნიზედა, მაგ :

„მწერლის დედა, მელანია, მეტად კულკეთილი და სთნო ადამიანი ყოვილა“.

მეტად, ძალიან, ფრიად ზმნიზედებით გაძლიერებული თვისება თავისი მნიშვნელობით არ უთანასწორდება უფროობითს. /

ამგვარად, სტილი ნაირგვარი საშუალებიდან არჩევს ფორმებს იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი გადმოსცემს უკეთ გამო-საჯემელ აზრს, რომელი უფრო მეტ ემოციას იწვევს.

ხარისხის ფორმათა ანტონიმური წყვილები: უმაღლესი -- უმდაბლესი, უძლიერესი — უსუსტესი, უკეთესი — უცუდესი, უგრძესი — უმოკლესი (მოვლენათა ურთიერთშეპირისპირების ძლი-ერის საშუალებაა) მათი ხმარება წინადადებაში აძლიერებს შესადა-რებელ საგანთა შეპირისპირებას, მაგ.:

„ის კი ავიწყდებოდა, რომ დავითი მედობდა უმაღლესად ჩაგონებული და თეიმურაზი. მხოლოდ ქვეშეურდომთაგან უმდაბლესად შეგონებული“ (აკაკი).

„უმაღლესი“ თავისთავად „მაღალ-თან“ არის შეღარებულ-წებპირისპირებულა, მაგრამ აქ „უმაღლესი“ — „უმდაბლესთან“.

ვარჩევთ ანტონიმების გამოყენების შემთხვევებს, როცა:

1. ანტონიმი განმეორებას თავიდან აგვაც-დე ნი ინებს.

მოსაწონის ანტონიმია დასაწუნის ან დასაწუნებელი. დასაწუ-ნის სინონიმია დასაგმობი ან საგმობელი, როცა ვამ-ბობთ: „მოსაწონ აზრს მოიწონებდა და საგმობელს ჰგმობდაო“ (აკაკი), არავითარ სტილურ ხორკლიანობას არ ვგრძნობთ, სასიამოვნოდ ისმის ნათქვამი. მოსაწონის ანტონიმმა საგმობელმა „სტილის ერთ-ფეროვნება“ თავიდან აგვაცდენინა.

2. ანტონიმი განსაკუთრებულ ნიშანს ხაზს უსვამს. მაგ.:

„შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი, ეგ ჩემო ლბავ, ნუ შეგ-შურდება“ (ილია).

ამ შემთხვევაში მეტყველის ანტონიმი პირუტყვი სწორედ რომ მიზნობრივადაა შერჩეული. ჭაზი ესმის ცხოველის ძირითად ნიშანს, რომ ის უტყვია (პირუტყვია), ადამიანი კი მეტყველია.

3. ანტონიმები წყვილადაა ნახმარი აზრის გაძლიერების, შინაარსის მოკლედ გადმოცემისათვის, მაგ.:

„ძლიერთ დამბელი,
უძლურთ ამხსნელი“ (ილია).

(ენა ერთნაირი მნიშვნელობითი ცვლილების მისაღებად სხვადასხვა აფიქსს მიმართავს, მაგრამ ამ აფიქსების ხმარებასაც შეზღუდულობა სჭირდება. ერთის ადგილას მეორე არ შეგვიძლია ვიჭმაროთ გარკვეული მიზეზის გამო. ავილოთ(უარყოფითი მიმღეობის წარმოების სხვადასხვა საშუალებამ

„უზღუდონი,
გზამრუდონი,
არგამტანი და ცბიერი,
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგომბი,
გარეთ მხდალი; შინ ძლიერი;
არრის მცოდნე,
არრის მცოდნე,
უზრუნველი და მშვიერი“ (ილია).

უარყოფითი მიმღეობანია: არგამტანი, არმცნობი, არრის მქონე, არრის მცოდნე, უზრუნველი. თითოეულ მათგანს მიეუწეროთ პარალელური ფორმა: არგამტანი — გაუტანელი, არრის მქონე — უქონელი, არრის მცოდნე — უცოდინარი, უზრუნველი — არამზრუნველი. მოქმედებითი გვარის მიმღეობა (მცნობი) უარყოფითი ფორმის საწარმოებლად მიმართავს უარყოფითობის არ ნაწილაკს (არმცნობი). ვნეზითი გვარის მსგავსად მას არ შეუძლია უარყოფითობა უ—, უ— ელ და სხვა აფიქსებით გამოხატოს. მიმღეობა „უცნობი“ კი სრულიად არ შეეფერება გამოსატქმელს. სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს „არრის მცოდნე“-ში, რომელშიც ზაგანგებოდაა აღნიშნული არაფრის ცოდნა და არა მხოლოდ უცოდინარობა. „არრის მქონე“ — „არრის მცოდნე“ ფორმები ზუსტად გამოხატავენ სათქმელის შინაარსს.

მდიდარი სინონიმური მარაგიდან ადამიანს საუკეთესოს, საკიროს არჩევის შესაძლებლობა აქვს. მასზეა დამოკიდებული, ამ მასალას როგორ გამოიყენებს და რა მიზნით.

გვაქვს ნაწარმოები სიტყვის არაზუსტად გამოყენების შენთსკე-
ვები:

1. ნაწარმოები სიტყვისა თუ სიტყვების გადაადგილება ცვლის
აზრს. მაგ.:

„დანიელმა სემინარიაშიც მალე მიიქცია ყურადღება, როგორც ნიჭიერმა და
შრომისმოყვარე ახალგაზრდამ“.

აქ ხაზი ესმება იმას, რომ დანიელმა ნიჭიერებით და შრომის-
მოყვარეობით მიიქცია სემინარიაში ყურადღება, რომ უოფილიყო
ასე: „ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ახალგაზრდა დანიელმა სემი-
ნარიაშიც მალე მიიქცია ყურადღება“, წინადადებას რაღაც დააკლდე-
წოდა და დაგვეზადებოდა კითხვა, რით მიიქცია დანიელმა ყურად-
ღებამ?

2. ნაწარმოები სიტყვის განმეორება სტილს აუფერულებს. მაგ.:

„ბატონები გლეხებს უსამართლოდ ექცეოდნენ. კაცობა და ზაქრომ სამარ-
თალი ვერ იპოვეს და გამოექცნენ უსამართლობას“.

ან კიდევ:

„ზაქრომ ვერ გაუძლო ბატონის უსამართლობას და მოკლა უსა-
მართლო ბატონი“.

აქ „უსამართლო“ სიტყვას შევცვლით ან „გულქვა“ ან „სასტიკ“
სიტყვით, მაშინ სტილის ერთფეროვნებას თავიდან ავიცილებთ. რა-
საკვირველია, ეს საშუალება ყოველთვის ეფექტური არ არის.

ძირეული და მისგან ნაწარმოები სიტყვების განმეორება ხში-
რად სტილის საჭიროებით არის გამოწვეული.

ვერაგინ იტყვის, ილია ჭავჭავაძის სტილს უფერულობის იერი
დაპკრავსო იმის გამო, რომ მწერალს წიგნი და მისგან ნაწარ-
მოები სიტყვა 9-ჯერ აქვს გამეორებული ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტ-
ში:

„მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა
ვარგა და არც მართო წიგნები დამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთა-
ხედვის ისარი მოკლეა და მართო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის.
უკადრისობად მიგვაჩნია ქვეა უწიგნო ტყაუბუქვეშაც ვიგულოთ. ჩვენ
ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგვო წიგნია, ყველა
გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, მწიგნობარისათვისაც კი
ოსტატია“.

ამ სიტყვებით ილია აზრის გამოხატვის სიმკვეთრეს აღწევს.
ზმნა და მისგან ნაწარმოები საწყისის ნიმუში:

„ტბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოკფხანს. გულის ფხანა რაღა დარღუბალა! ფხანა ქეცმა იცის, ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საკურო არ იქნება“ (ილია).

კომპოზიტია განმეორებული:

„შავროხიანო ვაჟაკო, კრილობა რომ არ შეგხსნია!

ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ტეცხლია?

შავროხიანო ვაჟებო, ასე რამ გავახლისათ“... (ლ. ასათიანი).

ს ა მ ვ რ ჯ ი შ მ 1. ქვემოთ მოყვანილ წინადადებაში ჩამოთვლილი სინონიმებიდან მსაზღვრელად გამოიყენეთ ერთ-ერთი: გრძნობადაკარგული, გონება-მიხდილი, უგრძნობელი.

როცა მან ყვირილი გაიგონა, წყალში გადახტა და ჭუმბერი ამოათრია.

ს ა მ ვ რ ჯ ი შ მ 2. სიტყვა „ერთფეროვნება“ ჩახვით შესაფერადილას.

ქვალში დარგული ბუჩქები ერთი ფერისა და სიმაღლისა იყო. აქაურობას ეს აძლევდა წარმატაც სილამაზეს.

ს ა მ ვ რ ჯ ი შ მ 3. ხაზგასმული წინადადებები შეცვალეთ რთული ჭახელებით:

1. სოფლის განაპირას იწყებოდა სახნავ-სათესი მიწღორი, რომელზედაც თვალის ვერ მიგიწვდებოდათ.

2. ქალი, რომელსაც სახელს აეკაპიწყებინა და ლოყეპი გაეკაწრა, ხმაელა მოთქვამდა.

მწერლის ენაზე დაკვირვება

მწერლის ენაზე დაკვირვებას დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების სრულყოფილად გაგებისათვის. ენაზე დაკვირვება გულისხმობს შემოქმედლის როგორც პოეტური შეტყუვლების სიღრმეში ჩაწვდომას, ისე იმ ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ თავისებურებათა გამოვლენასა და ახსნას, რომლებიც თხზულებაში გვხვდება.

მხატვრული ნაწარმოების ენა, საერთოდ, მწერლობა უდიდეს როლს ასრულებს სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, მაგრამ ენის შექმნა ერთ ადამიანს არ შეუძლია. დიდი რუსი კრიტიკოსის ბესარიონ ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, მას ქმნის ხალხი; ფილოლოგები მხოლოდ აღმოაჩენენ ენის კანონებს და სისტემაში მოჰყავთ ისინი, მწერლები კი ამ კანონებს იცავენ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისას.

მწერალი თავის შემოქმედებაში იყენებს ენის ლექსიკურ შენაღ-
გენლობას, გრამატიკულ წყობას, მაგრამ სისი საქმიანობა ანით არ
ამოიწურება. ლიტერატორის ქუშაობა, — წერდა მაქსიმ გორკი. —
მეტისმეტად რთულია: ადამიანების შესახებ მოთხრობების წერა არ
ნიშნავს უბრალოდ „თხრობას“, ეს ნიშნავს ადამიანების დახატვას
სიტყვებით, როგორც ხატავენ მას ფუნჯით ან ფანქარით. აუცილ-
ბელია ამ ადამიანში იპოვო ხასიათის ყველაზე მყარი ნიშნები,
გაიგო მის მოქმედებათა ყველაზე ღრმა აზრი და ამის შესახებ
სწერო იმდენად ზუსტი, მკაფიო სიტყვებით, რომ წიგნის გვერდებზე
დაბეჭდილი შავი სტრიქონების მიღმა, სიტყვათა ქსელის მიღმა
მკითხველმა დაინახოს ადამიანის ცოცხალი სახე, რათა კავშირი
მოთხრობის გმირის გრძნობებმა და მოქმედებამ შორის მას უღაოვდ
მოეჩვენოს. საჭიროა მკითხველი გრძნობდეს, რომ ყველაფერი რაც
მან წაიკითხა, სწორედ ისე მოხდა, როგორც აღწერილია, და სხვა-
ნაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

ლიტერატურის პირველი ელემენტი, მ. გორკის აზრით, ენა.
სიტყვა ყველა ფაქტორი, ყველა აზრის სამოსელია. მათკერულ ნაწარ-
მოება მოფთხოვებს მკაფიო, ზუსტი ენა, გულმოდგინედ შერჩეული
სიტყვები. სწორედ ასეთი ენით წერდნენ კლასიკოსები, რომლებიც
ხალხურ მეტყველებას ეყრდნობოდნენ, იქიდან იღებდნენ ყოველივე
სასარგებლოს და უკუაგდებდნენ იმას, რაც შემთხვევითი. დროები-
თი, ფონეტიკურად დამახინჯებული და უვარგისი იყო.

მწერლის ენის შესწავლა სხვადასხვა საკითხთან არის დაკავში-
რებული — უწინარეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ — ის ეპოქა,
რომელშიც მწერალი მოღვაწეობდა. სალიტერატურო ენის განვი-
თარების იმდროინდელი მდგომარეობა, დიალექტების ურთიერთ-
მიმართება და რთლი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, ენის
ლექსიკური შემადგენლობა, გრამატიკული წყობა, გამოთქმის ელო-
ბითი სამუშაოებანი.

მწერლის ენაზე დაკვირვება შესაძლებლობას იძლევა გამოვაჯ-
ლინოთ ის ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც შესაწავლი-
მხატვრული ნაწარმოებების სტილური ნიშნების დადგენაში დაგვე-
ხარება.

სანიმუშოდ ამ თვალსაზრისით განვიხილოთ ილია ქაქვიძის
„კაცია-ადამიანი?!“

უწინარეს ყოვლისა ყურადღება მივაქციოთ ლექსიკას. ენახვეთ,
რომ ამ ნაწარმოებში არის ისეთი სიტყვები, რომლებიც ყველა-
სათვის გასაგები შეიძლება არ იყოს, მაგალ-თად, ასეთი სიტყვებია:

ადლი, არტალა, ბუჩო, გაანატება, გაქირი, გომბიო, გონჯი, დაბებრება, დაოსება, დამში მოყვანა, დაყაბულება, დამუნათება, ვიანაჩრობა, ზურგიელი, ზაფრა, თასლიბი, თავაზა, კოტიტა, ლიტრა (საწყაოს ერთეული), მეზერე, მიმედ (ნელა). მავანი, პირწყლიანი, რუმბი, სირაჯი, სტომაქი, უზბაში, ფურკლის ხე (თუთის ხე), ფანატური, ჩარა, ცუდად (უსაქმოდ), წიგნი (წერილი), ჯაბრი და სხვა.

ამ სიტყვების მნიშვნელობის გასაგებად უნდა გამოვიყენოთ როგორც სახელმძღვანელოს სქოლიოები, ისე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“.

ამავე მოთხრობაში ყურადღებას იქცევს სიტყვები და გამოთქმები: ბეგარა, ყმა, მებატონე, სახარება, ცხონება, ჯვრისწერა, პირჯვრის გადაწერა, კუდიანი, ხატი, კურთხევა, ჯადო და სხვ. ეს სიტყვები ძველ ყოფას, ძველ იდეოლოგიასა და მორალს ასახავს და ამდენად ენის პასიურ ლექსიკურ მარაგშია გადასული.

მოთხრობაში გვხვდება კუთხური გამოთქმენი ანუ დიალექტიზმები. ეს ორი გარემოებით შეიძლება აიხსნას: ჯერ ერთი, ილიას მწერლობაში მისაღებად მიაჩნდა ის, რაც ხალხში იყო გავრცელებული, რასაც ხალხი ხმარობდა. მეორეც, იგი განიცდიდა მწობლიური — კახური მეტყველების გავლენას, რაც არ შეიძლება არ ასახულიყო მის ნაწერებშიც.

~~დიალექტური ფორმების განხილვისას უნდა გავარკვიოთ, რომელ სფეროს განეკუთვნება იგი, — გრამატიკას თუ ლექსიკას. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რადგან გრამატიკული დიალექტიზმები სალიტერატურო ენისათვის მიუღებელია, დიალექტიდან შემოსულმა ახალმა სიტყვამ კი, თუ მისი შესატყვისი სალიტერატურო ენაში არ მოიპოვეს, შეიძლება ეს თავისუფალი ადგილი დაიკავოს და სალიტერატურო ენა გაამდიდროს.~~

~~ისიც უნდა გავარკვიოთ, ვის მეტყველებაში გვხვდება დიალექტიზმები — პერსონაჟისა თუ ავტორისაში. ჩვეულებრივ, დიალექტიზმები უფრო ხშირად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება და მწერალი მას გარკვეული მიზნით იყენებს, რათა უფრო სრულყოფილად დაგვიხატოს მოქმედი გმირი. „კაცია-ადამიანის“ ენაზე დაკვირვებისას აღმოჩნდება, რომ დიალექტიზმების ხვედრითი წონა მასში მცირეა.~~

დიალექტური მოვლენები მეტწილად პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება, მაგრამ ავტორისეულ რემარკებშიც არის ასახული. მაგალითად, პერსონაჟთა მეტყველებაში ხშირია რ ბგერის დაკარგვა ზრძ ბგერათა კომპლექსში: „შინა ბძანდება?“ „ეს ტყუილი-კნენი წააბძანე ხულაში“, „აქეთ მობძანდი“ და სხვ. ეგვე მოვლენა გვხვდება ავტორის მეტყველებაშიც: „ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბძანებოდა ხოლმე“...

პერსონაჟთა მეტყველებაშიც და ავტორისეულ რემარკებშიც ვა
ჩგვრათა კონპლექსი შეცვლილია ო ბგერით:

„თქვენ ერთი ბეწო ობლები დარჩით“. „გარეულ მკითხავს ეთქო“. „მე
მარტო ეს უნდა მეთქო“. „მე ბევრისთვის მითქომს...“ „მოსემ ცხენზედ შესო“.
„ფეხზედ დაისო“. „ბრძნად ხომ არ დაჯსომ?“ „ულეაშებს ხელი გადაუსო“.
„სომხებს უნდა გამოვართო“. „შიართო კნინასა“. „კნინამ გამოართო“. „მე უნდა
გამოვართო“. „აქამდინ ვერ წაართო?“ „წაართო სიტყვა დავითმა“, „ჩამოართო
სიტყვა ელისაბედმა“. „ლუარსაბმაც ჩამოართო ბარათი“. „სიძენწუში არ ჩამო-
მართოთ“. „ყმები უნდა ჩამოგვერთოსო“...

მო- ზმნისწინი შეცვლილია მა- ზმნისწინით:

„რა მამივიდოდა?“ „მერე თუნდა მამკალ“. „თავი არ მამიკვდება“. „ქმყო-
ფილება კაცის მამიკვინებელი სენია“. „თქვენკენ მაშინეე გული უფრო მამი-
წევდა“. „კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს“. „შიაცა, ჯერ
დავთვალო“. „ვერ მამიმენდა“. „მეც გული მამივიდოდა“.

რთული ზმნისწინი ჩამო- შეცვლილია ჩამა- ზმნისწინით: „უნდა
თან ჩამამყოლოდი“.

პერსონაჟთა მეტყველებაში გვხვდება სიტყვათა შემოკლებუა
შემთხვევები. შემოკლებულია, როგორც არსებითი სახელი, ისე
ზმნა; მაგალითები:

„ქა, როგორ იქნებოდა?“ „მამა ქა!.. ფულს ისე ვინ განდობს?“ „დახე იმან,
იმ წყეულს“. „დაიცა, რა გითხრა“...

„ქა“ შემოკლებული სახეა „ქალო“ სიტყვისა, „დახე“ ნიშნავს „დახედე-ს“,
დაიცა — „დაიცადე-ს“.

მსაზღვრელ-საზღვრული სახელების ზრუნებას თუ დავაკვირდე-
ბით, შევამჩნევთ შემდეგ მოვლენებს:

ფუძეთანხმოვნიანი მსაზღვრელი, როცა საზღვრულს წინ უსწ-
რებს, მიცემით ზრუნვაში სრული დაბოლოებით არის წარმოდგენი-
ლი: „მივარდა გაშოტილს ლუარსაბს“, „ერთს უღელში შებმულან“.

მსაზღვრელ სახელს ბრუნვის ნიშანი სრულად აქვს შენარჩუნე-
ბული ნათესაობით ბრუნვაშიც: „ეს მოხდა ერთის აზნაურიშვილის
სახლში“. „სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელი?“ შეიძ-
ლება მსაზღვრელი მხოლოდ ფუძით იყოს წარმოდგენილი: „მოტე-
ხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი“.

მოქმედებითში დასმულ საზღვრულ სახელთან მსაზღვრელი
სახელი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს იჩენს: „საშინელის ხმით ტი-
რის“. „მივიდა სიძე დიდის მაცრიონით“. „მართალის გულით სთქვა
ლუარსაბმა“. „ლაზათიანად იგაიწერებოდნენ თბილის წყლით“...

მოქმედებით ბრუნვაში დასაწული მსაზღვრელი ზოგჯერ ფუძის სახით არის წარმოდგენილი: „ელისაბედმა დაბალ ხმით დაიწყო“.
„განუშორებელ მეუღლითურთ“...

ბრუნვაში შეთანხმების ასეთი წესები იმდროინდელ სამწერლო ენაში დასაშვებია იყო. მსაზღვრელ-საზღვრული სახელების ბრუნება თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით სხვა წესებს ემორჩილება.

მოთხრობაში მოიპოვება სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საინტერესო ისეთი სიტყვები, როგორცაა: მცირედი („მოაჯირს ეკრა ზედ შერცხლის ბუღესავით ერთი მცირედი ფიცრული“), ნაბარათევი („ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათევი, ჩამომიტანე“), აუხაშხაშ-და („ლოყები აუხაშხაშდა კიდევ“), გააქარწყლებს („თუ შაკიკია, გააქარწყლებს მაშინვე“), მოიკატუნა („თავი მოიკატუნა“), ჭორიკანობა („უნდოდა დაეწყო კიდევ ელისაბედს ჭორიკანობა“), ჭიისკარები („ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიისკარებითა“), მოტირალე, მოცინარე („ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი თუ მოტირალენი?“), მაორთქლავი („თვალწინ წამოუდგა მაორთქლავი მათლაბა“), უარარაობა („უარარაობას ეგა სჯობია“), გამჭრე („თუ კაი გული გაქვს და გამჭრე გონება“), პაწაწა („პაწაწაწინა ნიგვზის ტოტი“...).

მოთხრობაში რიცხვითი სახელი „ხუთმეტი“ წარმოდგენილია „ხუთმეტის“ სახით: „რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?“ ამასთან დაკავშირებით მოვიგონოთ რიცხვითი სახელების წარმოება: რაოდენობითი რიცხვითი სახელები თერთმეტიდან ცხრამეტამდე იწარმოებოდა ათზე ერთეულების აღმნიშვნელი სახელებისა და სიტყვა „მეტის“ დართვით: ათ-ერთ-მეტი, ათ-ორ-მეტი, ათ-სამ-მეტი, ათ-ოთხ-მეტი, ათ-ხუთ-მეტი, ათ-ექვს-მეტი, ათ-შვიდ-მეტი, ათ-რვა-მეტი, ათ-ცხრა-მეტი. ამათგან შემდეგ ყველას ჩამოშორდა თავიკიდური ა ხმოვანი და დარჩა თერთმეტი, თორმეტი, ცამეტი (ც მიღებულია თ და ხ ბგერების შერწყმით), თოთხმეტი, თხუთმეტი, თექვსმეტი, ჩვიდმეტი (ჩ მიღებულია თ და შ ბგერების შერწყმით), თვრამეტი (თ და ვ ბგერების გადასმით), ცხრამეტი (ამ უკანასკნელ სიტყვაში უნდა გვქონდეს თცხრამეტი, მაგრამ თცხ კომპლექსში თ-მ ვერ გაძლო და ჩამოსცილდა). „ხუთმეტი“ არალიტერატურული ფორმაა. მასში თ-ს დაკარგვა არ შეიძლება აიხსნას ხ ბგერასთან მეზობლობით, რადგანაც ქართულში ბუნებრივია თხ კომპლექსი: თხა, თხრა; მოთხრა, კითხვა, უთხრა, სითხე, თხელი, თხილი და ა. შ.

თავისებურებები შეინიშნება თანდებულების გამოყენებაშიც. მოთხრობაში გვხვდება მდინ თანდებული, რომელიც მდინ თანდებუ-

ლის დიალექტური ფორმაა. მდინ დასტურდება როგორც პერსონაჟთა, ისე ავტორის მეტყველებაში:

„ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი“. „ღილიდამ შეადღემდინ ფეხხედ იღგა“. „მომხდარა ისე, რომ სადღოლხამდინაც ამ ნებურობაში უკემური დრო ვაუტარებია“. „ათ ურმაშდინ საბჯრო ებმებოდა“. „ღილი საქმე იყო პატრონამდინ ისე მიკელწიათ“...

თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ლიტერატურული ფორმაა თანდებული მღე (მდის).

დამ თანდებული ი. ქავჰავაძის სხვა ნაწერებშიც გვხვდება. იგი გამოყენებულია „კაცია ადამიანშიც“. „გადატრილდა ერთი გვერდიდამ მეორეზე“. „მამ საილამ იცი?“ „შევარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ“. „ქიისკარიდამ იწყება კალო“. „შორილამ მოისმა დათოს სმა“.

ვით თანდებული ფუძემოვნიან სახელებს ყოველთვის მიცემით ბრუნვაში მართავს, ფუძეთანხმოვნიანი სახელები კი შეიძლება სახელობითი ბრუნვის ფორმითაც შეეწყოს და მიცემითი ბრუნვის ფორმითაც. „კაცია-ადამიანში“ ეს თანდებული ფუძეთანხმოვნიან სახელთან 43-ჯერ გვხვდება, ამთგან მიცემითში დასმულთან 38-ჯერ, სახელობითში დასმულთან — მხოლოდ 5-ჯერ. როგორც ჩანს, ი. ქავჰავაძე უპირატესობას ანიჭებდა ვით თანდებულის დართვას მიცემითში დასმულ სახელთან.

ვით თანდებულიანი სიტყვები (ბებერსავით, ბუდესავით, ბუზსავით, ბურთასავით, გამარჯვენულსავით, გაჯავრებულსავით, გოქსავით და სხვ.) გამოყენებულია შედარებისათვის. ამავე მიზნით გამოყენებულია ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი რთული ქვეწყობილი წინადადებები, ოღონდ „კაცია-ადამიანში“ ვით თანდებულიანი შედარებები სკარბობს: შედარებათა 82 მაგალითიდან ვით თანდებულიანი 50, ხოლო ვითარების გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი — 32.

საინტერესო ფორმებია: „ჯიბებშია“, „გულშია“, „მიწაშია“ და სხვ.

„იმისი კალთები ვაჟაკურად ამოტარებულა ჰქონდა ჩოხის ჯიბებშია“. „ეს რა წამოვროხეო, სთქვა გულშია“. „ხომ სტაროდი სიზმარშია?“. „მარტოა ჩამფალი შავ მიწაშია“. „შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულშია“. „წავეო ცხვირი მიწაშია“.

რა ფორმებია ესენი?

როგორც პროფ. აკ. შანიძეს აქვს ახსნილი, „შია“ ფორმა შეიძლება მიგველო „შინა“ ან „შიგან“ თანდებულებში ნ და დ თან-

ხმოვნების დაკარგვით. მაშასადამე, „ჯიბეშია“ ნიშნავს „ჯიბეს წინა“, ანუ „ჯიბეში“ და ა. შ.

ენობრივი თვალსაზრისით საყურადღებოა ზოგიერთი ზმნა, რომლებიც დიალექტური ფორმებითაა გამოყენებული. ამ მხრივ აღსანიშნავია - ევ სუფიქსიანი ზმნები, რომლებიც მეორე და მესამე სერიებში თემის ნიშნისეულ ვ-ს ინარჩუნებენ, მაგალითად:

წყვეტილი:

„სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნია“. „გაუქნია თანაც ხელი ლუარსაბმა“. „ლუარსაბმა ყურები დაცქვიტა და ახლო მოიწია“. „ხალხი მოსემ არ მოიწია“. „ჩაერია დარეჯანი“. „მე მაშინვე მუხლზე ვემთხვიე“. „ისევ რაღაცა მოკორება ირჩია“. „თვალევი უგემურად მიელაია“ და სხვ.

კავშირებითი II:

„თუნდა დამამწყვდიეოს, არაფერი“. „ალექმა მივეც, რომ დედობა გაგიწიო“.

თურმეობითი II:

„გძელაძესაც ეს ამოერჩია“.

თურმეობითი პირველი წარმოდგენილია ნარიანი ფორმებით:

„განა არ დამიხედნია, შენი კირიშე!“ „შენ როგორღაც გულში ჯერ არ გადაგიწყვეტნია“. „ერთი ჩითმერდინი უყიდნია“. „აქ ხშირად უქვიფნიათ“...

ნარიანი ფორმებია თურმეობით მეორეშიც:

„უნდოდა... მიწა აეგლიჯნა“. „ყველას ხატსავით უნდა ელოცნა“. „შენი კირიშე, მკითხავს ვერ იშოვნინდენ, რომ ეკითხნათ!“. „შარვლის ტოტები ჩაეკეცნა... ჩეშებში“...

ნარიანი წარმოება კავშირებით მეორეშიც გვხვდება ვნებითი გვარიან ზმნებში:

„ფრთხილად უნდა ეყენეთ“.

ასეთი ფორმები კახურისათვის ჩვეულებრივია და ზოგი მათგანი ისტორიულად სალიტერატურო ქართულის დამახასიათებელიც იყო, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კი ისინი შეცვლილია ახალი ფორმებით.

ზმნების განხილვისას ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ი. ჭავჭავაძე ობიექტურ პრეფიქსებს ზ და ხ-ს ხმარობს ერთპირიან ზმნებში:

„ქალი აქა ჰდნება“. „რა განზრახვით ჰლაპარაკობს“. „ჰწიოდა საწყალი

წინაა. „ხვენეშის კწეალობს... ჰკანკალებს“. „დაეითი და ელისაბედო იცინიან. ჰხტიან“. „ხალისიანად ჰქშენს ჩვენი ლუარსაბი“. „საფლავის პირზედ დაეითი სდგას“. „თუითონ მამა დიდს უარზედ სდგას“. „ჰუჰყუიანი სამოვარი სდგას“.

შ და ხ ყველგან ზედმეტია, ვინაიდან ეს ზმნები ერთპირიანებია და სათანადო ნიშანი ბოლონი ერთვის.

თავისებურებას იჩენს „ქმნა“ ზმნაც, რომლის ფუძისეული შ დაქარგულია პირველ ფორმებში:

„შე შავს არა ვიქ“. „რაღა რასა ვიქ, შენი კენესამე“. „მშ არა იქს, რაღა?“. „ჩემი ლუარსაბი შავს ვერ იქს“.

სალიტერატურო ქართულში ისმარება „იქმს“ ან „იზამს“.

„მყავდეს“, „გყავდეს“ ფორმების მაგივრად გვხვდება დიალექტური „მყვანდეს“, „გყვანდეს“.

„განა შვილი იმისათვის მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს“. „დატუქაული უნდა გყვანდეს“. „ავად შენი მტერი გყვანდეს“. „ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ“. „შვილი, არა ჰყავნდით“.

ასეთია ძირითადად ის განსხვავებული ფონეტიკურ-მორფოლოგიური მოვლენები, რომლებსაც „კაცია-ადამიანში“ ვხვდებით. მაგრამ მარტო მათი განხილვა ცხადია, ვერ ამოწურავს „კაცია-ადამიანის“ ენობრივ თავისებურებებს.

საკუთრად ყურადღება შევაჩეროთ ერთ მნიშვნელოვან მომენტზედაც. ესაა ანდაზებისა და ხალხური სასაუბრო ფრაზების გამოყენება თხრობის დროს ან პერსონაჟთა მეტყველებაში.

ასეთი ანდაზებია:

ბედი მომეცი და სანახევრედ გადამაგდო.

ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდას.

ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო.

მოყვარეს პირში უფრახე, მტერს პირს უკანო.

როგორც გიჰირდეს, ისე გიღირდესო.)

სიღრთხილეს თავი არ სტკივავო.

უპატრონო საყდარს ეშმაკები დაეპატრონებიანო.

ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო.

ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო.

ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო.

ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო.

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.

ზოგი ანდაზა გადაკეთებულია, პერიფრაზებულია. მაგალითად, ანდაზა „აზნაურის სტუმრობაო ნუ გგონია ხუმრობაო“ გადაკეთე-

ბულია ასე: „ღიანბეგის სტუმრობა ნუ გგონია ხუმრობა“, ანდაზა „ქარის მოტანილს რაეე ქარი წაიღესო“ მოთხრობაში ერთ ადგილას გვხვდება ასეთ კონტექსტში: „ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც ქარის გატანილიო“.

მოთხრობაში გამოყენებულია ხალხური სასაუბრო ფრაზები, მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ თქვას: ლუარსაბი გარდაიცვალა, ავტორი ამბობს: „მოუფიდა კუქის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა“. დარეჯანის შესახებ ამბობს: „დარეჯანს ფეხები გააჰქიმიან“. „ფეხები გაქიმა“ ნიშნავს „მოკვდა, გარდაიცვალა“. ამასვე ნიშნავს „ჩაჰბარდა პატრონსა“. ქართულში სხვა სინონიმური გამოთქმებიც არის, მაგალითად, „თქვენი კირი წაიღო“, „ჩიბუხი მიაყუდა“, „ფეხები გაფშოკა“. „სული განუტევა“ და ა. შ.

ასეთივე ხალხური სასაუბრო ფრაზებია:

„ქობი აქ მომპირია“ (აქ დავბადებულვარ), „ფეხებზე ეკილა მოსაველიც და მამულიცა“ (არ ზრუნავდა მოსავლისათვის, მამულისათვის: მოსავლისა და მამულის საქმე არ აწუხებდა), „იმას ხახა უნდა დაეუღბოთ“ (რამით უნდა მოვიწყიდოთ, მოეჭროთ), „ვინც რა უნდა გითხრას, ფეხი შავრა დაჰქირე“ (შენს ნათქვამს ნუ ვადახვალ, დაბეჯითებით მოითხოვე), „ბანზედ სოტყვა გადაადგდო“ (ლაპარაკი სხვა საგანზე, სხვა თემაზე გადაიტანა განგებ), „დარეჯანი ქეიფზედ იყო“ (კარგ გუნებაზე, კარგ ხასიათზე იყო) და სხვ.

ასეთი ფრაზები „კაცია-ადამიანში“ ბლომადაა.

ხალხური სასაუბრო ფრაზებიდან შეიძლება ცალკე გამოვყოთ ფიცილოს წინადადებები, როგორცაა:

„თავი არ მამიკვდება“; „შენ არ მომიკვდე“; „თქვენც არ მომიკვდეთ“; „ის დედისერთა შვილი არ დამიმიწდეს, არა უთქვამს რა“; „აგრემც ჩემზედ მიწა ნუ გენახოთ“; „ეგრე გახლდათ, თქვენი დაუტირებელი არ მოკვდე“; „მიხარიან, თქვენმა მზემ, რომ ქალი მოგეწონათ“ და სხვ. ასევე შეიძლება გამოიყოს წყევლის წინადადებები: „მეხი კი დაგეცა მაგ უხეირო თავზე!“ „მეხი კი დავაყარე იმისთანა კვეთანსა!“ „თავშიაც ქვა უხლია“ და ა. შ. :

პროფ. აკაკი შანიძის აზრით, ილია მოტრფიალე იყო ანდაზებისა და ლამაზი გამოთქმებისა.. ანდაზა-აფორიზმების შიგადაშიგ ჩართვა თავის ნაწერებში ან თავსა და ბოლოში დატანემა ერთი ნაწინადადებით თვისებაა ილიას სტილისა (ა. შანიძე, ილია ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის: ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული, თბილისი, 1939, გვ. 27).

წერლის ენაზე დაკვირვებისათვის მნიშვნელობა აქვს თხზულებაში გამოყენებული სინონიმების, ომონიმების, ანტონიმების

გამოვლინებას და მათ ანალიზს. სიტყვების გადატანითი. არაპირდაპირი მნიშვნელობით სმარებას, განმეორებას, დიალოგებზე ეაკვირებას, ავტორისეულ რემარკებს, რომლებიც ამ დიალოგებშია ჩართული, და სხვ.

ვნასოთ, როგორ იყენებს სინონიმებს ი. ჭავჭავაძე მეორე მოთხრობაში — „ოთარაანთ ქვრივი“.

„ოთარაანთ ქვრივი“ ხშირად არის სინონიმება გამოყენებული. გვხვდება სინონიმური არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები (და მიმღეობები), ზმნები და ზმნიზედები. ამათგან ყველაზე მეტია სინონიმური ზმნები, შემდეგ — ზედსართავი სახელები და მიმღეობები, არსებითი სახელები და ზმნიზედები.

ა) სინონიმური არსებითი სახელები

N 20. 1.

ამანათი, მონაბარი: შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი არ იყოს!

ეული, ბოგანა: იცოდნენ, რომ ოქახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე ბოგანა.

ვარამი, ჭირი: ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს.

მომღელი, პატრონი: კარგი მომღელი და პატრონი ასჩენიათ.

პირველობა, უფროსობა: პირველობას და უფროსობას არც კი დედა დათმობდა. რიდი, კრძალვა: ახლოც თურმე აღარ გაუარა ოთარაანთ ქვრივსა რადისა და კრძალვისაგან.

სახლი, ოქახი: გიორგი სახლსა და ოქახში ბატონობას არ შეეცილა დედას.

სიხარული, ლენა: იმის შტეი სიხარული და ლენა სხვა არა ჰქონდა რა.

ხეყნა, ვედრება: იმისმა თვალმა, კესოზედ მოქცეულმა, უფრო ხეყნა და ვედრება თქვა, ვიდრე ენამ და ხმამ.

ბ) სინონიმური ზედსართავი სახელები და მიმღეობები

გაპირვეულებული, გააკასებული: ტირილით გაპირვეულებულს და გააკასებულს ბალღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ.

გულმოდგინე, დაუზარებელი: ესეც იმისავეთ გულმოდგინეა, დაუზარებელი, ხელმართალი.

გულჩახვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი: ეს ცუდ... კაცი, შველი, გულჩაკეტილი, ჩუმი.

დამალული, მიუგნებელი: საყვარლის ტყვიელი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია.

დამდნარი, მიღეული, მიხრწნილი: ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩაეარდნარო, დამდნარი, მიღეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

დონდლო, დუნე: ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი.

ლაზათიანი, მოწონებელი: ერთი ლაზათიანი, შენი მოწონებელი ჩაუთხლემია თავში.

პირდღერემილი, წარბშეკრული: სულ პირდღერემილია და წარბშეკრული.

უხეირო, უნდილი: ეს დედაცაიცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო.

ფრთხილი, მშიშარა: ყოველგვარი სიყვარული. ფრთხილია და მშიშარა. |

გ) სინონიმური ზმნები

ამოლება, მოთხრა: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა.

აცივება, აყინება: აცივდა, აყინდა.

გაძლიერება, მომატება: უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო დიდდება. გაძლიანება, გაეკრება, გაეჭიჭება: ისე გაუძლიანდა, გაუეკრა, გაუეჭიჭა ტრავილსა და წვა-დაგვას.

გაჩუმება, გამუნჯება: ქვეყანა უფრო გაჩუმდა, უფრო გამუნჯდა.

გარბენა, გაშურება: იქ გარბოდა და მიეშურებოდა.

გაოცება, გაკვირვება: გიორგის ეოცა, გაუკვირდა.

გამოლება (ხელისა), ატება (ჩხუბისა), გამოდება (თავისა): თუ საკირო იყო ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტებდა, თავს გამოიღებდა.

დაპნევა, დაბლერტვა: რაც მაღლი ჰქონდათ, სულ აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებლერტნათ.

დაღვრემა, გულის დახურვა, ჩაკეტვა, დანადგლიანება: შეიღვს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაკეტა, უფრო დანადგლიანდა.

დაკერა (თავისა), დაწყნარება, დამორჩილება: ოთარაანთ ქვრივმა თავი ევლარ დაუქირა გულს, ევლარ დაიწყნარა, ევლარ დაიმორჩილა.

ელდის ცემა, გაფითრება, გაშრობა, გაშტერება: კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა.

კითხვა, ძიება: აღარაფერი იკითხა, აღარაფერი იძია.

მობერება, კლარის მორევა: შემოდგომა... მიჰბერდა და კლარა მოერია.

მოკრძალება, მორიდება: ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი.

მორევა, ძლევა: რა მოერია, რამ სძლია, რამ დაულონა შეილი, დედას ვერ გაეგო. მოღერება (მუშტისა), დამუქრება: მუშტს უღერებდა, იმუქრებოდა.

ნატვრა, დახარბება: სხვა არაფერი ენატრებოდა, არაფერი ეხარბებოდა ამ დედამიწის ზურგზე.

რჩოლა, დაკიდება: ფიქრი კი მაინც ერჩოდა, ეკიდებოდა.

ტუქსვა, შერისხვა: დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდა.

შერჩენა (ჯავრისა), დაჩაგვრინება: ჩემს ჯავრს არავის შეეარჩენ, ტყუილუბრალოდ არავის დავეჩაგვრინებო.

ჩაკეტვა, დახურვა: რას ჩაკეტოლხარ და დახურულხარ შენს გულში? ძაგება, შეზიზლება: მე კი ჩემი თავი მძაგს და შეზიზლება.

წაღება, აყოლება: გუმანმა კი წაიღო, გუმანმა აყოლა მისი გუნება.

წვა, ბუგვა, დაგვა: ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწევს და ჰბუგავს.

გაუეჭიჭა ტკივილსა და წვა-დაგვას.

წუხილი, მტკივნეულობა: ეხლა ამას სწუხდა, ამას მტკივნეულობდა დედა.

ხვეწნა, ვედრება: ეხვეწებოდა, ევედრებოდა არჩილი.

ხამუშობა, უცხოობა: როგორღაც ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლამხანაგური ქცევა.

დ) სინონიმური ზმნიზედები

დასაგველ-დასაწმენდად: გამოვიდა დერეფნის დასაგველ-დასაწმენდად.

გულდასმით, კრძალვით, სასოებით: გეგონებოდათ კლოტულობსო, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმენდასა.

დინკად, მშვილად, ტბილად, უწყინარად: ამისი ვარსკვლავი... ესა მარტოე
ჩადიოლა დინკად და მშვილად, ტბილად და უწყინარად.
მუღმივ, განუწყვეტლად: ძეღმივ და განუწყვეტლად წყალი ჩამორხხიუტებუა.
უთქმელად, უტყვად, სპაპოუღებლად: ქალადღებდა უთქმელად, უტყვად, ხა-
ამოუღებლად.

უმაჯიზოვ, ტყელი-უბრალოდ: არ ახსოვს გიორგის, რომ დედა უმიხეზოვ,
ტყელი-უბრალოდ დაეტუქსოს.
უნებურად, უცოდნელად: ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა.
წუნარად, აუჩქარებლად: მილიოდ-მოლიოდა წუნარად და აუჩქარებლად.

სინონიმების სიუხვე აძლიერებს „ოთარაანთ ქვრივის“ მხატვ-
რულ ღირებულებას. ავტორი სინონიმების გამოყენებით აღწევს
აზრის ფაქიზი ნიუანსების მკაფიოდ გადმოცემას.

ავტორი ამავე მოთხრობაში მკითხველის ყურადღების გამახვი-
ლებში მიზნით ხშირად მიმართავს ცალკეული სიტყვების გამოორე-
ზას.

გამეორებულია არსებითი სახელები:

„ბადალი არა ჰყავს, ბადალი ამ სოფელში“. „ბარს დაქარავს; ბარს, ასე გგონია
დედამიწა უნდა. შუაგულამდე ჩააჭრიოსო“. „გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხ-
კაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ
ნახვო როდისმე“. „დედა ვარ შენი, დედა“. „ნამუსი ჰქონია, ნამუსი!.. ის დიდი
ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩია, როგორც თავისას“. „იმის მეტი სხვა-
რული და ლენა სხვა არა ჰქონდა რა, რომ შეილიათვის ეცქირნა, შეილისთვის
ეცოცხლნა“. „გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა“. ჭადომაყ
იცის, შვილო ჭადომაყ“. და სხვ.

გვხვდება ნაცვალსახელების, ზმნიზუდების და სხვა მეტყველე-
ბის ნაწილთა გამეორების შემთხვევებიც. მაგალითად:

„ჩემის თვლით მინახავს, ჩემის ყურით გამოვიგონია“. „გიორგი იქ იყო და იქ“
„ძვირად, ძალიან ძვირად კი შეემთხვეოდა, რომ იმის ბაღში სხვა არაფერ უოფი-
ლიყო“ და სხვ.

მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ზმნების (შემასმენლების)
გამეორების მაგალითები. გამეორებული ზმნა-შეპასმენლები ერთ-
მანეთთან მეტწილად „და“ კავშირით არის შეერთებული. ამ ხერხს
ავტორი მიმართავს იმისათვის, რომ ზმნით აღნიშნული მოქმედება
წარმოგვიდგინოს განგრძობად პროცესად და ამით გააძლიეროს
სიტყვის ემოციური ძალა, მაგალითები:

„ბატონს ატყუებ და ატყუებ“. „ეს ხომ აწუხებდა და აწუხებდა. ამ
მწუხარებას ერთი სხვა ნაღველიც ზედ დაემატა“. „წიგნში ეს დანახული გვაქვია,
ენახვდაც ხომ გვაყვარა და გვაყვარია“. „თითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც

ნიერძო ურბნე“. — დამე კი მიდიოდა და მიდიოდა“. „პირველნი ხომ კარგა წყალს მოინდომებს და მოინდომებს, მინამ რქა იხეირებს“. „ჰმუშაობ და უცებ გაირინდები ხოლმე“. — დედამ უყურა, უყურა გამალბებელს შეიღსა- და სხე.

აეთი დაკვირვება მწერლის ენაზე წესაძლებლობას იძლევა სრული წარმოდგენა მივიღოთ ამა თუ იმ თხზულების. ხოლო ყველა თხზულების შესწავლის შედეგად — საერთოდ მწერლის ენის თავისებურებაზე.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი 1. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „ხმელ წიფელში“ მოძებნეთ ხინონიმები და დააკვირდით, ამ სიტყვების გამოყენებით რას აღწევს მწერალი.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი 2. დასახლებულ მოთხრობაში მოძებნეთ ანტონიმები და დააკვირდით, რა მიზნით გამოიყენა ისინი მწერალმა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი 3. ჩამოთვლილი ერთგვარი წევრები განაერცეო. შეაყვანეთ ხინონიმებით:

- ა) ამ სამს ტოტში წელიწადში მარტო ერთს გამოუვა ხოლმე სამი ცუდ ოთხი ფოთოლი, ისინიც ღერწასული, დამკვანარი, გავითლებული...
- ბ) წიფელი იდგა შეუშფოთრად, წარბშეუხრელად..
- გ) ზაფხულობით უფრო შესაბრაღისია ხმელი წიფელი, სხვა წეები მორთულან მწვანის ფოთლით, უენებელნი, უღარდელნი...

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი 4. წაიკითხეთ ი. ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-აღამიანის“ 1 თავი. წინადადებით — „კარგი რამ იყო თავად თათქარძის სახლ-კარი“ — რას გულისხმობს მწერალი? მონახეთ მწერლის მიერ გადატანილი მნიშვნელობით ნახშირი სიტყვები (ამავე მოთხრობიდან).

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ი 5. დაუკვირდით ავტორისეულ რემარკებს: რას გამოხატავენ ისინი?

- ა) — დრო გამოიყვალა, — იტყოდა ხოლმე აღმოსოხვრით ლუარსაბი. დრო გამოიყვალა, რაც ეს რაღაც ეშმაკურა სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველი კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერა კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებს და!.. კამით ისინი ვერ კამენ, სმით ისინი ვეღარ სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცო, კაცი ზღარ ვარ, ქული არა მხურავს, განა! ხორცი შე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაეკაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის ღონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო, ვენაცვალე! კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატროსანი.

ეპ, ჩემო ლუარსაბ! ვიცო, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველ დროს ტყუილად შექნატარი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა

კი ნაშანში ვერ მივა? მარჯვე მალავი უკრავ? ესლავ
არის ეს ყველაფერი. მაგრამ ის გული აღარ არის. ის გულ-
ლია მიმხურვალე. ის თავდაპირველად ნამდვილსათვის. რომე-
ლიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი სკამში ახმარებდა.
შინ კაცი ამშვენებდა ცხენსაც და თოფსაც. ახლავ
ცხენი და თოფი კაცს ამშვენებს. კარგი იყო ძველი ცარი.
მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია. ურ-
გო: „ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდას“. — ესა გთქვამ
და ენა მოგიკვნიტო, თორემ.

ბ) — ოღონდაც, დატუქსული უნდა გყვანდეს, — მიუგო ხელახლად
თავის ცოლის ნიბრძნისხაგან გაოცებულმა ლუარსაბმა.

გ) — ღარჯან, აბა თუ ქვიანი დედაკაცი ხარ, გამოიყან, ამ უცხოზე
რამდენი ბუნა ზის?

— აბა ხადა?

— ს. შერის ფიცარზედ.

თურმე, ნუ იტყვით, ამ სასაცილო ლუარსაბმა. დარუ-
შებულნი რომ იყვნენ, იმ დროს ის ბუზები უთქლია
დარეჯანმა რა იცოდა.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ მ 6. დ. კლდამშვილის რომელამე მოთხოვიდან მოქმნეთ
ავტორისეული რემარკა. გაანალიზეთ, რის თქმა სურს მწერალს.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ მ 7. შეადარეთ ნ. ბარათაშვილის ზოგი ნაწარმოების ქვე-
მოთ მოყვანილი ვარიანტები და დადგინეთ, რატომ ამჯობინა პოეტმა ესა თუ
ის სიტყვა ან წინადადება პირვანდელს.

„ლ უ რ ა ჯ ა დ მოღელავს და დუღუნებს მტკვარა ანკარა“. შესწორებულია:
„ნ ე ლ დ მოღელავს მოდუღუნე მტკვარა ანკარა“.

„მ რ ა ვ ა ლ თ ა დ რ ო თ ა მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყუარ“.

შესწორებულია: „მ რ ა ვ ა ლ დ რ ო ე ბ ი ს მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყუარ“.

„ნუ დავიმარხო მ შ ო ბ ე ლ ა მ ი წ ა შ ი, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის“.

შესწორებულია: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ
საფლავებს შორის“.

„დიდა ხანია, რომ ბედი ქართლის გადაიწყვიტა გულმან ირაკლის!“,
შესწორებულია: „დიდი ხანია, გულს ირაკლისა გარდუწყვეტია ბედი ქართლისა!“.

✓ წინადადების წმინტა მრავალფეროვნება 21

ახრე სიტყვების საშუალებით გადმოიციემა. სიტყვები წინადა-
დების წევრებია. წინადადების წევრთა მრავალნაირი ფორმების
არსებობა განპირობებს სტილის მრავალფეროვნებას.

შეუგენილი შემასმენლის ზმნური და სახელადი ნაწილი, უბრა-
ლო დამატება მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში
(თანდებულიანი და უთანდებულო ფორმებით), განსაზღვრება, ვითა-
რების, მიზეზისა და მიზნის გარემოებანი, მათი ადგილი წინადადება-
ში და განსაზღვრებული ფორმები ქმნის სტილურ ნიჟანსებს.

ენაში არსებული ფორმების გეგმაზომიერად გამოყენება, წინა-

დადებაში სიტყვისათვის საჭირო ადგილის მიჩენა გამართული სტილის დამახასიათებელი თვისებაა.

სტილის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილის „არის“ და მისი შემოკლებული სახის „ა“-ს ხმარების საკითხი. ორივე ფორმა — შ ი წ ა ა და შ ი წ ა ა რ ი ს იხმარება სალიტერატურო ქართულში მაგრამ ამ ფორმების მოხსარების არე შეიძლება განსხვავებული იყოს, თუ ერთ შემთხვევაში საჭიროა „არის“, იმავე სიტყვათან სხვა კონტექსტში „ა“ გამოდგება. ეს ერთგვარად სტილის საკითხია. „ა“ უფრო ლაკონურა ხდის შეტყუვლებას, მაგრამ „არის“ უფრო მკვეთრად უსვანა ხაზს რამის არსებობას, ყოფნას ან თვისებას, მაგ. „ისეთი თავმდაბალია და ყველას მორჩილი, რომ კაცი სულში ჩაიძვრენს“ (ლ. ქიაჩ). აქ ხაზი ესმის თ ა ვ დ ა მ ბ ლ ო ბ ა ს.

რა მდგომარეობა გვაქვს ზმნური ნაწილის „ა“-ს ხმარების თვალსაზრისით ხმოვანფუძიან და თანხმოვანფუძიან სახელებთან?

„ა“ და „არის“ ფორმები ხმოვანფუძიან სახელებთან პარალელურად გვხვდება, მაგალითად:

ჩვენი წიგნი დე დამიწაა ვენაცვალე იმის მადლს (ილია).

დედამიწის სარკე ზეცა არის (ილია).

რას მიქვიან ტბილი სიტყვა, თ ვ ა ლ თ მ ა ქ ე ო ბ ა ა (ილია).

ძალიან ხშირია „ა“-ს ხმარება თანხმოვანფუძიან სახელებთან:

ჩვენი კალამი დაულაღვი გუ თ ა ნ ი ა, შელანი კიდევ გულ-ღვიძლიდამ გამოწურული ჩვენი ო ფ ლ ი ა (ილია).

შენისთანა ოსტატი შეგირდის ს ი ხ ა რ უ ლ ი ა (ილია).

„ა“ და „არის“ ერთდროულად:

სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმარ, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის (ილია).

ეკითხულობთ ამ წინადადებებს და შედგენილი შემასმენლის ზმნურ ფორმებად „ა“ და „არის“ ფორმების ხმარება სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, არავითარ უხერხულობას არ ვგრძნობთ.

შედგენილი შემასმენლის ზმნური ფორმების გამოყენებისას შეიმჩნევა სტილური გადახრა, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ა სულ სხვა სახელთან უადგილოდ არის შერწყმული, მაგ.:

„რომელი ქიმიური ელემენტების სახელწოდებანი გამოჩენილი მეცნიერებინ გვარების მსგავსია?“

უნდა იყოს:

„რომელი ქიმიური ელემენტების სახელწოდებანია გამოჩენილი ნეცნიერების გვარების მსგავსი?“.

ბ) როცა წინადადებაში ერთგვაროვანი წევრები და კავშირით ერთდება, მაშინ ზმნური ნაწილის ხმარება მხოლოდ ერთ სახელად ნაწილთან არის მიზანშეწონილი და არა ორივესთან (ყველასთან). მაგ.:

მისი პოეზია მეტად მდიდარია და მრავალფეროვანია.“

უნდა იყოს:

„მისი პოეზია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია“.

ან კიდევ:

„ვარდი ღამაზია და სურნელოვანია“ კი არა, არამედ „ვარდი ღამაზი და სურნელოვანია“ ან „ვარდი ღამაზია, სურნელოვანია“.

გ) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი მეორდება, რაც სტილს აუფერულებს, მაგ.:

„ნაღვლიანი იმიტომ ხარ, რომ დიდი ხნის უკმელი ხარ“.

ასე სჯობს:

„ნაღვლიანად იმიტომ გამოიყურები, რომ დიდი ხნის უკმელი ხარ“.

დ) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი მოკვეცილი ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ.,

„გივი და კოტე კარგი მეგობრები“.

როცა სახელად ნაწილად მრ. რიცხვში დასმული სულიერთა ჯგუფის სახელია ნახმარი, მაშინ ზმნური ნაწილი სრული ფორმით უნდა გამოვიყენოთ:

„გივი და კოტე კარგი მეგობრები არიან“.

ე) შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი შეკვეცილი ფორმის ნაცვლად სრულადაა წარმოდგენილი, მაგ.:

„წყალტუბოს სამკურნალო წყლებს შორს ჩვენი ვრცელი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც აქვს განთქმული სახელი“.

ამ წინადადებაში „აქვს“ წარმოდგენილია „არის“ მეშველი ზმნის ფუნქციით. თუ „აქვს განთქმული“-ს ნაცვლად კვლავ შედგე-

ნილ შემასმენელს — „განთქმულის“ — გამოვიყენებთ, წინადადება ასე აიგება:

„წყალტუბოს სამკურნალო წყლები განთქმულია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც“.

თავიდან ავიცდინეთ მეტსიტყვაობა და მივიღეთ სხარტი წინადადება.

ვ) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი — მიმღეობა — მრავლობით რიცხვშია, მაგ.:

„ეს შემოყვარდი, თითქოს ბავშვობიდან ერთად ვიყოთ გაზრდილები“,

სწორია:

„ეს შემოყვარდი, თითქოს ბავშვობიდან ერთად ვიყოთ გაზრდილი“.

საერთოდ, ასეთ შემთხვევებში შედგენილი შემასმენლის მიმღეობური სახელადი ნაწილი ყოველთვის მხოლოდითი რიცხვის ფორმით უნდა ეხმაროს.

უ ნ დ ა და ხ ო მ ნაწილაკების ხმარება

„სომ“ ნაწილაკი გამოხატავს კითხვას, რომელზედაც დადასტურებით პასუხს მოელიან, ან აღნიშნავს იმის დადასტურებას, რაც წინდაწინ ითქვა:

სავსებით მისაღები, ბუნებრივი და სტილურად გამართლებული ჩანს, როცა უ ნ დ ა და ხ ო მ ნაწილაკები შემასმენელს წინ უძღვინ, მაგალითები:

„ეს ქვეყანა აღარ უ ნ დ ა ვ ი ნ ა ხ უ ლ ო, აქაურმა მზემ აღარ უ ნ დ ა გ ა მ ა თ ბ ო ს, აქაურმა მთვარემ შუქი აღარ უ ნ დ ა მ ო მ ფ ი ნ ო ს!.. სიტყვა-პასუხის გამგონი აღარ უ ნ დ ა მ ყ ვ ა ნ დ ე ს. აქაური სალოცავი აღარ უ ნ დ ა ვ ი ლ ო ც ო ხ, თამბოც აქ უ ნ დ ა დ ა მ რ ჩ ე ს უ პ ა ტ რ ო ნ ო ლ“ (ილია).

„აქ ხ ო მ ვ ე რ გ ა მ ო ვ ი ქ ე ე ე ი“ (ილია).

„ჩემთვის ხ ო მ ა რ გ თ ბ ო ე“ (ილია).

სტილურ უხერხულობას ქმნის, როცა ხ ო მ და უ ნ დ ა ნაწილაკები შემასმენლისაგან გათიშულია, მაგ.

„ხ ო მ მოხერხება შე ი ძ ლ ე ბ ა?“

„უ ნ დ ა სახლი ა ვ ა შ ე ნ ო“.

პოეზიაში უნდა წაწილაკისა და შემასმენლის გათიშვა ლექსთ-
წყობის თვალაზრისით გამართლებულია, მაგ.

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი.
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“ (ილია). 1

ორმაგი უარყოფა

შემასმენელს როცა წინ უძღვის უარყოფის ნაწილაკები არ, არა,
ვერ, ვერა და ამასთანავე ამ ნაწილაკის წინ დგას უარყოფითი
ნაცვალაზრები და ზმნიზედნი, მაშინ გვაქვს ორმაგი უარყოფა.
ორმაგი უარყოფა ახალ სალიტერატურო ქართულში მტკაცედ
იკიდება ფეხს.

არის თუ არა ორმაგი უარყოფა საქირო და რა ფუნქცია აქის-
რია მას? — ორმაგი უარყოფის ფორმების სმარება სტილური
საქიროებით არის გამოწვეული. ისინი — ორკეცებენ უარყოფას,
„შენი ბრძანებით არსადაც არ წავალთ“.

„ჭერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი“ (გ. ტაბიძე).

ორმაგი უარყოფის გამოყენება ყოველთვის არ არის აუცილე-
ბელი. შეიძლება ვთქვათ „ასეთი ცა მე ჭერ არააო ზონაჯს
(ი. გრიშ.), მაგრამ სტილისტურად საზოთირო გამოთქმად და სათქმელს
რალაც დააკლდება, თუ ვიტყვი: „შენი ბრძანებით არსადაც წა-
ვალთ“. ც ნაწილაკმა სიტყვას გამაძლიერებელი ელფერი მისცა, მა-
გრამ ამასთანავე არსადაც სიტყვამ რალაც დამატება მოითხოვა. სწო-
რედ ეს „რალაც“ არ ნაწილაკის დახმარებით შეივსო და მივიღეთ:
„შენი ბრძანებით არსადაც არ წავალთ“.



ნათესაობითში დასმული უბრალო დამატება.
ასეთი დამატება უთანდებულოა ან თანდებულიანი. თანდებულთაგან
გვხვდება: გან, მიერ, თვის, გულისთვის, შესახებ...

უთანდებულო და თანდებულიანი ფორმები ერთმანეთს ენაცვ-
ლება, მაგ.:

„ამხანაგის გამოგზავნილი წერილი მივიღე“, „ამხანაგისაგან
გამოგზავნილი წერილი მივიღე“, „ამხანაგის მიერ გამოგზავნილი წერი-
ლი მივიღე“.

ამ წინადადებაში მონაცვლე ფორმებია ა მ ხ ა ნ ა გ ი ს, ა მ ხ ა -
ნ ა გ ი ს ა გ ა ნ, ა მ ხ ა ნ ა გ ი ს მიერ და მიგვითითებს მოქმედების
ჩამდენ საგანზე. პირველი და მეორე წინადადებაში სიტყვა „გამოგ-
ზავნილი“-ს გარეშეც აზრი ნათელია, მაგ.:

„ამხანაგის წერილი მივიღე“ და „ამხანაგისაგან წერილი მივიღე“.

ხოლო მექამე წინადადებაში მიმღეობის („გამოგზავნილი“) ხმარება აუცილებელია. ასევე საჭიროა მიერ სიტყვა ამ წინადადება-
ში „გაიოზმა დავითს გადასცა თინას მიერ ლევან გოლუასთან მიწე-
რილი ბარათი“.

ზოგჯერ გან თანდებულს უმართებულოდ ხმარობენ ზე თანდე-
ბულის ნაცვლად, მაგ.:

„ერთობის დამკვიდრება სოფელში ახალგაზრდებისაგან იყო დამოკიდებული“,
უნდა იყოს:

„ერთობის დამკვიდრება სოფელში ახალგაზრდებზე იყო დამოკიდებული“.

თ ვ ი ს თანდებულისანი ფორმებია უბრალო დამატება და მიზ-
ნის გარემოება. სახელი ნათესაობით ზრუნვაწი დაირთავს თანდებუ-
ლებს „თვია“, „გულისთვის“. საწყისს ნათესაობაში შეიძლება
დაერთოს „მიზნით“. ეს ფორმები ერთიმეორის ბადალია, მაგრამ
მათ ხმარებაშიც კანონზომიერება შეიმჩნევა.

„გულისთვის“ იხმარება უფრო მეტად პიროვნების აღნიშვნის
დროს, „თვის“ — უსულო საგნებისადმი ურთიერთობის დამყარე-
ლისას, ხოლო, როცა ისინი ნაცვალსახელებს ერთვიან, პარალელუ-
რად გვხვდება.

სულიერ სახელებთან: „ცოლის გულისთვის სულ ძმები დავი-
ლიენით“ (ზღ.). დავუპირისპიროთ: „შენი ცოლისთვის სულ
ძმები დავილიენით“. აქ „ცოლისთვის“ უხეიროდ ისმის.

უსულო საგნის გამომსახველ (რა ჯგუფის) სახელებთან:

„მე შენი სიკეთისათვის ვარ აქ მოსული“ (ილია) და არა:
მე შენი სიკეთის გულისათვის ვარ აქ მოსული.

ნაცვალსახელებთან პარალელურად იხმარება: მე მიანიც ჩემს
თავს შენთვის არ დავზოგავ (ილია). ტყუილად ჩემის გული-
სათვის ხელახლად თავს ნუ გაიფუჭებ (ილია) და ა. შ.

უბრალო დამატება მოქმედებითში უთანდებულოა ან ურთ-
თანდებულისანი, მაგ. „ცოლ-შვილით ჩამოვიდა“, „ცოლ-შვი-
ლით ურთ ჩამოვიდა“. ეს სიტყვენი მნიშვნელობით ერთია, გამო-
ხატავს თანაობას, ამიტომ ერთმანეთს ენაცვლებიან, ხშირად ამ

ვორმებს მონაცვლეობას უწევს იან სუფიქსით ნაწარმოები სახე-
ლის ვითარებითი ბრუნვის ფორმა — ცოლშვილიანად.
თანაობასვე აღნიშნავს თანდებულის მნიშვნელობით გამოყენებული
არტყეების — ერთად, თანხლებით — დართვა სახელებზე —
ცოლშვილთან ერთად, ცოლშვილის თანსლებით.

დასახელებული ფორმებიდან რომელს მივანიჭოთ უპირატესო-
ბა, ამას კონტექსტი გვიჩვენებს, თუმცა ზოგჯერ თანაბარი უფლებით
არგებლობენ, მაგალითები:

„ჩარის შემოსვლის დღეს ტარიელი ცოლითა და შასპინძლები-
თ ერთ ეზოში იჯდა და თვალი თავის სოფლისკენ ექირა“ (ლ. ქიან.).

„ამ დროს დავითიც დაბრუნდა ძაღლებიანად და აივანზე ამოვიდა.“

„მისი სუსტი აგებულებისათვის აუტანელი უნდა ყოფილიყო ვაჟკაცებ-
თან ერთად ბრძოლის ტვირთის ზიდვა მთელი ღამის განმავლობაში“
(ლ. ქიან.).

„შუქლებელი იყო ქალის თანხლებით იერიშების მიტანა მტრის აღ-
ყაზე და მისი გარღვევა“ (ლ. ქიან.).

უპირატესობა — იან სუფიქსით ნაწარმოები სახელის ვითა-
რებითი ბრუნვის ფორმას ვანიჭებთ წინადადებებში:

დავითი დაბრუნდა ძაღლებიანად.

მეზობელმა ცხენი გაყიდა უნაგირიანად.

ერთად ფორმის გამოყენება უმჯობესია წინადადებებში:

გონა მოხევევებთან ერთად თავდადებულად იბრძოდა მამულის
დასაცავად.

მაღათო სხვეებთან ერთად მუყაითად შრომობდა და ა. შ.

• • •

განსაზღვრება არსებითი სახელით აღნიშნულ საგანს რაი-
მისნის მიხედვით ახასიათებს. ეს ნიშანი სხვადასხვა წინაარსისაა
მისი შერჩევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თითოეული
ითი სახელი თავის შესაფერ ზედსართავ სახელს თხოულობს,
ტყე შეიძლება იყოს: დაბურული, შეუვალი, საშიში, ბნელი,
ანი, ლამაზი...

მწერლის მიერ გამოყენებული ეპითეტ-განსაზღვრებანი მხატვ-
რ შთაბეჭდილებას ქმნის, საგანს ან მოვლენას ხატოვნად აღწერს,
ლითად:

„აი ეს მარაბდელი ჭიქი, მარჯვე და ღონიერი, მხნე და ლამაზ-
მარდი და გონიერი, გამტანი და სინდისიერი ოძელაშვილ-
შაინც უძალო იყო ამ მცირე რაზმით“ (მ. ჭავჭავაძე).

ან კიდევ:

„თუ მოსაუბრე გამოცდილი და კვიანი ვინმე იყო, ოძელაშვილი ყველაფრით
მიუგლებდა ხოლმე ყურს — ფართე და სუფთა თვალებით, დაქიმულ
და სწორი შუბლით, თხელი და ოდნავ ეხიანი ცხვირით, შალა-
აყრილი კოკორა ულვაშებით და მსხვილი თეთრი კბილებით, რო-
მელიც მხოლოდ მაშინ გაუფლავებდა ხოლმე ორი მძივივით, როცა მას მოსაუბრის
ნათქვამი მოეწონებოდა“ (მ. ჭავჭავაძე).

ზედსართავი სახელი მოსდევს არსებობის:

„მას (ლურჯას) ხმელი თავი აქვს, ქვემო ყბა მოკლე, კანკები თხელი და
ნელაღი, ხოლო ბეჭის ძვლები სქელი და ძალოვანი“ (მ. ჭავჭავაძე).

ემოციას აძლიერებს ისეთი მხატვრული განსაზღვრებანი, რომ-
მელთაც მეტაფორული გაგება აქვს: დადუმებული მთაწმინდა,
მოფუსფუსე ყვავილები, წარბდაღრუბვლილი მთა, განრისხებული
მდინარე და ა. შ.

„ირგვლივ მთებია დიდრონი,
აყრილნი სრულის ტანითა.
გადაღესილნი თოვლითა
მოუღალავენი ჭანითა“ (ვაჟა) და ა. შ.



ისეთი ვითარების გარემოებანი, რომელთაც დაერთვის თანდ
ბულეზი ებრ და ვით, საგნის ან მოვლენათა შედარება-შეჭირისპ
რების საშუალებას გაძლევს რეცე-გესურს, საგანი ან მოვლენ
დავანახსიათოთ და თვისებებში ნათელყოთ, შეგვიძლია თანდებ
ლიან ფორმებს მივმართოთ და აზრი სხარტად გადმოვცეთ, ნი
შებნი:

„გაღმა სრანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდე სავეითა, —
საამო არის საცქერლად
ღიაცის უბესავეითა“ (ვაჟა).
„ქარგი ვაჟაკი ყოფილა,
ყველა ალახსა მთიციავდა,
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა“ (ვაჟა).

„მისი ხმალი ხან კრახანასავით კბზუოდა, ხან წეკლასავით
შეოდა, ხანაც გველივით სისინებდა და ყოველ წამს მზად იყო ყაზახის-
თის თავი მოეკვეთა კიტრივით ან შუაზე გაეჭო ნესვივით“ (მ. ჭავჭავაძე).

ვითარების გარემოება გარდა შემაქმენლისა შეიძლება დაუკავ-
შირდეს წინადადების სხვა წევრებსაც — ზედსართავ სახელს, ზენი-
ზედას. ამ შემთხვევაში გარემოება აძლიერებს სიტყვიან მნიშვნე-
ლობას, მაგ.:

„მას წარმოდგენილი ჰყავდა სისხლივით სავსე, ლაღაღალოებანი და
თვალეზბრიალა ბაჩუა, — ჭაქვისებურ ფსკენილი ტანით, კლდის სალიხვბრ
მაგარი მკერდ-მკლავეებით, ვეფხვივით მარდი და ლომივით შეუპოვარი“
(ლ. ქიქოძე).

სტილური თვალსაზრისით საინტერესოა მიზეზისა და მიზნის
გარემოების მონაცვლეობა.

მიზეზის გარემოება აღნიშნავს მოქმედების გამომწვევე მიზეზს.
ხოლო მიზნის გარემოება ზმნით აღნიშნული მოქმედების მიზანზე
მიგვითითებს. ბუნებრივია, რომ შინაარსობრივი სხვაობის გამო
მიზეზისა და მიზნის გარემოებათა გამოხატვის ფორმებიც განსხვავე-
ბულია.

მიზეზის გარემოება მოითხოვს ნათესაობითის ფორმაზე გამო
თანდებულის დართვას (თუმცა გვხვდება თვის თანდებულისანიც),
ხოლო მიზნის გარემოება — თვის თანდებულისას. გვხვდება მიზე-
ზისა და მიზნის გარემოებათა შეუსაბამოდ მონაცვლების შემთხვე-
ვები. წინადადებაში — „მელას ერთხელ ამისთანა გაბედულო-
ბისათვის ძლიერ შავი დღე დააყენეს“ მიზეზის გარემოებაა „გა-
ბედულობისათვის“. უმჯობესია: „გაბედულობის გამო“.

წინადადებაში — „ქართლში გარეშე მტრების ხშირი შემო-
სევითისათვის გურამიშვილი სოფელ საგურამოდან შედარებით
მყუდრო ადგილას გადასულა მოყვრებთან“ — „შემოსვენისათვის“
არასწორადაა ნახმარი, უნდა იყოს მიზეზის გარემოება „შემოსვენის
გამო“.

ზოგჯერ უბრალო დამატების ნაცვლად მიზეზის გარემოებას
ხმარობენ; მაგ.: „სულხანს სურდა საფრანგეთის მეფე და რომის
პაპი დაინტერესებულყვნენ საქართველოს საქმეების გამო“,
სწორია: „საქმეებდით“. ან კიდევ: უბრალო დამატებაა საკირო და
მიზნის გარემოებას ხმარობენ, მაგ.: „ახალი რეკორდის დამყარე-
ბისათვის ისახელა თავი“, უნდა იყოს: „დამყარებით“.

მიზეზის გადმოსაცემად ზოგჯერ უადგილოდ არის ნახმარი
სიტყვა „ზეგავლენით“, მაგ.:

„ვიწრო გზა ალაგ-ალაგ გაყინულიყო მზის სხივებისა და ღამის სიცივნების ზეგავლენით“.

ეს წინადადება შეეადაროთ იმ წინადადებას, რომელშიც „ზეგავლენით“ მართლაც მორგებულად არის ნახმარი:

„ოჯახის გარშემო შემოკრებილ მწერალ-მოღვაწეთა ზეგავლენით ენა აღძვროდა ტატოს ინტერესი და მისწრაფება განათლებისადმი“.

წინადადების წევრები. — შემასმენელი. ქვემდებარე. დამატება. განსაზღვრება. გარემოება. — სინონიმურ წყვილებს ქმნის და სათქმელს სრულად წარმოგვიდგენს.

სინონიმური შემასმენლები

თქვენს გარდა პატრონი და კირისუფალი ვინა ეუოლებათ? (აკაკი).

სინონიმური დამატებები

ახლა ცხადივ ხედავდა წელანდელ სურათებს — საჩარო გაშიშვლებას, საქვეყნო შერცხვენას (მ. ჭავჭავაძე).

სინონიმური განსაზღვრებები

ტანზე: ალაგი აღარ შერჩა დაუკრელი, დაუბეგველი, დაუსერავი (მ. ჭავჭავაძე).

სინონიმური გარემოებები

მუდმივ და განუწყვეტლად წყალი ჩამოიხუხუხებდა (ილია).

წინადადების წევრების განმეორება აზრს აძლიერებს და ყურადღებას მიგვაქცევინებს განმეორებულ სიტყვებზე, ამასთანავე მეტყველებას მეტ გამომსახველობით ძალას ანიჭებს. ნიმუშები:

განმეორებულია შემასმენელი

არსენამ მოასწრო და ხელები რქებში ჩასკიდა. ჩასკიდა და დაითრია, დაითრია და ისე მოსწია, რომ კისრის ძვლები მოუმტვრია და ძარღვები დაუწყვიტა (მ. ჭავჭავაძე).

განმეორებულია ქვემდებარე

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრე არა. მეორე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ-და უბარჯოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ცხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია.

განმეორებულია დამატება

ლონიერი და პირთა-მძლევი ის არის, ვისაც კუთა ცოდნით მოუერთეს. ცოდნით აუყვავებია (ილია).

განმეორებულია განსაზღვრება

ექვეთი გააგებელი მამაკაცი სასადილო ოთახში შევიდა და სანთლებს შექმნე ექვეთი ხანჯალი ექვეს ელვასავით დატრიალდა (მ. ჭავჭავაძე).

განმეორებულია გარემოება

ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულია, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქვინა. ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა (ილია).

წინადადების წევრებთან გვხვდება სტილისტური შეცდომები:
1. წინადადებაში ნახმარი სიტყვები მნიშვნელობის მიხედვით ერთმანეთს არ შეეფერება, მაგალითები:

ა) „დავაჩქაროთ კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანა“. „დავაჩქაროთ ამოცანა“ საჩოთირო გამოთქმაა. „ამოცანის განხორციელება“ კი სრულიად ბუნებრივია.

ბ) „დაიდგა მემორიალური დაფა... იმ შენობაზე, სადაც სამეცნიერო დაწესებულება გახსნა და წლების განმავლობაში თვითონვე მოღვაწეობდა დ. ა. ნახარიშვილი“.

უნდა იყოს:

„მემორიალური დაფა გაუკეთდა იმ შენობას, სადაც დ. ა. ნახარიშვილმა სამედიცინო დაწესებულება გახსნა და წლების მანძილზე იმუშავა“.

2. როცა წინადადების წევრები არასათანადო ადგილას არიან დასმული, ამ შემთხვევაში აზრი არამცთუ ბუნდოვანი, არამედ სრულიად გაუგებარი ხდება, მაგ.:

„ა თვე დაჰირდა მოქ. თ. ბაზაძის განცხადების შესწავლას არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების მუშაკი შ. მიქაბერიძე“.

აქ სიტყვები ერთმანეთთან თითქოს სინტაქსურ კავშირშია, წინადადების წევრები ერთმანეთს გარკვეული კანონზომიერებით უკავშირდება, მაგრამ ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ აზრი ნათელი იყოს. საჭიროა ქვემდებარის ზრუნვის შეცვლა და სხვა შემასმენლის გამოყენება, რომ აზრიც ადვილად გასაგები გახდეს. ზემოთ დასახელებული წინადადება ასე უნდა დაიწეროს:

„მოქ. თ. ზაზაძის განცხადების შესწავლას 3 თვე მოანდომა არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების მუშაკმა შ. მიქაბერიძემ“.

როცა მსაზღვრელი სათანადო ადგილას არ არის დასმული, იქმნება ორაზროვნობა:

„არსენას ყველა თავისი რაზმის წევრი ერთნაირად უყვარს“, „იგი მიდის ტყეში სხვა ნაწარმოების გმირებთან ერთად“.

უნდა იყოს:

„არსენას თავისი რაზმის ყველა წევრი ერთნაირად უყვარს“, „იგი მიდის ტყეში ნაწარმოების სხვა გმირებთან ერთად“.

3. ნათესაობით ბრუნვაში დასმული რამდენიმე სახელის ერთდროულად ხმარება სტილს აუფერულებს, აზრს ხლართავს, მაგ.:

„გარდაბანში—თბილისისა და რუსთავეის მოსახლეობის მეტ-სოველებობის პროდუქტებით მომარაგების რესპუბლიკის ერთ-ერთ უმსხვილეს ცენტრში — გაიმართა გაერთიანებული საწარმო-სამეცნიერო სესია, რომელიც მოიწვიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო საზოგადოების სოფლის ელექტროფიკაციის სექციასთან ერთად“...

ამ წინადადების 14 წევრი ნათესაობით ზრუნვაში დასმული სახელია, რომელთა ერთად ჩახერგვა ამძიმებს ენას.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 1. შედგენილი შემახვენილი ზმნური ნაწილი ჩასვით წინადადებაში.

რა ზღაპრული მზე ამოდის! რა მათრობელი... ეს პაერი! რა ტკბილი... ეს სურნელი! რა საამური... სირთა ჟივილი და ყვაე-ყორანთა ჩხავილიც!

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 2. განმეორება აიციინეთ თავიდან.

ტარიელს კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა ძალა ჰქონდა ბაჩუას.

მარინე არ უნდა გაწითლებულიყო, მაგრამ ქებას ველარ გაუძლო და ოღნავ გაწითლდა.

მე მივედი მასთან ფრთხილად, ავიყვანე ფრთხილად ხელში, ვუნახე ნატკენი ფრთა და ფრთხილად წავიყვანე სახლში.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 3. ქვემოთ მოყვანილ ტექსტში ჩასვით შესაფერ ადგილას ვითარების გარემოებანი — პირქუშად, ვარდისფრად, ვერცხლისფრად, შავად, მეტად, საამურად.

ლაშაზი სანახავია განთიადი. ცაზე სინათლის გამო ვარსკვლავები ქრებიან. აქა-იქ მოზნეული ღრუბლები... იღებებიან. ცამდე აზიდული უზარმაზარი მთები... და.. მოჩანან.

რა ლამაზია ტყე განთიადისას! უბერავს დილის გრილი და... სასიამოვნო ნია-
ვი... ბრწყინავს ცვრით დანამული ბალახი, იღვიძებს მიძინებულ ბუნებას... მო-
რავრავებს ნაქადული, ნიავისაგან ხის ფოთლები შრიალებენ. აქა-იქ ისმის ჩრტების
პიკუ-კი. აი მზის პირველმა სხივმა გაანათა არემარე.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 4. შეადგინეთ წინადადებები ვითარების გარემოებათა
გამოყენებით.

ბრწყინვალედ, მომხიბვლელად, კობტად, შეუპოვრად, მრისხანედ, დაბნეულად,
თაუგანწირვით, გმირულად.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 5. გამოიყენეთ ვ ი თ და ე ბ რ თანდებულობის ფორმები
წინადადებებში.

უცებ ახალგაზრდა გაექანა... ვით, შეუუარა ფეხებში. გამოქრა ორივე
ხელი... ვით გადაგორდა ფალავანი და გამოიქრა წრიდან.

ხელს ამუშავეს და კმალავს
თვლებს... ებრ მოკაშაშეთა.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 6. ხაზგასმული ხიტყვები შეცვალეთ ხასურველი ფორმით.
ნუ დაგვკარგავ, შენ გენაცვალე, ამ ჩენი გაქირვებულობისათვის.
ირაკლი ბავშვივით მომღიმარ მირხას ესაყვედურებოდა და ვ ი წ ყ ე ბ ი ს ა -
თ ვ ი ს.

ის იბრძოდა მთელ მშრომელ ხალხთან ერთად ქართული მიწის და ც ვ ი -
ს ა თ ვ ი ს.

მამის სიყვდილზე პ ი რ ვ ე ლ შ ი ბევრი ინადვლა.

მარტივი წინადადება და მისი სტილური ფუნქცია

მარტივ წინადადებას მიმართავენ მეტყველების ეკონომიისა-
თვის როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში. შენიშნულია, რომ სხვა-
დასხვა ტიპის წინადადებათა გამოყენებით განსხვავდებიან არა მარ-
ტო მწერლები, არამედ ერთი და იმავე მწერლის სხვადასხვა თხზუ-
ლებანი. ქართველ მწერალთაგან სულხან-საბა ორბელიანი, ვაჟილ
ბარნოვი მეტწილად მარტივ წინადადებებს იყენებენ, ამიტომაც
მათი ნაწარმოებები ცოცხლად და საინტერესოდ იკითხება.

როგორია წინადადების წევრთა წყობა მარტივ წინადადებაში?

ქართულ ენას სხვა ენებთან შედარებით სიტყვათა თავისუფალი
რიგი ახასიათებს, მაგრამ აბსოლუტურ თავისუფლებაზე მაინც ვერ
ვილაპარაკებთ. ავიღოთ წინადადება:

„გოგონა მიღამო თითქმის გავერანდა“.

წინადადების წევრები რომ გადავადგილოთ, იგი ასეთ სახეს მიიღებს: „გოგიას მიდამო გავერანდა თითქმის“, „გავერანდა თითქმის გოგიას მიდამო“, „თითქმის გავერანდა გოგიას მიდამო“. აზრი ძირითადად ერთი და იგივეა, მაგრამ თითოეულ წინადადებას სრლაც განსხვავებული იერი დაჰქრავს. თუმცა არამკვეთრად გამოხატული. ანას კი წინადადების წევრთა გადაადგილებას იწვევს მოყვანილ წინადადებაში წინადადების წევრთა გადაადგილება თავისუფლად შევქმელით, მაგრამ ზღვრულ საკმარისია, წინადადების ერთი წევრიც კი გადავადგილოთ და მივიღოთ უაზრობა, მაგ. წინადადებაში — „უსაზღვრო ცის ლურჯი კამარა გულის დამატკობელი სიმშვიდით დაჰყურებდა დაღუმებულ მწვანე არემარეს“ — ერთ-ერთ წევრს ადგილი შევუცვალოთ: „ცის ლურჯი კამარა გულის დამატკობელი სიმშვიდით დაჰყურებდა უსაზღვრო დაღუმებულ მწვანე არემარეს“. მსაზღვრელ-საზღვრული „უსაზღვრო ცის“ გაითიშა, ე. ი. დაიშალა სიტყვათა მყარი წყობა და ამან გამოიწვია უსწორო წინადადების მიღებაც.

ქართულში შემასმენელი შეიძლება შეგვხვდეს წინადადების თავში, შუაში და ბოლოში.)

შემასმენელი წინადადების ბოლოს

დიდ მამულიშვილს ურჩობა ქვეყნის არ შეეფერება! (აკაკი).
პეტრე მთლად ცახცახებდა (ილია).

შემასმენელი წინადადების თავში

აი შალენ მურმეები თვლების ფშენეტითა (ილია).
აი ვსო ხევი მკვდრებით (აკაკი).

შემასმენელი წინადადების შუაში

ნაშთი ძველი დიდებისა არ გამქრალა ჭერაც ყველა (აკაკი).
თვითონ ბიქი თავაულებლივ წერდა წიგნსა (ილია) და ა. შ.

ზეპირი მეტყველების დროს ჩვენ შეგვიძლია ხმა ავამაღლოთ იმ სიტყვაზე, რომელზედაც განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას, წერის დროს კი/ეს საშუალება არა გვაქვს და სხვა ხერხს უნდა მივმართოთ: (წინადადების თავში დავსვათ ის სიტყვა, რომელსაც ყურადღებას ვაქცევთ ან შემასმენლის წინ მივუჩინოთ ადგილი.) მაგ.: „ბ რ ძ ო ლ ე ბ ის დ ა თ ვ ლ ა შ ი ს არ დ ლ ე ბ ი ე რ თ მ ა ნ ე თ ს შე ე კ ა მ ა თ ნ ე ნ , „თვალი იქ ა უ რ ო ბ ა ს მ ო ა ვ ლ ო ზ ა ა ლ მ ა“. აქ ხაზი ეპისის სიტყვებს „ბრძოლების დათვლაში“, „იქაურობას“.

წინადადების წევრთა გადაადგილება განსხვავებულ ნიუანსა
გვაძლევს:

- ა) „შენ კი არ მიშლი ხელს მე“
(იგულისხმება. შენ კი არ მიშლი, არამედ ვიღაც სხვა).
- ბ) „შენ მე ხელს არ მიშლი“.
(აქ ხაზი ესმის სიტყვას შენ).
- გ) შენ ხელს მე არ მიშლი.
(აქ ხაზი ესმის მე-ს. ხელს მე არ მიშლი, მაგრამ შეიძლება სხვას ეშლ-დე
და ა. შ.

ქართულ ზმნას შეაწევს უნარი, რომ სუბიექტი და ობიექტი
საკუთარი ფორმით გამოხატოს. ნაცვალსახელები თვით ზმნაში
იგულისხმება, მაგ. ვწერ, ჩანს რომ მოქმედი პირია მე, რომლიან
ნიშანი ზმნაში არის პრედიკტი ვ/რადგან/ ზმნაში იგულისხმება
მოქმედი პირი, ამიტომ მე - ს, სუბიექტის ჩმარება ზმნასთან საცვალ-
დებულო არ არის: ვწერა/ვკითხულობ, გავაკეთებთ და მისთ. ასეთი
სახის შემასმენლებთან ნაცვალსახელი ჩვეულებრივ (იხმარება
მაშინ. როცა დაპირისპირება გვაქვს, მაგ. „მე სახლში წავალ“ ხოლო
თქვენი წინაშე „ეს ფაქტი საინტერესოა სტილური
თვალსაზრისით. (სუბიექტი მე, ქვემდებარის ფარდი სახელი, გამოი-
ყენება მაშინაც, როცა მე-ს განსაკუთრებით ესმის ხაზი, მაგ
„თვითონ მე მეზიზღება ჩემი თავი“. აქ ხაზი ესმის „მე“-ს. წინაარს
უფრო ნათლად წარმოგვიდგენს მე-ს ხმარება. ივარაუდება, არამცთ
სხვა, მე მეზიზღება ჩემი თავი. მე - ს გარეშე წინადადებას იხ ძალ.
ის გამოხატველობა არა აქვს. მე - ს ხაზი ესმის აქაც: „ის ღმერთმა
იცის — ცაში და დედამიწაზე — მე რა აც მე იქ გულმტკიცეულად
მიწევი უღელი“ (ილია). აქ მე გამეორებულია. (ფორმათა განმეო-
რება ადუნებს ფრაზას, ზოგჯერ აზრსაც აბნელებს, მაგრამ ხანდახან
აზრს აძლიერებს და მიმზიდველსაც ხდის.)

ქართული სათვის სრულიად ბუნებრივია, რომ ვითარების გარე-
მოება შემასმენლის წინ იდგეს მატალითები:

„უმცროსი მთ ლად აირია“ (ილია).

„კეთილმა ბერიკაცმა გულნაკლულად ჩაიციო“ (ილია).

„თვითონ ბიჭი თავაუღებლივ წერდა წიგნს“ (ილია).

ზოგჯერ ვითარების გარემოება და შემასმენელი ითიშება:

„ვაცი სიციხისაგან ძლივს სულს იქცევა“.

„ტარელი შეჰყოლოდა პირდაპირ მთებს“.

სჯობს:

„ვაცი სიციხისაგან სულს ძლივს იქცევა“.

„ტარელი პირდაპირ შეჰყოლოდა მთებს“.

მარტივი წინადადება ისე უნდა იყოს აგებული, რომ მასში შემავალი წევრები ერთმანეთს ესამებოდეს:)

არ შეიძლება ვთქვათ და ვწეროთ:

1. „ფეხის მოკლე გზა იყო სახლამდის“ („ფეხის მოკლე გზა“ არ ვარგა, უნდა იყოს: „საცალფეხო გზა“. ეს უკანასკნელი მყარი შენაერთია და გათიშვა შეუძლებელია).

2. „ერთი ხნის სიარულის შემდეგ მიადგა კარს“ („ცოტა ხნის“).

3. „იმჟათან მართოდ არ შემხვდა დარჩენა“ („მართოდ არ მომიწია დარჩენამ“).

4. „გარძობებით აღელვებულმა ტარიელმა ხელები შეავლო ბაჩუას“ („გარძობებით აფორიაქებულმა“).

5. „ტატომ ამოცანად დაისახა სამხედრო სასწავლებელში შესვლა“ („მიზნად დაისახა“).

6. „ჩემთვის თითოეული წამი საანგარიშებელია“ („წამი ანგარიშგასაწევია“, „მნიშვნელოვანია“).

7. „მღელვარება მთელ სოფელში გავრცელდა“ („მთელ სოფელს მოედო“).

8. „გიომ წადილი განიხორციელა“ („წადილი აისრულა“)./

სიტყვებისა და გამოთქმების მოფიქრებულად შერჩევა აუცილებელია გამართული და დახვეწილი მეტყველებისათვის.



მარტივ წინადადებაში როცა ზედმეტი სიტყვებია გამოყენებული, აზრი მდარეა, ბუნდოვანი,)

ქვემოთ მოყვანილ წინადადებაებში ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ზედმეტი ა:

1. (ჩემდათავად) მე პირადად უნდა გავუსწორდე ჩემს მტერს.
2. ძირს დაშვებულ თოფის თავს (თავისი) ცალი ხელით დაყრდნობოდა.
3. (ტყედ გავარდნილ) ყაჩაღს მიუგავდა თვალები.
4. გიოს კარგა მანძილი გარბენით (გაველო) სახლამდის.
5. გიო ოთახში (შიგნით) ვერ გაჩერებულყო.
6. დიდი ხნის (ლოდინის) შემდეგ მოლოდინი გაუმართლდა.
7. მთელ სახლში (უნაკლო) სისუფთავე სუფევდა.
8. ლევანი უსიტყვო მიგებებით (წაეიდა) მშობლისკენ.
9. გაიოზმა (ზედ) ნაბდის კალთა გადაიხურა.
10. იგი ფრჩხილებით იკაწრავდა (თავის) პირისახეც და ა. შ.

წეოთხე და მერვე წინადადებაში უნდა გამოვიყენოთ სიტყვებ „გაერბინა“, „უსიტყვოდ მიეგეცა“.



წევრთა შედგენილობის მიხედვით მარტივი წინადადება შეიძლება იყოს გავრცობილი და გაუვრცობელი, სრული ან უსრული, უქვენდებარო. ეს წინადადებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შინაარსის გადმოცემის თვალსაზრისით. გაუვრცობელი წინადადება, მართალია, მოკლებულია სიტყვაშეკრულებას, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ის მრავლისმეტყველად გვევლინება. სწორედ ასეთი წინადადებანი ანდაზებში გვხვდება. ანდაზა წარმოადგენს მოქნილ ფრაზას, რომლისთვისაც დამახასიათებელია სათქმელის მარჯვედ გამოხატვა. მაგალითად: მოჩქარეს მოუგვიანღესო; / წუნიას აკლებდოდღესო; წამწყმიდა წაბედულობამო.

ჩანდაზებდ გვაქვს მარტივი გავრცობილი წინადადებებიც:

თივანი ცეცხლი არ დიამალბათო; / კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო; / მჩხავანა კატა თავს ვერ დაიჭერსო; კოკა მუდამ წყალს არ მოიტანასო და მისთ.

ქართულ კლასიკოსთა ნაწარმოებებში გვხვდება მარტივ წინადადებათა მიჯრით გამოყენების შემთხვევენი. წინადადებების მიჯრით გამოყენება საშუალებას იძლევა, საგანი ან მოვლენა თანამიმდევრულად გადმოცეთ; / სრულად აღვწერთო; ამის ნიშნითა;

„სდებს თოვლს. ჰყინავს, ცივა, ქვა ტყვრება“ (ვაჟა).

ამ წინადადებაში თოვლის მოსვლა და მასთან დაკავშირებულ სიცივე თანამიმდევრულად არის გადმოცემული.

გათენების სურათი ილია ქაეჭავაძემ მარტივი წინადადებებით გადმოგვცა იმე, რომ მოქმედებები განავითარა თანდათან. ამის სრულსაყოფად მარტივი წინადადებები იმე წარმოგვიდგინა. რომ თითოეულ მონაკვეთში, თითოეულ ახალ მარტივ წინადადებაში ახალ-ახალი საინტერესო შინაარსი ჩაღო ისე, რომ ვადაქარბება არ იგრძნობა.

ნიმუში:

„ღამე გამოეთხოვა ქვეყანას. ერთი კალთა ცისა იახდა. გარიყრავდა, მტრედისღვრმა გადაპკრა ცის გუმბათსა. დილამ კარი გაუღო ღღეს“.

წინადადებები იმე მოხდევს ერთიმეორეს, თითქოს ერთმანეთისაგან ავსებდესო და აზუსტებს კიდევც.

მსგავსი ნიმუშია:

„მზე გადაიხარა. თბილმა შეკუბებულმა პერმა მოძრაობა დაიწყო. იმ ენა-ჩაყარდნილმა ადგილმა გაიხმაურა“ (ილია).

(მარტივი და შერწყმული წინადადებების ერთად ხმარება სტილს მსუბუქს ხდის) აი, რამდენიმე ნიმუში:

„გადააქუხა. ჩიტებმა შორთეს ერთმად სიმღერა. ბალახებმა და ხის ფოთლებმა სიხარულის ცრემლს დაუწყეს ფრქვევა. დედაჩემს ნაწვიანზე სიარული უყვარდა... წაედიოდა ველად... ეხლაც წავედით, შეუდექით ველის პირება. გავსწიეთ შთისკენ. ტუბილი ხმა ისმოდა სალამურისა. მთის ძირზე გაშლილიყო ცხვარი და ტუბილად სძოვდა ახლად დანამულს ბალახს. მზე გორის პირას იყო ჩამალული ნახევრამდე. მისი მკრთალი სხივები მხოლოდ მთების და ტყის წვერებს ეთხოვებოდა...“

მეცხვარემ დაგვცა კვილი. მე აკანკალდი. დედაჩემს შეასწრო თვალი და გაქაჩანა იმისკენ. დედაჩემი გასრიალდა და ერთს წამს დამეკარგა თვალიდამ“ (ვაჟა).

ან კიდევ:

„ვირა დღე გათენდა. თბილი მზიანი დღე გამოვიდა. ამ ორი მეგობრის სადგური ფერდო ჩამოშრა. დამაძღრები, თვალშავა და ვირი გვერდივეერდ იწვნენ. ფოთლის შრილი შემოესმათ. თვალშავამ ყურები აცქვიტა. მაყვლოვანმა გვერდზე გამოჩნდა ლამაზი, პატარა ქალი. გაშლილი შავი თმა ღრუბელივით ეღო ტანზე, მარცხენა ხელში ბალახის კონა ეაყრა“ (ვაჟა).

ზოგჯერ გვხვდება ისეთი კონტექსტი, რომ მანში შემავალი წინადადებანი წეგვიძლია ჩავთვალოთ როგორც მარტივად, ისე თანწყობილადაც. წინადადებია ასეთი აზრობრივი დაკავშირება ერთმანეთთან ქართულისათვის ბუნებრივია. შერწყმულსა და თანწყობილ წინადადებებს ბევრი რამ აქვთ საერთო. /თანწყობილი წინადადება მარტივი წინადადებებისაგან შედგება..?/

მარტივისა და თანწყობილის ურთიერთმიმართებას კარგად გამოხატავს ეს მაგალითი:

„მზე დასავლეთისაკენ გადაიწურა; საღამო ახლოვდებოდა; მონადირენი შინ წასასვლელად გაემზადნენ; ქალები ურემში ჩალაგდნენ, ვაჟები ცხენებზე ამხედრდნენ“ (ვაჟა).

ან კიდევ:

„ელიზბარი ქარბუქივით დაქპრის, მარაბელი გრიგალივით დასდევს“ (მ. ჯავახ.).
შეუდაროთ: „ელიზბარი სწორი ნიავივით მოქპროდა. არსენა კი ქარიშხალივით ჭელეჭავდა“ (მ. ჯავახ.).

ასევე მარტივ წინადადებადაა წარმოდგენილი შერწყმულიც: „მაგდანა ძმას შემოსცქეროდა. მზის სინათლეზე კბილები თეთრად უქრიალებდა. დიდრონი თვალები ალერსით უკამკამებდა. ორი სქელი კულული ღვედებივით ჩამოშლოდა“ (მ. ჯავახ.).

(კითხვა-მიგების წინადადებები ერთმანეთისაგან განსხვავდება პ-გეიის ფორმებით:)

6) პასუხი არის მოკლე:

- შენი სახელი ძმობილო? — მკითხა იმან.
- გაბრიელი: შენი? — ეხლა მე ვკითხე.
- გლახუკა.
- საღაური ხარ?
- რაჟველი. შენა?
- შეც ვუთხარი: საღაურიცა ვარ.
- რაჟველი? მამ მოჯამაგირედ იღვები? დავუმატე მე.
- დიალ, სომეხთან ვღაჯვარ. შენა?
- მე? ბატონიშვილს ვახლაჯვარ.
- აი, ყმაწვილი რომ დაიარება იმას?
- იმას.
- დიდი ხანია ქალაქში ხარ?
- კარგა ხანია. შენა?..“ (ილია).

ბ) კონკრეტულ პასუხს მოსდევს ახანა-განმარტება, რომელიც ნათქვამის დამაჯერებლობას უსევამს ხაზს, მაგ.:

- ერთი ეს მითხარი: ხელში ნაპატივეები მიმინო უფრო კარგია, თუ ის მიმინო, რომელსაც გაჩენის დღიდან კაცის ხელი არ მოჰხვედრია?
- რასაკვირველია, ის, რომელსაც ხელი არ მოჰხვედრია.
- რად? ის ხომ უფრო გაპატივებულია?
- ვაი იმ პატივს! ხან ღრთას უკვრენ — არ გაფრინდესო, ხან ბოლოს — არ გაიქნისო, თვალებს კი ყოველთვის აუბმენ ხოლმე — არა დაინახოს რაო.
- ყველას ეგრე უზამენ ხოლმე?
- მაშა? ამბობენ, თუ არ ეგრე, მიმინო არ გაიგეშება თურმე, კლანკებზელაც ეყენებთან თოკს გამოაბამენ, თუ ვინცობაა ნაჯარღზე გაიწიოს, — არ გაუშვან“ (ილია).

გ) კითხვა-მიგების წინადადებაში ყურადღებას იქცევს ის, რომ, ჩვეულებრივ მიგებისას არ მეორდება შეკითხვის არცერთი სიტყვა: პასუხი კონკრეტულია.)

გზა რამ მოღალა და — ბერიკაცმაო.

ცხვარო, ვისი ხარ და — ვის კარზედაც ცბლავიო.

ნემსს რა ჰქვიაო, — არც ეგრე წვრილ-წვრილი ვიციო და სხვ.

ს ა მ ვ ა რ ჯ ი შ ი 1. რა სხვაობას იწვევს მსაზღვრელი სახელების გადაადგილება?

მგლის დიდი ბუნაგი

დიდი მგლის ბუნაგი

ნის ქრელი ფოთოლი

ქრელი ხ-ს ფოთოლი

ჩიტის ლამაზი ბუდე

ლამაზი ჩიტის ბუდე

სურათის კარგი ჩარჩო

კარგა სურათის ჩარჩო

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 2. ჩამოთვლილ წინადადებებში დროის გარემოებები რა და რა ადგილას შეიძლება გამოვიყენოთ:

1882 წლის იენისში; 1892 წელს; 1893 წელს.

1. ვაჟამ დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია.

2. ქართული საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი გალაკტიონ ტაბიძე დაიბადა დასავლეთ საქართველოში.

3. ქართველმა საზოგადოებამ ილია ჭავჭავაძის ინიციატივით ნ. ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისს გადმოასვენა და დაკრძალა დიდუბის პანთეონში.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 3. კითხვა-მიგების წინადადებათა წაკითხვის შემდეგ უპასუხეთ დახმულ კითხვებს.

„— ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, — სთქვა პატარა ხანს უკან მზრუნველმა მეზატონემ, — ურმები გაისტუმრე?

— გაისტუმრე, შენი კირიმე!

— სად გაისტუმრე?

— ყანაში, შენი კირიმე“ (ილია).

რა ჰკითხა მეზატონემ ყმას?

სად გაისტუმრა ყმამ ურმები?

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 4. ქვემოთ მოყვანილი არაჲ გადმოცით ისე, რომ ჩაურთეთ დიალოგი.

ერთი ძალღი და ერთი მამალი დაძმობილდნენ: „სოფელი ავაშენოთ“. ძალღმა უთხრა: „როგორ ავაშენოთ?“ მამალმან უთხრა: „შენ იყეფე, მე ვიყივლებ და აშენდებაო“. წაიღნენ ტყეში. ძალღმა ყეფა დაიწყო და დაეძინა, მამალი ხეზე შეკდა, ყივილი დაიწყო. მელას ხმა ესმა, მოვიდა, მამალს ჰკითხა: მანდ რასა იქო? მამალმან უთხრა: „სოფელს ავაშენებთო“, მელამ უთხრა: „ჩამოდი. სახლის ალაგი მომიზომეო“. მამალმან უთხრა: „მამასახლისი მანდა წეეს, გააღვიძე, ეგ მოგიზომსო“...

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 5. მარტივი გაუვრცობელი წინადადება გადააქციეთ გავრცობილად (უშეტესად გაავრცეთ განსაზღვრებითა და გარემოებით).

1. ძროხა ბალახს ეტანებოდა.

2. ვარდი ბუნებას მატებდა სიცოცხლეს.

3. ნაში ბრწყინავდა.

4. მთები მისჩერებოდნენ ვაკეს.

5. ტოტებს ვაზი გადახვეოდა.

6. მუხას ჩაუდიოდა მდინარე.

7. მთვარე ანათებდა არემარეს.

8. მზე იკურთხებოდა.

ს ა მ პ რ ა მ ი მ ო 6. ქვემოთ ნოყვანილი ნაწყვეტი გადმოცით უღიალო-გოდ (მე-მ პირით).

„— შენ წიგნის სწავლა გინდა, ძმობილო? — მიბრძანა დალოცვილმა, — თუ ეგ გულში გედო, წელან რომ გკითხე, რატომ არ მითხარ? რად დამიმალე გულის წაიღო? გულდახურული პყოფილხარ. სომ იცოდი გლახუქსაგან, რომ მე წაგს ვასწავლი ხოლმე შენისთანა კაცსა.

ეს რომ მითხრა, გამოიღმა, მომავლო თავზე ხელი და მოცინარემ გამოქნია თავი. მე ჩავლუნე მორცხვობით თავი და ვერა ვუთხარი-რა.

— თავი რას ჩაღუნე? მარტო პირუტყვი იყურება დაბლა, კაცმა კი უნდა ცას უყუროს. თათქოდ ჩემი შეგრცხვაო.. აბა შემომხედე, მეც შენისთანა კაცი ვარ.

მომავლო ნიკაპზე ხელი, თავი მალა ამიწია და ზედ დაატანა: — ხუმრობა-გაშვებით, თუ მოწადინებული ხარ წიგნისათვის, მე ოსტატი და შენ შეგირდი. ა, შენ რას იტყვი ამაზე?

— რა ნეტქმის, შენი კირიმი, მადლობის მგტი?! — ძლივ-ძლივ გაუბეღე თქმა.

— მადლობა მერე იყოს. შენი სახელი?

— გაბრიელ“ (ილია).

შერწყმულ წინადადებათა სტილური როლი

წინადადებას, რომელშიც ორი ან რამდენიმე ერთგვარი წევრია. შერწყმულ წინადადებს უწოდებენ.

შერწყმულ წინადადებაში შეიძლება იყოს რამდენიმე ქვემდებარე, რომლებთანაც ერთი შემასმენელია დაკავშირებული, რამდენიმე შემასმენელი, რომლებიც ერთ ქვემდებარესთან არის დაკავშირებული, რამდენიმე ერთნაირი დამატება (პარადპირი, ირიბი, უბრალო), რამდენიმე ერთნაირი განსაზღვრება, რომლებიც წინადადების ერთ წევრთან (ქვემდებარესთან, დამატებათან...) არის დაკავშირებული, რამდენიმე ერთნაირი გარემოება (ადგილისა, დროისა, ვითარებისა, მიზეზისა, მიზნისა...) და სხვ. ამის მიხედვით შერწყმული წინადადებები სხვადასხვანაირია: ერთგვარქვემდებარეანი შერწყმული წინადადება, ერთგვარშემასმენელიანი შერწყმული წინადადება, ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადება, ერთგვარდამატებიანი შერწყმული წინადადება, ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადება.

ერთგვარქვემდებარეანი შერწყმული წინადადებები:

„ვერც ერთმა ყარაულმა, ვერც ერთმა მოხვევმ ვერ გაბედა წინააღმდეგობის წარმოთქმა“ (ა. ყაზბ.): „ლუარსაბი და დარეჯანი ენაჩეარღნილებსაყოთ

ოყენენ“ (ი. ჰავცი.); „მთელი თრიალეთი, კახეთი და არაგვიც კი მღეროდა არსენას მამაზე“ (მ. ჭავჭავ.).

ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადეგებია:

„ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან ერთი მადლიანი თავისებური ხერხინვა ამოუშვა“ (ი. ჰავცი.); „ნუნუ კიდევ რამდენიმე ხანი ხმაგაკმენდილი ელოდა და ყურს უგდებდა მახასს“ (ა. ყაზბ.); „გიორგიმ წაავლო ხელი წნელს, ფეხები თივას მიბაჭინა, დასკიმა წნელი და დაიწყო ჩამოცოცვა სათივიდამ“ (ი. ჰავცი.).

ერთგვარგანაზღვრებიანი შერწყმული წინადადეგებია:

„პკითხავდა ლამაზისეულს გზადაგზა ერთი ტანში მოხრილი, პატარა, მოყენტილი, დაღმქილი, ბებერი დედაკაცი“ (ი. ჰავცი.); „ამისი შავი და ღრმა თვალები მკვანდელ გამოიყურებოდნენ“ (ი. ჰავცი.); „იმისი აუჩქარებელი, დალაგებული ლაპარაკი წყაროსავით ჩასიამოვნოდ მიმდინარეობდა“ (ა. ყაზბ.); „მხრებშეკუმშული, ნისკარტდაღებული უზარმაზარი ლეგა ფრინველი მოდიოდა პირდაპირ ჩემკენ“ (ვაჟა); „ქალარა და თხელი უღვაშები ქროდა თვალებისკენ აიგრიხა“ (მ. ჭავჭავ.).

ერთგვარდამატებიანი შერწყმული წინადადეგებია:

„ოცხალ-მკვდარი გიორგი და გულშემოყრილი კესო ცალ-ცალკე შეიტანეს ხელით სახლში“ (ი. ჰავცი.); „დედაკაციბი ალაგებდნენ ქიშელებში ქალებს, ხშიადებს, ხაქაპურებს და სხვა ხორაგს“ (ა. ყაზბ.).

ერთგვარგარემოებიანი შერწყმული წინადადეგებია:

ა) ადგილის გარემოების მიხედვით შერწყმული: „გულმოსული გიორგი დადიოდა აფხაზეთში, სამცხესა და ქართლში“ (კ. გამსახ.).

ბ) დროის გარემოების მიხედვით შერწყმული: „სეტყვა მარტოკა გზაფხულზე და ზაფხულში მოდის ხოლმე“ (ი. გოგებ.).

გ) ვითარების გარემოების მიხედვით შერწყმული: „ძმურად, მამაშვილურად გასუბრებოდა“ (კ. გამსახ.); „იქ იწყეს ცხარება განდგვილუბივით განმარტობით, ტკილად, შეუშფოთებლად“ (შ. არაგ.); „უიმედოდ, გაუბედავი უმზერს თინას“ (შ. არაგ.); „არც ავად, არც კარგად ყურს არ ათხოვებს ამ ამყ მცენარეთ“ (ვაჟა). „წიფელი დგას შეუშფოთრად, წარბშეუხრელად“ (ვაჟა); „ჩალებში უჩუმრად, გამტკნარებულად, მწუხარედ მიძვრებოდა ეს პატარა მდინარე“ (ვაჟა).

დ) მიზეზის გარემოების მიხედვით შერწყმული წინადადეგები: „ხმა არავინ გასცა რილისა და კრძალვისაგან“ (ილია); „მეზობლებში ივანე პატრიკეშვილი იყო თავისი ტყუის, პატრისნების და სიმარჯვის გამო“ (ე. ნინოშვილი).

ე) მიზნის გარემოების მიხედვით შერწყმული: „მე სამოკეთოდ მივედი და არა სამტროდ“ (თ. რაზიკ.); „იქ ყვავილები გაშლილა ჩემს საზრდოდ. საწუნელადო“ (აყაყი).

ამასთან უფრო გავრცელებული და სტილისტიკის თვალსაზრისით საყურადღებოა ერთგვარშემასმენლიანი, ერთგვარგანსახილველი წიხანი და ერთგვარ ვითარების გარემოებიანი შერწყმული წინადადეგები.

ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადეგები შეიძლება სხვადასხვა მიზნით იყოს გამოყენებული:

ა) ასეთი წინადადეგები მოქმედებას უფრო დინამიკურად წარმოგვიდგენს, მაგალითები:

„მისი ლანდი, როგორც მუდამ, ბოსტანში დასცოცეს და იქაურობას ჰხევეს, ჰგლეჯს, ჰფეკავს და ჰკორტნის“ (მ. ჭავჭავაძე). „არსენამ ღარ დააცალა, ორიოდე ნახტომით წამოეწია, ორივე ხელით მარჯვენა მკლავში მისწვდა, დიბრაია, წაუჩოქა, ზურგი აპკრა, კისრულით წამოიღო, ფეხები მარჯალივით ააშევირინა და სამ ნახიჯზე გუდასავით გადააგდო“ (მ. ჭავჭავაძე). „ქრაქის ენა და ბუხრიდან მონადენი ალიც ცახცახებს, ხან ძაღლის ენასავით ლაქლაქებს და ხანაც ვერბის ფოთლოვით თრთის“ (მ. ჭავჭავაძე). „მაკრინეც საღამომდე იქვე საღვე ირკალბდა: რგავს, მარგლავს, ჰკრფავს, ჰრწყავს, აფხვიერებს, ჰხრავს, ჰკვლავს და მუდამ მიწას ჩაპკირკრტებს“ (მ. ჭავჭავაძე). „ღინჭი დარდიმანდი იფხორება, ფრთხება, ცამიდან ჟამზე მოუსვენრად ფრუტუნებს და ლეკუს ლავამს“ (ქ. გამსახია). „ღარდიმანდი ფრუტუნებდა, ფეხებს აბაკუნებდა და ტბილად, ტბილად ახრბუნებდა თივას“ (ქ. გამსახია). „ღაირიალა გამძვინვარებულმა მხეცმა, ცხენუსანთან შებმას განერიდა, კარავისაკენ გაიქცა, ერთი შესდგა უესკრულის პირად, კვლავ დაიღრიალა და გადაეშვა დაპირილი ნადირი“ (ქ. გამსახია) და სხვ.

ილია ჭავჭავაძის პროზაში შერწყმულ წინადადეგებს თვალსაზრისით ადგილი უკავია. მათ წორის ქარბობს ერთგვარშემასმენლუნიანი წინადადეგები. მაგალითად, „სარჩობელაზედ“ მოთხრობაში ასეთი წინადადეგები შერწყმულ წინადადებათა თითქმის ნახევარს შეადგენს.

ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადეგების უხვად გამოყენება შემთხვევითი არ უნდა იყოს. ასეთი წინადადეგები თხრობას უფრო დინამიკურს ხდის, ხოლო დინამიკური თხრობით ავტორი მეტ ემოციურ ძალას ანიჭებს და სურათოვნებას მატებს გულმოსაცემ აზრს. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძე მეტყველების ნაწილთაგან ზმნას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა: „იქ აზრი არამც თუ ცხადია, სადაც ზმნა აკლია, — წერდა იგი, — იქ თვით აზრიც არ არის. იმიტომ რომ სხვათა სიტყვის ნაწილუნი შორის მარტო ზმნა არის აზრის გამომხატველი“. ამიტომ იყო, რომ მას ქართული ენის განსაკუთრებულ თვისებად, მისი წარმატებულობის ნიშნად „ჩვენი ზმნები და ნამეტნავად მისი მართლად-და გასაკვირველი ფორმები“ მიაჩნდა.

აი ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული წინადადეგების რამდენიმე მაგალითი ი. ჭავჭავაძის ზემოდასახელებულ მოთხრობიდან:

„მინდრები და ქედები გოლვას სულ ათლად გადაეკნო და ფერო ეცვლენ-
ნებინა“; „აქეთ, პატარა მოშორებით, თავი მოუყარნათ ხარებსა, ჩამდგარიყვნენ
გუბის პირას, თვალენ-დახუჭულნი იცოხნებოდნენ და კუდით იგვრიებდნენ
მოუსვენარ ბუზებსა“; „უმცროსი მთლად აირია, მიტრიალდა, ზურგი ქუურვევა,
და თავის ძმას შეაქცია, დაიწყო უაზროდ ყურება და მერე დაჟინებით დააქერდა
ჩამავალ მზესა“; „პეტრე წამოდგა და, იმ ბიჭის უამბობით წყურვილ-მოუკვლევი,
მივიდა, მელუქნეს გაუსწორდა, ერთი კიდევ გადაავლო თვალი იმ ბიჭს უა
ფუსფუსით გაეჟანა ავლაბრისკენ“ და სხვ.

შერწყმულ წინადადებაში ზმნების — შემასმენლენის სიუხვე
და ასეთი წინადადებების ხშირი გამოყენება მეტწილად ავტორი-
სეულ მეტყველებას ახასიათებს.

ერთგვარშემასმენლიანი შერწყმული წინადადებების ხშირი
ხმარებით გამოირჩევა მ. ჯავახიშვილის თხზულებებიც.

ზოგჯერ ერთგვარ შემასმენლებად სინონიმური ზმნებია
გამოყენებული. ასეთი ზმნა-შემასმენლები მოვლენას უფრო
სრულყოფილად წარმოგვიდგენს. აი რამდენიმე მაგალითი ი. ქავკა-
ვიძის თხზულებებიდან:

(„ქვეყანა უფრო გაჩუმდა, უფრო გამუნჯდა“; „გიორგის ეოცა, გაუვირდა“;
„თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ატეხდა, თავს გამოიღებდა“;
„შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრია, უფრო გულს დაიხურა, უფრო
ჩაიკეტა, უფრო დანადგოიანდა“; „კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშტერდა“;
„ეხვეწებოდა, ევერებოდა არჩილი“ და სხვ.

ასეთ შემთხვევაში შემასმენლები ჩვეულებრივ უკავშიროდ
არის შეერთებული.

ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებები იმით
არის ხაინტერესო, რომ ერთგვარი განსაზღვრებები საზღვრულ
წევრს მრავალი მხრით ახასიათებს, მაგალითები:

„ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული,
ილაქნაწყვეტი სნეულებითა,
საწყალი მამა მოხუცებული
იახლა ბატონს თხოვნა-ხეყნითა“ (ილია).

„ის იყო ერთი ღარიბი, ქვრივ-ოხერი, ხნიერი დედაკაცი“ (ილია);
„ამითვე ვიფხანდი ისარნაკრავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა“
(ილია); „გაუმადარი და შეუბრალებელი შუქი მოუსვენრად დაძვრე-
ბოდა ხლართულ ფურცლებს შუა“ (ალ. ყაზბ.); „დამშეული, გაწვალებული,
დაღონებული ჭარი გამაგრდა მინდორზედ“ (ა. ყაზბ.).

ერთგვარ ვითარების გარემოებიან შერწყმულ წინადადებაში
ვითარების გარემოებანი, რომლებიც ზმნებს დაერთვიან, წარმოლ-

გენას იძლევიან იმ ვითარებაზე, რომელშიც ზმნით გამოხატულ მოქმედება სრულდება. ასეთი ვითარების გარემოებების გამოყენების მიზანი იგივეა: დეტალურად წარმოგვიდგინოს ზმნით აღნიშნული მოქმედება.

ვითარების გარემოებას დაემატოს კითხვები: როგორ? რანაირად? რამდენჯერ? რამდენად? მერამდენედ? (ლ. კვ ა ქ ა ძ ე).

ჩვეულებრივ ვითარების გარემოებად ზმნიზება გამოყენებული, მაგალითად, ძლიერ, მსწრაფლ, უმალ, ფიცხლავ, ცხადლივ და სხვ. ზმნიზების ფუნქციით და წინადადებაში ვითარების გარემოებად სწირად გამოყენებულია ვითარებით ან მოქმედებით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელები, ხან კიდევ — თანდებუიანი სახელი; მაგალითად, ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელები ვითარების გარემოებად არის გამოყენებული შემდეგ წინადადებაში:

„ორივე ხელს იქნედა გულმოდგინედ, მარჯვედ და პირნათლად“ (მ. ჭავჭავაძე); „მრისხანედ და მწყრალოდ შემომხედა“ (ილია); „აქ სცხოვრობდა ტბილად და აღმღვრეველად“ (ილია); „ეწყინა თამამად და გაბედულად ნაეარღობა ყურღობა-ნისა“ (ილია).

ამავე ფუნქციით არის გამოყენებული მოქმედებით ბრუნვაში დასმული სახელები:

„ყლაპულუპით, ძაგძაგით და ფორხილით მიამბობს“ (მ. ჭავჭავაძე); „ღამშვიდებით და განცხრომით ამღერდა“ (ილია); „კოქმანობით და შესვენებით მითხრა“ (ილია).

ვითარების გარემოებად გამოყენებულია ვით თანდებუიანი სახელები:

„დაშმატიყე კი უპატრონო ინდაურით დაჰყალავს და გასუქებულ ბურჯივით ღრუტუნებს“ (მ. ჭავჭავაძე).

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ერთგვარ წევრებს დაკისრებული აქვთ საერთო სურათის ამომწურავად გამოხატვა, მოქმედების დინამიკის ჩვენება, ექსპრესიულობის ფუნქცია.

ზოგჯერ გვხვდვართ ისეთი წერწყმული წინადადებები, რომლებშიც ერთდროულად რამდენიმე ქვემდებარე და შემასმენელია, რამდენიმე დამატება და გარემოებაა. ასეთი წინადადება გამოირჩევა თავისი რიტმულობით, მოქმედების დინამიკური გამოხატვით, ექსპრესიულობით. აი ასეთი წინადადებები:

„აქ გამოიგონეს მოსოკებმა და თუბალებმა რკინა და ბრინჯაო“; „...აქაურმა მიწა-წყალმა გამოჰკვება დიდა ხუროები და მხედრები, წმინდანები და პოეტები“.

უკედელი შოთა და მერჩული, ხანძელი და გოდერძი, ჩორხანელები და ზარზუელები, თორნიყე კრისთავი და სარგის თმოგველი, ჭაყულები და თორელები“.

პირველ წინადადებაში გვხვდება ორი ქვემდებარე და ორ-დამატემა, მეორეში 14 დამატემა, რომლებიც წყვილ-წყვილად არის დალაგებული. აი, კიდევ ერთი წინადადება:

„აქ გაფანტულია ხევისთავთა გვარეულობით განთქმული იარაღი: ჭავჭავები, მუზარალები, პერანგები, საბარკულები და სამკლაურები, ჩაფხუტები და ასნაირი თოფი და მახვილი; ლახვარი ორპირი, ზუნგრძელი, პირპრტყელი და ბუნზომიერა; სათხელები, ხელშუბები, გეონები, ხიშტები, ზუფანები, ლიბადაკები, გმურებო. სირმა, სიათა, ყირიმი, ფრანგული, დამასკი, დალესტნური, გორდა და მრავალნაირი დალესტნური ხანჯალი და ხმალი“ (მ. ჭავჭავ.).

ერთგვარ წევრებს — ქვემდებარეებს წინ უძღვის განმაზოგადებელი სიტყვები „იარაღი“ და „მახვილი“.

შეიძლება განმაზოგადებელი სიტყვები ერთგვარ წევრებს მოსდევდეს:

„კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ერი, მღვდელი — მისთვის სულ ყველა ერთი იყო, ყველას ერთი საზომით ზომავდა“ (ნ. ლომ.).

კავშირიანი და უკავშირო შერწყმული წინადადებები

ერთგვარი წევრები შეიძლება შეერთებული იყოს კავშირიან უკავშიროდ. ამის მიხედვით შერწყმულ წინადადებებს ყოფენ კავშირიან და უკავშირო შერწყმულ წინადადებებად.

განვიხილოთ ასეთი წინადადებები:

1. „ათჯერ დასერა მახარამ სომხეთი და ახალციხე, ჭავახეთი და კარ-ბელაქანი, არეზი და მტკვრის შესართავი, შექი და შამშადილი, განჯა და ყარაბაღი“ (მ. ჭავჭავ.). 2. „ათჯერ დასერა მახარამ სომხეთი. ახალციხე, ჭავახეთი, კარ-ბელაქანი, არეზი, მტკვრის შესართავი, შექი, შამშადილი, განჯა და ყარაბაღი“; 3. „ათჯერ დასერა მახარამ სომხეთიც და ახალციხეც, ჭავახეთიც და კარბელაქანიც. არეზიც და მტკვრის შესართავიც, შექიც და შამშადილიც, განჯაც და ყარაბაღიც“; 4. „ათჯერ დასერა მახარამ სომხეთი, ახალციხე, ჭავახეთი, კარ-ბელაქანი, არეზი, მტკვრის შესართავი, შექი, შამშადილი, განჯა, ყარაბაღი“.

ეს ოთხი წინადადება შეიძლება ერთმანეთის სინონიმურ ვარიანტებად მივიჩნიოთ. ამ ვარიანტულ სხვაობას ქმნის კავშირების არსებობა ან არარსებობა, ხოლო თვით კავშირიან წინადადებებში — კავშირთა თავისებური გამოყენება.

პირველ წინადადებაში და კავშირით წყვილ-წყვილად არის შეერთებული ერთგვარი წევრები. ჩვეულებრივ ასეთი წევრები

აზრობრივად ერთმანეთთან ახლოს დგას. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში ყველა ერთგვარი წვერი გეოგრაფიული სახელწოდებაა, მაგრამ ანგვარად შეიძლება შევავერთოთ ანტონიმებიც, მაგალითად:

„მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და წამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა“ (ილია).

ერთგვარი წვერების წყვილ-წყვილად შეერთებას მეტწილად მაშინ მიმართავენ, როცა წინადადებაში მრავალი ასეთი წვერია. ამგვარი შეერთება მეტყველებას რიტმულობას ანიჭებს და წინადადებას ექსპრესიულ ძალას აძლიერებს.

ზოგჯერ ამგვარად შეერთებულ ერთგვარ წვერებს ც (ა) ნაწილაკსაც ურთავენ (იხ. მე-3 წინადადება). ც (ა) ნაწილაკის დართვის მიზანია ყურადღების კიდევ უფრო მეტად გამახვილება ერთგვარ წვერებზე, რაც წინადადების ექსპრესიულობას ზრდის.

მეორე წინადადებაში და კავშირით უკანასკნელი ერთგვარი წვერია შეერთებული წინამავალთან. ამით თითქოს წყდება ერთგვარ წვერთა რიგი და მკითხველი თუ მამენელი მეტს აღარაფერს მოელის, აზრი ლოგიკურად დასრულებულია, ჩამოთვლა დამთავრებულია.

მეოთხე წინადადებაში, რომელშიც ერთგვარი წვერები უკავშიროდ (ინტონაციით) არის შეერთებული, ჩამოთვლას დასრულებული სახე არა აქვს. ასეთი კონსტრუქცია მეტწილად მშვიდ, დინჯ მეტყველებას გვხვდება, როცა მთხრობელი რაიმე ამბავს გადმოგვცემს.

და კავშირის სინონიმია თუ კავშირი. ზემომოყვანილ პირველ და მეორე წინადადებებში და კავშირის ნაცვლად შეიძლება თუ გამოვიყენოთ:

„ათჯერ დასერა მახარამ სომხეთი თუ ახალციხე, ჭავჭავთი თუ კარ-ბელაქანი, არეზი თუ მტკვრის შესართავი, შექი თუ შამშადილი, განჯა თუ ყარაბაღი“.

ასევე — მეორე წინადადებაშიც, სადაც უკანასკნელი ერთგვარი წვერი და კავშირით არის შეერთებული წინამავალთან, მაგრამ ც (ა) ნაწილაკდართულ ერთგვარ წვერებს შორის და-ს ნაცვლად თუ-ს ვერ ჩაესვამთ.

ასევე და-ს ნაცვლად თუ კავშირის ვერ ვიხმართ, როცა ერთგვარ-შემასმენლიანი შერწყმული წინადადებები გვაქვს, თუ ამ შემასმენლებით ისეთი მოქმედებაა გამოხატული, რომლებიც ერთმანეთს თანამიმდევრობით სრულდება, მაგალითად:

„არსენამ აღარც დააძალა, ორიოდ ნახტომით წამოეწია, ორივე ხელთ მარჯვენა მკლავში მისწვდა, დაითრია, წაუჩოქა, ზურგი აჰკრა, კისრულით წამოიღო, ფეხები მარჯილივით ააშვერინა და სამ ნაბიჯზე გულსასვით გადაადგო“ (მ. ჭავჭავაძე).

ამ წინადადებაში და-ს თუ კავშირით ვერ შევცვლით. ასევე ვერ შევცვლით და-ს თუ კავშირით ამ წინადადებაში:

„ტყე ჰქუხს თუ ტირის, სისინებს და ჰბლუს, შრიალებს და მოთქვამს, (მ. ჭავჭავაძე).“

მაგრამ თუ ასეთი წინადადების ერთგვარ შემასმენლებს რომელიმე სხვა შემასმენელი ან მთლიანად წინადადებას სხვა წინადადება უპირისპირდება, მაშინ დავწერთ:

„ტყე ჰქუხს თუ ტირის, სისინებს თუ ბლავს, შრიალებს თუ მოთქვამს, მაინც მიმზიდველია“.

თუ „მაინც“ სიტყვის წინ „მაგრამ“ მაპირისპირებელ კავშირს გამოვიყენებთ, მაშინ და კავშირზე დარჩებოდა:

„ტყე ჰქუხს და ტირის, სისინებს და ჰბლუს, შრიალებს და მოთქვამს, მაგრამ მაინც მიმზიდველია“.

ყველაზე ხშირად და-ს შეცვლა თუ კავშირით მაშინ არის მოსახერხებელი, როცა ერთგვარი წევრებია ქვემდებარეები, პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატებები.

ზოგჯერ შეიძლება თუ კავშირი შევცვალოთ და კავშირით, მაგალითად, წინადადება: „...კაცი თუ დედაკაცი, დიდი თუ პატარა თავგამოდებით მუშაობდა“ (ვაჟა)—

თუ-ს და-თი შეცვლის შედეგად ასეთ სახეს მიიღებს:

„კაცი და დედაკაცი, დიდი და პატარა თავგამოდებით მუშაობდნენ“.

მაგრამ როცა თუ მაქვემდებარებელი კავშირია, მას და კავშირით ვერ შევცვლით. ვერ შევცვლით მაშინაც, როცა თუ-ს კითხვის გაგება ახლავს ან მაკალკევებელი კავშირის როლს ასრულებს. „პეტრე წავიდა თუ შინ არის?“ „ბავშვი ხუთი თუ ექვსი წლის იქნებოდა.“

სინონიმური კავშირებია ხოლო და კი, რომელთაგან ან ერთი უნდა ვისმაროთ, ან მეორე; მაგალითები:

„იმ ხანებში ფილადელფოსი ქადაგად იყო დაეარდნილი, ხოლო იმ დღეს იქაურობას ნათესავით წაუქიდა ცეცხლი და ისედაც ფიცხელი იმერლობა თოჯინა წამალივით ააფეთქა“ (მ. ჭავჭავაძე). „ბერს თავისი თავი ცოცხალთა შორის პირველ ქართველად მიაჩნდა და ამიტომ ჭვარი მარცხენა ხელში გადაიღო, მარჯვენაში კი მახვილი ჩაიღო და ქუთაისში წამოვიდა“ (მ. ჭავჭავაძე).

ხოლო კავშირი საპირისპირო სიტყვას წინ უძღვია, კი ნობელის-ორივე ამ კავშირის ერთად ხმაზედა შეცდომაა. არ იქნებოდა აწორი, თუ ვიტყვით:

„იმ ხანებში ფილადელფოსი ქადაგად იყო დაეარდნილი, ხოლო იმ დღეს კი იქაურობას ნათესავით წაუქიდა ცეცხლი..“ ან: „...ჭვარი მარცხენა ხელში გადაიღო, ხოლო მარჯვენაში კი მახვილი ჩაიღო“..

სინონიმურ მაპირისპირებელ კავშირთა ერთ რიგს ქმნის მაგრომ, ოლონდ, თუმცა კავშირები; მაგალითები:

„ამ სიტყვებზე ელგუჯამ სამჯერ წუნარად, ოლონდ ხანგრძლივ დაუსტვინა“; (ა. ყაზბეგი). „ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, მაგრამ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა“ (ა. ყაზბეგი).

ამ წინადადებებში შეიძლება მაგრამ კავშირი ოლონდ ან თუმცა კავშირებით შევცვალოთ:

„ამ სიტყვებზე ელგუჯამ სამჯერ წუნარად, თუმცა ხანგრძლივ დაუსტვინა“.
„ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, ოლონდ ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა“; „ერთ დროს საწერეთლოში ბევრი გამოჩენილი აზნაურიშვილი იყო, თუმცა ბაქარა ბაქრაძეს კი ვერავინ შეედრებოდა“.

ახლა ასეთი მაგალითი ავიღოთ:

„ისევ მბრძანებლური, თუმცა დამშვიდებული კილოთი გაიშვირა ხევისბერმა“ (ა. ყაზბეგი).

ამ წინადადებაში თუმცა კავშირი, რომელიც აქ დაპირისპირების ფუნქციას ასრულებს, შეიძლება შევცვალოთ მაგრამ და ოლონდ კავშირებით:

„ისევ მბრძანებლური, მაგრამ დამშვიდებული კილოთი გაიშვირა ხევისბერმა“; „ისევ მბრძანებლური, ოლონდ დამშვიდებული კილოთი გაიშვირა ხევისბერმა“.

ამგვარად, შერწყმულ წინადადებაში ამ სინონიმურ მაპირისპირებელ კავშირთაგან შეგვიძლია ერთ-ერთი ავირჩიოთ. მაგრამ მათ შორის მაინც არას ერთგვარი სტილური განსხვავება. მაგრამ

კავშირის გამოყენების დროს დაპირისპირება უფრო მკვეთრია, თუმცა კავშირის გამოყენებისას — ნაკლებად მკვეთრი, ოღონდ კავშირი კი დაპირისპირებას კიდევ უფრო მკრთალად გამოხატავს. თუ ამ ნიშნებს გავითვალისწინებთ, სწორად შევარჩევთ მაპირისპირებელ კავშირს შერწყმულ წინადადებაში.

მაგრამ, ოღონდ, თუმცა კავშირებს ერთმანეთის შეცვლა ყოველთვის როდი შეუძლიათ, მაგალითად, რთულ წინადადებაში: „სროლა მაინც არ წყდებოდა, თუმცა ტყვიები უბრალოდ იკარგებოდა“ (ა. ყაზბ.). თუმცა კავშირს ვერ შევცვლით მაგრამ და ოღონდ კავშირებით, რადგან სხვა აზრს მივიღებთ. დასახელებული წინადადებებიდან ის აზრი გამომდინარეობს, რომ მიუხედავად ტყვიების უბრალოდ დაკარგვისა, სროლა მაინც არ. წყდებოდა, ე. ი. მსროლელებმა იცოდნენ, რომ გასროლილი ტყვიები სამიზნეს არ ხვდებოდა, მაგრამ მაინც ისროდნენ. ახლა წინადადებაში თუმცა-ს ნაცვლად მაგრამ კავშირი ჩავსვით:

„სროლა მაინც არ წყდებოდა, მაგრამ ტყვიები უბრალოდ იკარგებოდა“.

ამ წინადადებაში აზრს სხვა ელფერი აქვს:

ისროდნენ, მაგრამ ტყვიები სამიზნეს არ ხვდებოდა.

დაახლოებით ასეთივე აზრს გადმოგვცემს ოღონდ კავშირიანი წინადადებაც:

„სროლა მაინც არ წყდებოდა, ოღონდ ტყვიები უბრალოდ იკარგებოდა“.

ამგვარად, კავშირების შეცვლამ წინადადების შინაარსი რამდენადმე შეცვალა.

მაპირისპირებელ კავშირად ზოგჯერ გამოყენებულია არამედ სიტყვა. მას მეტწილად მაშინ იყენებენ, როცა ერთმანეთს უპირისპირდება ანტონიმები ან დაპირისპირება ძალიან მკაფიოდ უნდა გამოიხატოს, მაგალითად, წინადადებაში — „ვეფხისტყაოსანი“ თუ არის უკვდავი, არა მარტო თავისი ფორმით, არამედ თავისი შინაგანი ღირებულებით“ (ილია) — ერთმანეთს უპირისპირდება „ფორმით“ და „ღირებულებით“ სიტყვები. ახლა ამ წინადადებას დავავჯირდეთ.

„ზომიერ ცხოვრებას პაპა არა მარტო პატარებისთვის ნდომობს, არამედ — დიდებისთვისაც“ (ვეფა).

აქ ერთმანეთს უპირისპირდება „პატარებისთვის“ და „დიდებისთვისაც“.

ასევე მკვეთრი დაპირისპირებაა წინადადებაში:

„მე მოკრთო სახლი არა ჩემს გემოვნებათ. არამედ მიხედულობათ“
(ლ. არდაზ.)

არამედ კავშირის შეცვლა მაგრამ, ოღონდ, თუმცა ან ხოლო კავშირებით არ შეიძლება.

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრებს შეიძლება დაერთოს ც (ა) ნაწილაკი, რომელიც ყურადღებას გვამახვილებინებს ამ სიტყვებზე. მაგალითად:

„მათ თავთავიანთ ქვეყნიდან წერილებაც მოსდიოდათ. წიგნებიც. ჟურნალ-გაზეთებიც“ (მ. ჭავჭავაძე); „თითქო დაღლილა მიწა და ცაჲ“ (ილია).

ც (ა) ნაწილაკი არ დაერთვის შემასწავლებლს. მათ ამ ნაწილაკის ნაცვლად შეიძლება დაერთოს კიდევ სიტყვა:

„კიდევ კრის და კიდევ კერავს“ (ანდ.); „კიდევ მეტყემებოლა და კიდევ ვეპაე ტყეშალიო“ (ანდ.).

ც (ა) ნაწილაკი უკუთქმით შერწყმულ წინადადებაში დაერთვის არ, ვერ და ნუ უარყოფით ნაწილაკებს და ვლღებულობთ ასეთ ფორმებს: არც (ა), ვერც (ა), ნუცა (ნურცა-ა); მაგალითები:

„თითქოს იმის თმას თავის ღლეში არც წყალა მოხვედრია და არც სავარცხელი“ (ილია); „ჩემი კმუნვა კირსა ჩემსა არცა კმატს და არცა დიდობს“ (გ. ტ.);

„არც მთა, არც ტყე, არც მონღორი, არც წყალი, არც თუ გული მიწისა აღარ იყო ეხლა უქმად და უხმარად“ (ვ. ბარნ); „ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური, ვერცა ირემი რქიანი“ (ხალხ.); „შინაურობაში კი წესსა და რიგს ვერც ჩვენ ვაუტეხთ და ვერც სხვებს ვავატეხინებთო“ (აკაკი); „ვერც ნახეს შენი მნახაი ვერცა ყმა, ვერცა ბერია“ (გ. ტ.); „ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო. ნუცა სიტყვაა, ნუცა ავღარსა“ (ნ. ბარათი); „უმისოდმეცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა ვარე, ნუცა შინა“ (გ. ტ.);

ასეთ შემთხვევებში ც (ა) ნაწილაკიანი სიტყვა წინადადებაში უნდა განეორღეს.

შეიძლება ც(ა) ნაწილაკიანი სიტყვები უამნაწილაკოდ ვიხმაროთ, მაგალითად:

„თითქოს იმის თმას თავის ღლეში არ მოხვედრია წყალი და სავარცხელი“. „ჩემი კმუნვა კირსა ჩემსა არა კმატს და არა ეღობს“; „ვერც მოკლა ხარი, ფური და ირემი რქიანი“; „შინაურობაში კი წესსა და რიგს ჩვენ ვერ ვავატეხა“

და სხვებსაც ვერ გავატეხინებთ“; „ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ს-ცხესა და -ღლარს“ და სხვ.

თუ ამ წინადადებებს შევადარებთ პირველად მოყვანილ მაგალითებს, რომლებშიც ც (ა) ნაწილაკიანი სიტყვებია გამოყენებული. დავანახავთ, რომ პირველთა ემოციური ძალა უფრო მეტია.

ილია ჭავჭავაძე ზაქროს ათქმევინებს:

..არც უღონობამ, არც სიგამბდრემა,
არც სიბერემა, არც თეთრმა წვერმა,
არც კაცის და არც ღვთის სამართალმა
არ მიპატივეს ბებერი მამა“.

რაოდენ შემცირდებოდა ამ წინადადების ემოციური ძალა, რომ მასში არც სიტყვა არ ყოფილიყო ან მის ნაცვლად წინადადებაში და ან თუ კავშირი გამოეყენებინა ავტორს, ან კიდევ ერთგვარი წევრები უკავშიროდ შეეერთებინა!

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარი წევრები შეიძლება შეერთებული იყოს ან-ან მაცალკეებელი კავშირებით.

„ან მიღებულია ანუ-საგან, რომელიც წინათ მაცალკეებელი კავშირის ფუნქციას ასრულებდა. ამჟამად ან მაცალკეებელი კავშირია, ანუ — მაიგივებელი“ (ლ. ჭავჭავაძე თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 242). მაგალითები:

..ანუ მომცეს განკურნება. ანუ მიწა მე საპარი“ (ნვ. ტ.);
..ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყვი ძმობასა“ (ნვ. ტ.);
..ან თავსა კლდეთა ჩავეტყევ. ანუ მოვიკლავ დანითა“ (ნვ. ტ.);
..რა იცის ამბავი ნეტარ ან იმან, ან ამან?“ (ნვ. ტ.);
..ან საქონელა არ გეცოდება, ან შენი თავიო?“ (ილია);
..ან რუსეთს რაღად მიდიოდი, ან ფულს რად ხარჯავდი?“ (ა. ყაზბ.);

ასეთ წინადადებაში თუ პირველი ან გამოვტოვეთ, მისი ექსპრესიული ძალა შემცირდება.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრების შესაერთებლად შეიძლება სხვადასხვა კავშირი იყოს გამოყენებული, რაც საშუალებას იძლევა ერთი და იგივე აზრი სხვადასხვაანაირად გამოიხატოს: სინონიმურ კავშირითა არსებობა არჩევანის შესაძლებლობას ქმნის, ხოლო თუ ეს კავშირები და მათი დანიშნულება ვიცით, არ გავვიძნელებთ იმ კავშირის არჩევას, რომელიც მაქსიმალური სიზუსტით გამოხატავს გადმოსაცემ აზრს.

უკავშირო შერწყმული წინადადებები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინტონაციით არის შეერთებული, ასეთ წინადადებებში ჩანოთვ-

ლას დასრულებული სახე არა აქვს. ზოგჯერ კავშირად შეერთებას მიზართავე მამინ, როცა მომდევნო სიტყვა ახტუტებს წინამაჲლა:

„როგორღაც ეხაჲნა, ეუცხოვა ამისთანა ტოლმანაჲურა ქცეა“ (ილია); „ეხეჲნებოდა, ევდერებოდა არჩილი“ (ილია); „შეიღს გუნება ეყავა, ეურა დაღღრმა, უკრო გული დაიხურა, უკრო ჩაიკეტა, უკრო დანაჲელანაჲ“ (ილია); „მე მომინდება გარეთ გასკლა, გასეირნება“ (კ. ლომთ.); „შხოლოდ ჩუმაღ, შეუჲმინეჲლად ჩაეისვი მისი სურათა გულში“ (კ. ლომთ.). ნელ-ნელა მიჲჯაჲა მჲყჲა გონების თჲალწინ სახე თინათინისა, მიჩრდილა იგი, განჲ-ქურტელი ჲანჲით შეიმოსა“ (ვ. ბარნ.); „ქალი გამოერკჲა ენებათა ლელჲა, საუფჲეოდა თავის მოქმედებას, იჲყო შეფსება თავის მღგომარეობისა“ (ვ. ბარნ.).

უკავშირო შერწყმული წინადადებებით მეტყჲელება დინჲად, მღოვრედ მიედინება.

შერწყმული წინადადების ერთგჲარ წევრთა კავშირიანი და უკავშირო შეერთება შესაძლებლობას იძლეჲა გადმოსაცემი აზრის შესაბანაჲად ერთ-ერთი მათგანი ავირჩიოთ.

თანდებულისანი ერთგჲარი წევრები

ერთგჲარ წევრებმ შეიძლება ერთგჲარი, ერთი და იგიჲე თან-დებულები ერთოდეს. ასეთი ერთგჲარი წევრები ან და კავშირით იჲნება მჲერთებულო, ან უკავშიროდ. როცა და კავშირია გამოჲყენ-ბულო, ამ კავშირის წინ მღგომ წევრს თანდებულო არ ჲაერთჲი. მაგალითები:

„ეჲსკურსანტები იყენენ თბილისში, ქუთაისში, მცხეთაჲა და გორში“; „მთლად ტყაჲში, ნაბადასა და ყაბალასში გახეჲული პატარა ბიჲი ცხენს მიერეჲბოდა“ (ა. ყაზბ.); „ფიქრობს ხმელი წიფელი თავისთაჲზე, წარსულზე, აჲყჲოსა და მომავალზე“ (ვაჲა); „იარაკზე, მაგიდასა და თაროზე ქალღღის ნაგლეჲება ეყარა“; „ომისა და ამხანაგისაგან წერილი მივიღე“; „შრომისმოჲყარეობისა და ბეჲითობისათჲეს მადლობა გამოუცხადეს“ და სხე.

თჲ და კავშირს არ ვიხმართ, ერთგჲარი წევრები ერთმანეთისაგან მძიჲეებით გამოიყოფა.

ზოგჯერ და კავშირის წინ თანდებულო აუცილებელია, მაგრამ არ გვხვდება, მაგალითი:

„სპორტულ მოედნებსა და კლუბებში დიდი გამოცოცლებაა.

ამ წინადადებაში სიტყვა მოედნებს აუცილებლად უნდა დაჲურ-თით ჲე თანდებულო: სპორტულ მოედნებზე და კლუბებში.... რად-გან მოედან სიტყჲასთან აქ ში თანდებულო მოსალოდნელი არ არის. და კავშირის წინ მღგომ სიტყჲას არ ეურთავთ იმ თანდებულს.

რომელიც მომდევნო სიტყვას ახლავს. ასევე აუცილებელია თანდებულის დართვა და კავშირის წინ მღგომი სიტყვისათვის ასეთ წინადადებაში:

„შემოდგომასა და ზამთარში ჩვენს სოფელში სიცივეები“.

სიტყვა შემოდგომას უნდა დავეუროთ ზე თანდებული, რადგან დროის ზმნიზედაა შემოდგომაზე და არა შემოდგომაში, მაგრამ თუ ასეთი წინადადება გვექნებოდა: „ზაფხულსა და ზამთარში ეს მცენარე მწვანე ფერს არ იცვლის“, მაშინ ზაფხულ სიტყვას თანდებულს არ დავეუროთ, რადგან დროის ზმნიზედაა ზაფხულში. ორივე სიტყვას — ზაფხულსა და ზამთარს ში თანდებულის დართვა დროის ზმნიზედის ფუნქციას ანიჭებს.

ზოგჯერ შეცდომები გვხვდება მიზნის გარემოების მიხედვით შერწყმულ წინადადებაში. მიზნის გარემოება შეიძლება თვის თანდებულისანი სიტყვითაც გადმოიციეს და ვითარებით ბრუნვაში დასმული ვნებითი გვარის მყოფადი დროის მიმღობითაც, მაგალითად, სიტყვები გაუმჯობესებისათვის და გასაუმჯობესებლად, უზრუნველყოფისათვის და უზრუნველსაყოფად, დანერგვისათვის და დასანერგავად, აღმოფხვრისათვის და აღმოსაფხვრელად, შექმნისათვის და შესაქმნელად მიზნის ზმნიზედებია და წინადადებაში მიზნის გარემოებებზე გამოიყენება. ახლა განვიხილოთ ორიოდ მაგალითი;

„კრებამ დასახა ღონისძიებები სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად და შრომის ნაყოფიერების გასაღიღებლად“.

ამ წინადადებაში ორი მიზნის გარემოებაა (გასაუმჯობესებლად. გასაღიღებლად) და ორივე ვითარებით ბრუნვაში დასმული მიმღობით არის გადმოცემული. წინადადება ენობრივად სწორია. იგივე აზრი შეიძლება ასედაც გადმოგვეცა:

„კრებამ დასახა ღონისძიებები სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების გაღიღებისათვის.“

აქაც ორი მიზნის გარემოებაა, რომელთაგან პირველს (გაუმჯობესებისა) თვის თანდებული არ დაერთვის, რადგან მეორეს ერთვას ის (გაღიღებისათვის). ეს წინადადებაც სწორია.

ახლა მესამე ვარიანტი განვიხილოთ:

„კრებამ დასახა ღონისძიებები სამუშაო პირობების გაუმჯობესებისათვის და შრომის ნაყოფიერების გასაღიღებლად“.

ამ წინადადებაში ერთი მიზნის გარემოება თვის თანდებულიანი სიტყვით არის გადმოცემული (გაუმჯობესებისათვის), მეორე კი — ვითარებით ბრუნვაში დასმული მიმღობით. შეიძლება პირუქუც ყოფილიყო: პირველი მიზნის გარემოება გადმოგვეცა ვითარებით ბრუნვაში დასმული მიმღობით (გასაუმჯობესებლად), მეორე კი — თვის თანდებულიანი სიტყვით (გადიდებისათვის). ვერც ამ წინადადებას დავიწუნებთ, ენობრივად ესეც სწორია.

ღაააარულ. მეოთხე ვარიანტი:

„კრებამ დასახა ღონისძიებანი მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების გასაზიღებლად“.

ამ წინადადებაში გვაქვს და კავშირით შეერთებული ორი სიტყვა — გაუმჯობესებისა და გაააღიდებლად. ეს კი სწორი არ არის.

სიტყვა გაუმჯობესებისა მიზნის გარემოება არ არის; თუ გვინდა, რომ მან მიზნის გარემოების ფუნქცია შეასრულოს, აუცილებლად უნდა დავურთოთ თვის თანდებული ან ვითარებით ბრუნვაში დასმული მიმღობა გამოვიყენოთ.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 1. ქვემოთ დასახელებულ წინადადებებში ერთგვარი წევრების — დამატებების — წინ გამოიყენეთ უარყოფის აღნიშვნელი ნაწილაკები „არც“, „ნურც“ და დაუვირდით, რა ელფერი მიიღო წინადადებაში.

ა) საზოგადოდ უნდა ვთქვათ, რომ სპარტანულად გვზრდიდნენ; არ გვარდებდნენ სიცივეს, სიცხეს, დარს და ავდარს.

ბ) წადი ეხლავე, ცხენოსანი ჯარი შემოარტყი შუამთის მონასტერს და ააოხრეთ! აიკელით! ნურავის დაზოგავთ: დიდს, პატარას, ბებერს და ყმაწვილს!

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 2. გამოიყენეთ რომელიმე მაპირისპირებელი კავშირი და დაუვირდით რა ელფერი მიიღო წინადადებაში.

შველმა იგრძნო, დაფრთხა, წამოვარდა ზეზე, ორჯერ-სამჯერ გადახტა განზე, უცბად შეჩერდა და მოიხედა უკანვე.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 3. ერთგვარ წევრთა უკავშირო შეერთების ნაცვლად გამოიყენეთ კავშირიანი შეერთება (და, თ უ), თან დააწყვილეთ ერთგვარი წევრები; იმსჯელეთ, როგორი შეერთება სჯობს.

ა) ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი — ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს.

ბ) შელანო მიდგა თაროზე, გადმოიღო იქიდან ცივად მოხარშული დამზადებული დედალი, ყველი, მრგვალად მოხარშული კვერცხები, ხელაღით ღვინო, ვააწყო სუფრა და კოაწიოაბა დაიწყო.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 4. ერთგვარი წევრებით შეავსეთ წინადადებები.

ა) შეპყრობით ამ ლაგვარდოვანს, მოწმენდილს... და მოკაშაშა ვარსკვლავებით მოქედით ცას.

ბ) ანუ ანად ერთმანეთში პარმონიულად შეთანხმებული ბალახის შიშინი, ფოთლების შრიალი, ყვავილების რსევა... და ჩიტების კიკიკი თითქოს მაყრულს ეუბნებიან არემარესო.

გ) ზოგიერთ ყმაწვილს ურჩობა, ეინიანობა, ცელქობა... და სხვა ამგვარი რამ უზნეურობა საქებად მიაჩნია.

სახელდებიოი წინადადება

სახელდებით წინადადება უწოდებენ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რომელიც ადასტურებს, გამოხატავს რაიმე საგნის ან მოვლენის არსებობას. ასეთი წინადადებები ჩვეულებრივ მხატვრულ ნაწარმოებებში გვხვდება. მათ იყენებენ მოქმედების დინამიკურობის გასაძლიერებლად, მეტი მხატვრული ეფექტის შექაქმნელად. მწერალი თითქოს მკითხველსაც აბამს ასეთი წინადადებით გადმოცემული საგნებისა თუ მოვლენების აღწერაში. პოეტი ქალი ანა კალანდაძე ერთ ლექსს ასე იწყებს:

„ლუშასჲ და რიცა
ტბებზე ძეწნის ზილფი...
ბზიფი, ბზიფი, ბზიფი...
ლურჯი ავადპარა...
მთვარე, მთვარე, მთვარე...
მოხვალ? ალბათ, არა!“

ბოლო სტრიქონამდე სახელდებითი წინადადებებია. არსებითი სახელებით გადმოცემულია ქვემდებარეები, შემასმენელი არ ჩანს.

ასეთივეა იმავე ავტორის შემდეგი სტრიქონები:

„იკაციის ტვერი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმოხდილი ქვევრა...
ღვინიანი კოპე...
აქ — მზით დამწვარ ხელში
ღვინიანი ჭიქა...
იქ — ცარიელ ქვევრში
დამწვკდეული ჭინკა...“

ამ სურათის დახატვის შემდეგ პოეტი მკითხველებს მიმართავს:
„პაპის მონაცემი, მარად საოცნებო, კარ-მიდამო ჩემი დამი-
ლოცეთ, ძმებო!“

აი კიდევ მაგალითები:

„წვიმა და წვიმა. ცივი ველი, გამზარი ლანი.
ვინ არის ლანი?... გზა საღ არის?... გამზარ ლანის სიცილა“
(პ. იაშვილი).

„იბერიელთა სოფელი... მალა-მალაი ცხენები...
ხალხის ფოლადს აღნობენ მამაცი ხალხებები,
პირველყოფილი სამქედლო — გრძელმი და ურო ძლიერი,
ქართულ იარაღს აწრთობენ მამაცი იბერიელი.
კვერითხური ვეება, რვალის და რკინის მკედელი
და საბერველი, ვეშაპის ყბასავით გაუხენელი.
უგანიურესი ფილტვები, პაერი დაქანგებული.
ბასი: ქექა-ქუხილი და ერი აჯანყებული.“

• ქურაში ცეცხლის ენები — წითელი აბრეშუმები,
კედლებზე ახალთ-ახალი, თხუთმეტწერთიანი შუშები.
უზარმაზარი ფანჯრები, გაკრილი თაღებამღისა,
დასახარჯავი ხანკლები და პერანგებო ნაბღისა!
იბერიელთა სოფელი... მალა-მალაი ცხენები...
ხალიბის ფოლადს აღნობენ მამაცი ხალხებუნი.“

(ლ. ასათიანი).

„მძიმე და საშიშარი წუთები, წუთები სულმოკლეობისა და დაეცემა!“
(ვ. ლომთ).

„... მარტო! სულ მარტო!
და შეიპარა ვიღაცა ჩემს გულში. შეიპარა და გაიხედა-გამოიხედა. და ე-
ვიგრძენი შე.“

სევდა! აღრჩევა სულისა! სევდა!
და მარტოობა! მარტოობა!
მარტო, სულ მარტო! და მხოლოდ ჩემი სევდა ჩემთან, სხვა არავინ, მხოლოდ
ჩემი სევდა!“ (ვ. ლომთ).

როგორც ამ უკანასკნელი მაგალითებიდან ჩანს: სახელდენითი
წინადადებებით ძლიერი სულიერი მღელვარებაც გადმოიცემა.

ა.ნეთ წინადადებაში ავტორი განზრახ გამოტოვებს შენასმენ-
ლებს, მათი გამოტოვების ხარჯზე მეტყველება უფრო ლაკონიური
ხდება, განცდა — უფრო მძაფრი, ემოციური.

ვცადოთ და აღვადგინოთ შემასმენლები:

„მძიმე და საშიშარი წუთები (დგას, არის), წუთები სულმოკლეობისა და
დაეცემის!

მარტო (ვარ), სულ მარტო (ვარ)!

სევდა (სუფევს, სევდას შეეუპყრივარ. მოუცავევარ), სულის აღრჩევა
დროს! სევდა (სუფევს, მაწუხებს)!

და მარტოობა (ა)! მარტოობა (ა)!“.

შემასმენლების ხარჯზე გაწეული ეკონომია სათქმელს ზიანს არ
აყენებს, პირიქით. მკითხველში მეტ ემოციას იწვევს.

სახელდებით წინადადებები გვხვდება ანდაზებსა და გამოცხადებებში:

„ეს ბურთი და ეს მოედანი!“ „ერთი ალთას, მეორე ბალთას“; „ძალა ხსენებაზეო“, „აკიბული, ჩაკიბული, ცის და ქვეყნის მოციქული“ (წერილი); „შიგნით ქეჩა, გარეთ ელვა, კაცის შემაშინებელა“ (თოფი); „ორმო ბნელი, შივ მოზვერი, ძნელად მოსაბრუნებელი“ (ხანჯალი); „გარეთ ოქრო, შიგნით ვერცხლო, ვერცხლში წყალი, წყალში ცაცხლი“ (სამოვარი) და სხვ.

სახელდებითი წინადადებები ან გაუფრცობელია, ან გავრცობილი. გაუფრცობელია, მაგალითად, „სევდა“, „მარტოობა“, „ბზიფი“, „მთვარე“ და სხვ. გავრცობილია „აკაციის ტევრი“, „ქუდმოხდილი ქვევრი“, „ღვინიანი კიქა“, „იზერიელთა სოფელი“, „მალაღ-მალალი ცხენები“ და სხვ. ამ წინადადებებში ქვემდებარეებს ხან მართული შსაზღვრელი ახლავს, ხან შეთანხმებული.

სახელდებითი წინადადებები ამრავალფეროვნებს ჩვენი ენის გამომსახველობით შესაძლებლობებს.

ამ ტიპის წინადადებები ხშირად არის გამოყენებული წიგნების, მხატვრული თუ სხვა სახის ნაწარმოებების, საყურანალგაზეთო სტატიების სათაურებად, მაგალითები:

„ქართული ენის გრამატიკა“ (წიგნის სახელწოდება), „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (ყურანალის სახელწოდება), „ოთარანთ ქვრივი“ (ნაწარმოების სათაური), „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ (ნაწარმოების სათაური), „ზუგდიდელ შეჩაიეთა სიტყვა და საქმე“, „ზრუნვა ჩვენი სოფლების მცხოვრებთა ჭანმრთელობისათვის“, „მითები და სინამდვილე“, „მუზეუმის ერთგული მეგობრები“ (ყურანალ-ვაზეთებში დაბეჭდილი სტატიების სათაურები).

ამავე ტიპისაა დაწესებულებათა სახელწოდებანი:

„თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენისანი სახელმწიფო უნივერსიტეტი“, „გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია“, „საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო“ და სხვ.

წიგნების, მხატვრული თუ სხვა სახის ნაწარმოებების, საყურანალგაზეთო სტატიების სათაურები, დაწესებულებათა სახელწოდებანი, რომლებიც სახელდებითი წინადადებებია, თავისი სტილური ფუნქციით განსხვავდება მხატვრულ ნაწარმოებებში გამოყენებული სახელდებითი წინადადებებისაგან. როგორც აღვნიშნეთ, ამ უკანაქნელთა გამოყენების მიზანია მოქმედების დინამიკურობის გაძლიერება, ნათქვამის ემოციური ძალის გაღვივება, მეტი მხატვრული ეფექტის შექმნა. სათაურებად და სახელწოდებებად გამოყენებული სახელდებითი წინადადებები კი ამოკლებენ მეტყველებას,

უფრო ეკონომიურად გადმოგვცემენ სათქმელს: მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ სათაურად გამოიყენონ ასეთი წინადადება:

„ეს ახალგაზრდები მუზეუმის ერთგული მეგობრები არიან“, წერენ — „მუზეუმის ერთგული მეგობრები“.

სახელდებითი წინადადებებისაგან უნდა განვასხვაოთ სათაურებად გამოყენებული უსარულა წინადადებები, როგორცაა:

„ხუთწლელი — ვადამდე!“ (აკლია შემასმენელი „შეკასრულოთ“); „ცოლნა— მასებს!“ (აკლია შემასმენელი „მივცეთ“); „ფართო სარბიელი — პატროტულ თოსნობას!“ (აკლია შემასმენელი „მივცეთ“, „შევუქმნათ...“); „მაცხრე ხუთწლელი — მილიონთა საქმე“ (აკლია შემასმენელი „არის“) და სხვ.

ამ ტიპის წინადადებები ჩვეულებრივ ჟურნალ-გაზეთებში გვხვდება. გამოტოვებული წევრის (უმეტეს შემთხვევაში — შემასმენლის) ადგილას ტირე იწერება. შინაარსის მიხედვით ასეთი წინადადებები ხშირად მოწოდებას შეიცავს, ამიტომ ზოლოში ძახილის ნიშანი დაისმია.

ამ ბოლო ხანებში ქართულ პრესაში ფეხს იკიდებს ისეთი სათაურები, რომლებშიც გამოტოვებულია საზღვრული წევრი, მაგალითები:

„პირველი ლეგალური“ (იგულისხმება „ეროლობა“); „მეორე საერთაშორისო“ (იგულისხმება „ფესტივალი“); „საერთაშორისო ამხანაგური“ (იგულისხმება „შეხვედრა“) და სხვ.

ამ ტიპის სათაურები ქართულისათვის ბუნებრივი არ არის. ნკითხველს უძნელდება გაიგოს, თუ რის მსაზღვრელია სიტყვები: ლეგალური, საერთაშორისო, ამხანაგური... საზღვრულის გამოტოვება აზრს აბუნდოვნებს, რადგან ლეგალური, საერთაშორისო ან ამხანაგური ბევრი რამ შეიძლება იყოს. ამიტომ ამ ტიპის წინადადებები სათაურებად არ უნდა გამოიყენოთ.

წინადადების რომელიმე წევრის გამოტოვება მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა ამ წევრის აღდგენა მკითხველს არ უძნელდება. მაგალითად, სიცხადე, სიზუსტე სათაურებსაც მოეთხოვება.

რაკი სათაურებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა განვიხილოთ ერთი ასეთი ტიპის სათაურებიც. ზოგჯერ სათაურად გამოყენებულია დაქვემდებარებული წინადადება, მთავარი კი არ ჩანს, მკითხველმა უნდა აღადგინოს, მაგალითი:

„როცა საქმეს სიყვარულით ეკიდებიან“; „თუ გულო გულობს“, „აადაე პოეტი დაიბადა“, „სანამ ცოცხალი იყო“ და სხვ.

ან ტიპის სათაურების გამოყენება მიზანშეწონილია. მთავარ წინადადებას მკითხველი თვითონვე აღადგენს, როცა სათაურის ქვე-
მოთ მოთავსებულ ტექსტს წაიკითხავს.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ მ 1. ქვემოთ მოყვანილი ნაწევები დაასათაურეთ.

გაზაფხულდა, ჭეჭილები გაბზინდა, თოჯლის წყლებმა დაიწყეს ცელქად დენა
პინდრად და ხეებში. ზღვაშიც ფრი იცვალა, ვაი ქელა ქელი. მისნი კიდნა-
ხშირჩალიანნი და ზამთრისაგან გაყვითლებულნი, ამწვანდნენ. ღამდებოლა. ის-
იყო, რომ ზღვის იქილამ დაღალულ-ღაქანცული ორი ტრედი მოფრინდა და
ზღვის პირად დაჯდა. დედა-შვილსა ჰკვანდენ, ნისკარტი ნისკარტს გადაადვენს.
საქმამ ხანს ჩუმად ისაუბრეს და შერე ორივეს დასთვლიმა... დედატრედს გამოყ-
ვლიმა და ამოიკენესა.

— რად ამოიკენესე? — კითხა შვილმა.

— ცული სიზმარი ენახე: გზაში თოჯლმა მოგვაცწრო. ჯანლი ჩაგვიწვა, გზას
ველარ ვიგნებდით, ზინა დაგვითოვლა, მარცვლებს ეელარა ვმოულობდით, შიმშილი
გვეკავდა. ერთ დათოვლის ხეზე დავსხედით. შტოები გაყინული ჰქონდა, ხედ
ყინული დაკიდებული და კირხლი მოკიდებული იყო, ყინვა-საგან ტყერებოდა:
გვაქანკალბდა ტანში, საშინლად ცულად ვიყავით, თავს ცულად ვგრძნობდით.
ცრემლი ველიოდა მე და შენ ორივეს. ხუთი მონადირე ხუთს მხრიდან მოგპარ-
ვიყო. თოფები გვესროლეს, შენ ბუმბული გაგადინეს და ძირის ნისკარტის წერი
მოგტეხეს. მაგრამ ორივენი ცოცხლები გადავრჩით — გავფრინდით, მალა-
მალა ვიწვევდით და ისე მივფრინავდით, ცოდვიანს დედამიწას ვშორდებოდით.
ვშორდებოდით მტრის თვალსა და გულს. დავოსდით, დავილაღენით. ღმერთმა
გვიბრალა, ცამ გადიყარა, მზე მოფენილიყო, ხეები. დედამიწა წითლად, ყვითლად
და მწვანედ დაფარული გაპლურდა. ყანებს თეთარი დავხარა, ეტყობოდა, კარგა
მოსავალი იყო. დავცხხა და ერთის ველის პირას ვერხვზე დავსხედით, გახურე-
ბულთ ნიაგმა დაგვებრა, ვერხვის ფოთლებმა თრთოლა დაიწყეს... აქედამ ენახე
ჩვენი ადგილი სოლქა, სადაც ბუდე მაქვს გაკეთებული; სადაც შენ ვაგზარდე.
გუნება გამინათლდა, მინდოდა ჩქარა მიესულიყავით, დაგვეთვალიერებინა ჩვენი
ბინადრობა, ჩვენი სახლ-კარი. ჩქარაც მივედით... (ქორს) დავსაკუთრებინა ჩვენი
ბინა. მომეტანა. გამოქანებულმა დამკრა ბჭლალი და ჩამომავლო დაბლა. ახლა შენ
მოგიბრუნდა. შენ, შვილო, გაუფრინდი, ქორი გამოგეკიდა. უკვდებოდი. თვალებს
ვხუჭავდი, მაგრამ მინც კიდევ გხედავდი, რომ გწუნდა და გვლუჭდა, შენს ბურ-
ტულს პირილამ ისროდა. რომ ხორციისთვის თან არ ჩაეყოლებინა. შემამინა ამ სა-
შინელმა სიზმარმა და ჭერაც გული მიქანკალბებს (ვაეა-ფშაველა, „ტრედები“).

ს ა მ ბ რ ჯ ი შ მ 2. დაასათაურეთ ეგ. ნინოშვილის „გოგია უიშვილის“
თავები.

დაასათაურეთ ი. კვაჭავაძის „გლახის ნამბობის“ I თავი.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ მ 3. ეურნალ „პიონერიდან“ და გაზეთებიდან „ლიტერა-
ტურული საქართველოდან“, „ახალგაზრდა კომუნისტიდან“ (ბოლო ნომრები) ამო-
წერეთ თქვენი მოწონებული სტატიების, წერილების სათაურები.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ მ 4. „ჩემი მეგობარი“ — ამ სათაურის მიხედვით დაწერეთ
წერილი კედლის გაზეთისათვის.

ს ა მ რ ჯ ი შ ო 5. ო. ქვეყანის პოემის — „რამდენიმე ხურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ — ილუსტრაციებს მოუძებნეთ შეხაზამის სახელწოდებანი

რთული თანწყობილი წინადადების სტილური ფუნქციები

გრამატიკის კურსიდან ცნობილია, რომ ისეთ წინადადებას, რომელიც ერთზე მეტ მარტივ ან შერწყმულ წინადადებას შეიცავს, რთული წინადადება ეწოდება.

რთულ წინადადებებს ზეუღლებრივ ორ ჯგუფად ყოფენ: ერთ ჯგუფს შეადგენს რთული თანწყობილი, ხოლო მეორეს — რთული ქვეწყობილი წინადადებები.

რთულ თანწყობილ წინადადებაში გრამატიკულად თანაბარ-უფლებიანი ორი ან რამდენიმე მარტივი თუ შერწყმული წინადადება შეერთებული, ქვეწყობილ წინადადებაში შემაჯალა წინადადებები კი თანაბარუფლებიანი არ არის, ერთი წინადადება მთავარია, მეორე (ან დანარჩენები) კი — მასზე დაქვემდებარებული. დამოკიდებული. თუ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში რამდენიმე წინადადება, შეიძლება ყველა ერთ მთავარ წინადადებაზე იყოს დამოკიდებული ან ერთ მთავარს ერთი დაქვემდებარებული წინადადება ახლდეს, ეს დაქვემდებარებული წინადადება მესამე წინადადებისათვის მთავარი იყოს და მას თავის მხრივ დაქვემდებარებული წინადადება ახლდეს და ა. შ.

რთული თანწყობილი წინადადებები მაგალითებია:

„ვერ გადათქმევინა პლატონმა ბუქინას მისი სურვილი და ამან მეტად აკმაყოფირა გული“ (დ. კლ.); „გადააფარებდნენ თურმე ჩოხას შეშის კონას, დაახურავდნენ ქუდს, ერთი მიუჩოქებდა, ორი აქით-აქეთ ხელს მოჰკიდებდა და სხვები ზარს ააყოლებდნენ“ (აკაკი); „ყველა ეს მშინვე მოაჯიკრა ლევანმა, წაბლის წაკითხვისთანავე, და სწორედ ამან დააღონა მზარული ვეჯაკი სულთანზე“ (ვ. ბარ.); „ძველად აქ ჩარბს უხმობდნენ დაფადლითა და ბუკითა, ახლა ყაყაჩო შემომხვდა ლამაზი ქალის შუქითა“ (ლ. ასათ.) და სხვ.

რთული ქვეწყობილი წინადადებების მაგალითებია:

„მომავალსა წელსა ესეთი სიყმილი მოვიდა, რომე პურის ხსენება არაღიყო“ (საბა); „ორივენი გაფაციცებთ თავს დანტრიალებდნენ დაქვემდებარებულ ბუქინას და თავგამოდებით ემსახურებოდნენ, თვალში შეჰყურებდნენ, რომ ყოველ მის სურვილსა და საწადელს მისგან გამოთქმამდის მიმხვდარიყვნენ“ (დ. კლ.); „საწერეთლოში, ზემო იმერეთში, ბევრი კარგი სოფელია და მათ რაღაცე“

ურგევია სავანეც, ის სოფელი, სადაც ჩემი ძიძა ცხოვრობდა და მეც ვიზრდებოდი“ (აკაკი).

„როდესაც ოსებისაგან მოიციალეს, გოჩა ისევ ჩაფიქრდა და წყნარად დადამშვილებით წარმოთქვა“ (ა. ყაზბ.). „როცა საღილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, როცა საღამოზედ ნიაფი ფრთას გაშლიდა და ბაღჩის ღობის, გრძლად გაწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, მაშინ კნენინა დარეკანა ერთ ბალანგაცვივულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებაკიმული და გამოპრანჭული“ (ილია); „სხადად ხედავდა იგი, რომ ნოშრევანის გარეშე არ არსებობდა მისთვის არც სიხარული. არც ნეტარება“ (ვ. ბარნ.) და სხვ.

რთული წინადადება (თანწყობილიცა და ქვეწყობილიც) შეიძლება იყოს კავშირიანი და უკავშირო.

კავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებებში გვხვდება მაჯგუფებელი, მაცალკეველი, მაპირისპირებელი, მაიგივებელი კავშირები.

რთული თანწყობილი წინადადება დაწვრილებით არის განხილული ლ. კვაჭაძის „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსში“ (თბილისი, 1966, გვ. 325—340), რომელშიც გარკვეულია კავშირების როლი და ფუნქციები თანწყობილ წინადადებაში, კერძოდ. ნაჩვენებია, რომ და კავშირით შეერთებული წინადადებები (ზმნები) გამონატავს:

ა) ერთდროულ მოვლენებს („ბაღში ნელი სიო დაფუსფუსებს და კუთხეში თავი ცოდილობს“ (მ. ჭავჭავ.); ბ) თანამიმდევრულ მოვლენებს („ჩქარა ჩავიდა მზე და დღის სიციხე ღამის სიომ შესცვალა“ (ა. ყაზბ.); გ) მოვლენათა მიზეზშედგომობას („მე ექიმო ვარ და საქმე მე უნდა გადაწყვიტო“. (მ. ჭავჭავ.); დ) და კავშირით შეერთებული წინადადება ზოგჯერ ხსნის ან განსაზღვრავს იმას, რაზედაც პირველ წინადადებაშია ლაპარაკი („გაქარდა ერთბაშად თოფი და ენისმანი იყო საერთო იერიშისა“ (ა. ყაზბ.)...

ზოგჯერ და კავშირით შეერთებული წინადადებები ერთმანეთთან მკვეთრად არის დაპირისპირებული. მაგალითად, ჭოლა ლომთათიძის მოთხრობა „პირველი მაისი“ ასე იწყება:

„ხვალ პირველი მაისია და მე ამაღამ არ მეძინება“.

ავტორი ამ წინადადებაში ორ მოვლენას უპირისპირებს ერთმანეთს, ამიტომ შეიძლებოდა და კავშირის მაგივრად მაგრამ კავშირი გვეხმარა:

„ხვალ პირველი მაისია, მაგრამ მე ამაღამ არ მეძინება“.

თუ ერთ მოვლენას მეორის მიზეზად მივიჩნევდით, მაშინ წინადადება რთულ ქვეწყობილად გადაკეთდებოდა:

„რადგან, (ვინაიდან, რაკი...) ხვალ პირველი მაისია, ამაღამ მე არ მეძინება“.

თითქონს დასახელებული მაგალითის ამგვარად გადაკეთება არავითარ უხერხულობას არ უნდა იწვევდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ აზრი იცვლება. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს იმავე მოთხრობის მომდევნო სტრიქონებიდან:

„ეს იმიტომ, რომ მე ეხლა მინდა ვიყო ქალაქ №-ში. მინდა ვიყო იქ და სტუდენტულ საღამოებში კი ვიმყოფები — აბა, როგორ დამეძინოს, ერთი მითხარით!“.

აზრი ნათელია. მოქმედი პირი იმიტომ კი არ თხიზლობს, რომ ხვალ პირველი მაისია, არა, მას არ ეძინება იმის გამო, რომ მას ახლა სურს იყოს ქალაქ №-ში და, აბა, რა დააძინებს!

მასწავლებელმა, მიზეზობრივი კავშირის დამყარება ორ წინადადებას შორის („ხვალ პირველი მაისია“ და „მე ამაღამ არ მეძინება“) ნაწარმოების შინაარსის მიხედვით ვერ ხერხდება. ამიტომ ამ წინადადებაზე ვერ შევცვლით ასეთი წინადადებებით:

„ხვალ პირველი მაისია, მაგრამ მე ამაღამ არ მეძინება“; „რადგან (ვინაიდან, რაკი...) ხვალ პირველი მაისია, ამიტომ მე ამაღამ არ მეძინება“ და სხვ.

ავტორმა შეარჩია ერთადერთი ზუსტი ვარიანტი („ხვალ პირველი მაისია და მე ამაღამ არ მეძინება“), რომელიც ყველაზე მკაფიოდ და ზუსტად გამოხატავს გადმოსაცემ აზრს.

თუ ამ წინადადებაში და კავშირის გამოვტოვებდით, იგი უკავშირე რთულ თანწყობილ წინადადებად იქცეოდა:

„ხვალ პირველი მაისია, მე ამაღამ არ მეძინება“.

ამ წინადადების ემოციური ძალა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ავტორისეული ვარიანტისა.

ის, რაც ამ წინადადების შესახებ ვთქვით, და კავშირით შეერთებულ ყველა რთულ თანწყობილ წინადადებაზე როდი ვრცელდება. განვიხილოთ ასეთი წინადადება:

„საღამოვდებოდა და ორკეთზე ღამის ჩრდილი წამოწოლას აპირებდა“ (ლ. ქიჩ.).

ეს თანწყობილი წინადადება შეიძლება ქვეწყობილად გადააკეთოთ;

„რაკი საღამოვდებოდა, ორკეთზე ღამის ჩრდილი წამოწოლას აპირებდა“.

თუ უკავშირო თანწყობლ წინადადებად ვაქცევთ, ანუთ სასტეს
პიილებს:

„საღამოვდებოდა. ორკეთზე ღამის ჩრდილი წამოწოლას აპარებდა“.

შეიძლება ამ თანწყობილ წინადადებაში გადმოცემული აზრი
მარტივი წინადადებებით გამოვხატოთ:

„საღამოვდებოდა. ორკეთზე ღამის ჩრდილი წამოწოლას აპარებდა“.

ახლა ეს წინადადება განვიხილოთ:

„მომღერალი ყმაწვილები წინა ურემს დაუსხდნენ და ქარავანი
უხილოს დაღმართზე დაეშვა“ (კ. ლორთ.).

ამ წინადადებით გამოხატული აზრი შეიძლება სხვადასხვა-
ნაირად გადმოიცეს:

1. „როცა მომღერალი ყმაწვილება წინა ურემს დაუსხდნენ, ქარავანი უხი-
ლოს დაღმართზე დაეშვა“ (რთული ქვეწყობილი წინადადება);

2. „რაკი (ვინიდან, რადვან) მომღერალი ყმაწვილები წინა ურემს დაუსხ-
დნენ, ქარავანი უხილოს დაღმართზე დაეშვა“ (რთული ქვეწყობილი წინადადება);

3. „მომღერალი ყმაწვილები წინა ურემს რომ დაუსხდნენ, ქარავანი უხილოს
დაღმართზე დაეშვა“ (რთული ქვეწყობილი წინადადება);

4. „მომღერალი ყმაწვილები წინა ურემს დაუსხდნენ, ხოლო ქარავანი უხი-
ლოს დაღმართზე დაეშვა“ (მაპირისპირებულკავშირიანი რთული თანწყობილი
წინადადება);

5. „მომღერალი ყმაწვილები წინა ურემს დაუსხდნენ, ქარავანი კი უხილოს
დაღმართზე დაეშვა“ (მაპირისპირებულკავშირიანი რთული თანწყობილი წინა-
დადება);

6. „მომღერალი ყმაწვილები წინა ურემს დაუსხდნენ, ქარავანი უხილოს
დაღმართზე დაეშვა“ (უკავშირო რთული თანწყობილი წინადადება);

7. „მომღერალი ყმაწვილების წინა ურემზე დასხდომიანს ქარავანი უხილოს
დაღმართზე დაეშვა“ (მარტივი გავრცობილი წინადადება);

8. „მომღერალი ყმაწვილების ურემზე დასხდომისთანავე ქარავანი უხილოს
დაღმართზე დაეშვა“ (მარტივი გავრცობილი წინადადება) და სხვ.

როგორც ვხედავთ, წინადადება „მომღერალი ყმაწვილები წინა
ურემს დაუსხდნენ და ქარავანი უხილოს დაღმართზე დაეშვა“ შეიძ-
ლება კიდევ 9 ვარიანტით იქნეს წარმოდგენილი. თითოეული მათგანი
გარდა სტრუქტურული სხვაობისა ერთმანეთისაგან შინაარსის სხვა-
დასხვა ნიუანსების გადმოცემითაც ხასიათდება. და კავშირიანი ვა-
რიანტი იმაზე მიუთითებს, რომ ყმაწვილები ურემზე დასხდომა
წინ უსწრებდა ქარავანის დაშვებას უხილოზე. მთავი პირველი და
მესამე ვარიანტები (რთული წინადადებები) აგრეთვე დროში თანა-
მიმდევრობას გამოხატავენ: მეორე ვარიანტით ყმაწვილების ურემზე

დაახლომა ქარაენის უხილოზე დაშვების მიზნად არის მიპნეული. მუოთზე და მესუთე წინადადებებ. რომლებშიც მაპრო-სპ-რებელი კავშირები გვაქვს. იმაზე მიუთითებენ, რომ პირველი და მეორე წინადადებით გამოხატულ აზრებს შორის რაიმე კავშირი არ არის, თუკი ზმნებით აღნიშნული მოქმედებები (დაახლომა და დაშვება) ერთდროულად ხდება. მეექვსე წინადადება (უკავშირო) აგრეთვე არ წარმოგვიდგენს პირველი და მეორე წინადადებებით გამოხატულ აზრთა ურთიერთკავშირს, ამავე დროს თხრობა ნაკლებ დინამიკურია. მეშვიდე და მერვე ვარიანტები (მარტივი გავრცობილი წინადადებები) მკაფიოდ მიუთითებენ იმაზე, რომ ყმაწვილებია ურუნზე დაახლომა და ქარაენის უხილოზე დაშვება ერთაა და იმავე მომენტში მოხდა. მერვე ვარიანტი ამ აზრს თანავე-ს დართვით საგანგებოდ უსვამს ხაზს. მეცხრე ვარიანტი „შემდეგ“ პიტყვით ნათლად წარმოგვიდგენს, რომ ყმაწვილების ურემზე დაახლომა წინ უსწრება და ქარაენის უხილოზე დაშვებას.

ამ ნარ-ნაირი ვარიანტებიდან იწერალმა ის აირჩია, რომელიც, იმა აზრით, ამ კონკრეტულ სიტუაციაში ყველაზე უკეთ გამოხატავს სათქმელს.

მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებებში მ ა გ რ ა მ, ხ ო ლ ო, კ ი კავშირები ერთი წინადადებით გამოთქმულ აზრს უპირისპირებენ მეორე წინადადებით გამოთქმულს. მაგალითები:

„ორთავე ერთგან მოკლული ყველაი ასკერ ოცია, მაგრა აეთანდილს ოცითა ჯფროსი დაუბოცია“ (ავ. ტ.“). „თხისათვის პატრონს თოკი შეება კისერზე, ხოლო თიკანი დედას უთოკოდაც მოუშორებლად მისდედა“ (ლ. ქიარ.): „ჩვენ უბლანდულნი ვართ, ისინი კი — გვირისტით შეკერილნი“ (ილია) და სხვ.

ზოგჯერ რთულ თანწყობილ წინადადებაში ერთდროულად ორი მაპირისპირებელი კავშირი — „ხოლო“ და „კი“ გვხვდება, რაც სწორი არ არის, ერთ-ერთა მათგანი ზედმეტია, მაგალითი:

„ნაია ხურჩინში ხომ არ ჩაიხედავდა, ხოლო თიკანი კი გეაღის ფარულ მინანს ახლა ვერ გასცემდა“: „მტრედებო გავკრით მადიოდნენ, ხოლო მწყურო კი მილე დაილა და ბლაბებში ჩაეშვა.“

ამ წინადადებებში ერთ-ერთა მაპირისპირებელი კავშირი (ხოლო ან კი) საჭირო არ არის, რადგან ორივე კავშირის გამოყენება პლეონაზმს ქმნის.

სააალებრო მეტყველებაში ძალიან ხშირად იყენებენ მარტვე წინადადებებს, აგრეთვე რთულ თანწყობილ წინადადებებს. უკავში-

რო რთულ თანწყობილ წინადადებებში კავშირის სპეციალური
ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებების უქონლობას ანაზღაურებს
ინტონაცია, შესტ-მიმიკა და ის კონკრეტული სასაუბრო სიტუაცია,
რომლის გარემოცვაშიც ასეთ წინადადებებს იყენებენ.

უკავშირო რთული თანწყობილი წინადადებები, რომლებიც
აზრობრივად ახლოს დგანან რთულ ქვეწყობილ წინადადებებთან.
ხშირად გვხვდება ხალხურ ზეპირაიტყვიერებაში, ზღაპრებში, კერ-
ძოდ, ანდაზებში; მაგალითები:

ავურს რეცხდნენ, უარესი წვენი გასდიოდა.
ათასი გიგი გარბოდა, ყველას თავისი ერჩინავო.
აღია წავიდა, მუსია მოვიდაო.
ამინდმა ცხვარი დააძლო, შწყეშმა დაიკეხაო.
არა სცმია მამაშენსა, ნურც შენ დასცვეთ მარმაშებსა.
ასი ურტყი დავითასა, მაინც იტყვის თავისასა.
ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასა.
ბავშვი არ დაბადებულყო, აბრამს არქმევდნეო.
ბატკანი ერთი ბლაოდა, ძუძუ ყველას შიოდაო.
ზეცას წერო მიფრინავდა, ძირსა თლიდნენ შამფურებსა
და სხვ.

უკავშირო თანწყობილ წინადადებებში შემავალი მარტივი (ან
შერწყმული) წინადადებები ერთმანეთისაგან მძიმეებით გამოიყოფა.

კავშირიანი თანწყობილი წინადადებისაგან განსხვავებით
უკავშირო თანწყობილი წინადადებები გამოთქმულ აზრს მკვეთრად
დასრულულ იერს არ აძლევენ, მკითხველი თითქოს კიდევ მოელია
რალაცას. ასეთი წინადადებებით აგებული თხრობა უფრო დინჯია
და მღოვრედაც მიედინება.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 1. თანწყობილი წინადადებისაგან შიიღეთ მარტივი წინა-
დადებები.

ბოლოს ორი თათარი გამოიყვანეს და იმათ უკან მისდევდა ბორკილას
ხზარახურით ერთი ტანში მოკაქული ტუსალი.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 2. დახაბლებული წინადადებისაგან შეადგინეთ თან-
წყობილი წინადადება.

ისა კედებოდა. მე გაბორბებული გულმოწყეტილი დავყურებდი მომაკვ-
დავ:ა.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 3. გამოიყენეთ მაპირისპირებელი კავშირი მ ა გ რ ა მ,
გათენდა მეორე დილა და იმედმა არსაიდან მოგვიტანა ნუგეში.

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 4. მაჯგუფებელი კავშირი და შეცვალეთ რომელიმე მა-
ქვემდებარებელი კავშირით და დაუკვირდით წინადადებით გამოხატულ აზრს.

წამი არ დასცალეზა და ხუთი თუ ექვსი ცხენოსანი ზედ წამოგაწყდა.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 5. გამოყენეთ კავშირი.

- ა) მზე იყო იმისი წმინდა სანთელი, დღის ნამის ორთქლი -- სანთელი.
- ბ) უმცროსს წარბი გაუხსნა. მოღრუბლულს სახეზეც რაღაც სიამოვნებას ფერმა გადაჰყარა.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 6. მაპირისპირებელი კავშირი კი შეცვალეთ ხოლო კავშირით.

პირველი წელიწადი მშვიდობით დავყავ. მეორე წელიწადს კი ქახეთმა დამცალა და ციფბ-ცხელება შეწყვიტა.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 7. წინადადებები გამართეთ სტილისტურად.

- ა) დაეთოს ნათქვამი ლუარსაბს გაუხარდა, ხოლო ელიაბედი კი ვანაწყუნებულ-დარჩა.
- ბ) ლუარსაბი ჯერ კიდევ ტახტზე გორავდა, ხოლო დარეჯანი კი ბუქვს აწიოვებდა.
- გ) მზემ უხვად მოაფრქვია ტყეს თავისი სხეულები, ხოლო ხეები კი ჯერ ევრ გამოფხიზლდნენ.

**რთული ქვეწყობილი წინადადების სტილური
ფუნქცია**

**რთულ ქვეწყობილ წინადადებათა კავშირიანი და უკავშირო
შეერთება, მათი ურთიერთმიმართება**

რთული ქვეწყობილი წინადადება მრავალფეროვანია. მთავარი და დამოკიდებული წინადადებების აზრობრივი მიმართებაე ნაირგვარი: დამოკიდებული წინადადება ზოგჯერ ასრულებს რომელიმე წევრის ფუნქციას, ხანის და განმარტავს მთავარ წინადადებაში მისათითებელი სიტყვის მნიშვნელობას, ზოგჯერ კი დამოკიდებულ წინადადება მთავარს მიემართება ისე, რომ არ ასრულებს ამა თუ იმ წევრის ფუნქციას და არც მთავარის რომელიმე სიტყვის მნიშვნელობას განმარტავს.

მთავარი და დამოკიდებული წინადადების შესაერთებლად გამოყენებულა კავშირები, საკავშირებელი სიტყვები და ინტონაცია. უკავშირო და კავშირიანი რთული ქვეწყობილი წინადადებები ერთმანეთს ენაცვლენ და მათ შორის სტილური სხვაობაცაა, მაგრამ გვაქვს შემთხვევა, როცა უკავშირო რთულ ქვეწყობილ წინადადებას კავშირიანით ვერ შევცვლით:

„ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა, ამოჯენ სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გააოგნებული და დაპლავებული?“ (ილია).

„საოცარი სანახავი იყო: კუდილი ირეკდა მეომრებს, ტოტსა სცემლა. ბრველებით ჰგლეჯდა და კბილებით წიწწინდა“ (აკაკი).

„უარეშები გარბი-გამორბოდნენ აქეთ-იქით: მხარეულებმა ნებიერა წამოაქციეს, ხაბაზებმა თორნე ჩაუკიდეს: ვამდელები დატრიალდნენ და შეიქნა ერთი ალიაქოთი“ (აკაკი).

რთულ ქვეწყობილ წინადადებებში უმეტესად ხერხდება „რომ“.
„თუ“ კავშირების აღდგენა.

„იციოდე, დღეს მძლეთა-მძლეთა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილებ. შენახვა, პატრონობა, გაროზგვა საკიროუბანამებრ და არა ვაუშამლარ სურვილსა-სამებრ“ (ილია).

„არ ვიცი, სხვა რას იტყვის და მე კი ეგ წყველა მგონია და არა ღალოცვა“ (ილია).

პირველ წინადადებაში „რომ“ კავშირი იგულისხმება, ხოლო მეორეში — „თუ“.

„რომ“ კავშირი

ა) „რომ“ კავშირის გამოტოვება უმჯობესია მაშინ, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენლად კავშირებითის ფორმად გამოყენებული, მაგ.:

— შესაძლოა, ხორცი და ბერდეს. და აქ ძღუ რდეს, სული და გული კი ისევ ჰყვოდეს“ (ილია).

ბ) როცა მთავარი წინადადების შემასმენელს ახლავს დადასტურებითი „ხომ“ ან უარყოფითი ნაწილაკები „არა“, „ვერ“, „რომ“ კავშირის გამოტოვება სასურველია, მაგ.:

„ხომ გაიგონე, მტურავებმა ვერ შებედეს შეცურვაო“ (აკაკი). „არ ვითხარბი წუ წახელ მეთქი!“ (აკაკი).

„თუ“ კავშირი

ა) „თუ“ კავშირის ჩნარება სტილისტურად უმჯობესია და საკიროც პირობით დამოკიდებულ წინადადებაში, მაგ.:

„ეს დასავლეთ-აღმოსავლეთთა ვნა და ხილი, ეს ხმელთაშუა კარები, ეს პატარა ქვეყანა თუ ხელში არ ჩავიგდე, რა იქნება უამისოდ ჩემი ღირსი საქეფო?“ (აკაკი).

ბ) „თუ“-ს ხმარება არ არის საჭირო. როცა დამოკიდებულა წინადადება შენიცავს კითხვით სიტყვას; მაგ.:

„მათემ აღარ იცოდა, როგორ მაღლი გადაეხაჯა წერეთლასთვის ეს პოეტიკალი ეპიკა და მამულ უპომა ზემოქართლში“ (აკაკი).

ჯ) თუკა ზოგჯერ კითხვითი სიტყვის წინ გვხვდება კავშირი „თუ“:

„აქ კაცობისა და მტარვალობის ნაჩვენს მოკუნება აღარ ჰქონდა და სულ იმაზე მტკბობდა, თუ როგორ დაკობრუნო ძველი დრო და დიდება“ (აკაკი).

კ) ვხვდება „რომ“ და „თუ“ კავშირების ერთად ხმარების შემთხვევები, რაც მიუღებელია, მაგ.:

„...დასაც შეურყეველი იქნებოდა მათი სამეფო; თუ რომ ღმერთი ჰრ-სტყავდ მოკლენ ლე. ეცნოთ იე ლეთისაჲ და არ განდგომოდნენ! (აკაკი).

ჟ) კავშირი „თუ“ ზედმეტია.



კავშირული, კავშირებელი სიტყვები ენაცვლებიან რა ერთმანეთს. მსგავს მნიშვნელობას გამოხატავენ, მაგ., დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების საკავშირებლად გამოყენებული — როცა, როდესაც, რომ, რაწამს, რაკი, როგორც კი — მაგალითი მნიშვნელობის მატარებელნი არიან:

„სახლში რომ შესულიყავით, ყველაზე უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე“.

„როცა სახლში შეხვიდოდით, ყველაზე უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე“.

„რაწამს სახლში შეხვიდოდით, ყველაზე უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე“ — და ა. შ.

ეს წინადადებები ერთმანეთისაგან სტილურად განაზვავდება. ჩანოთვლილი კავშირების მონაცვლეობა ყოველთვის არ ხერხდება. შესაძარებლად ავიღოთ ასეთი წინადადებები:

„ონისემ რაწამს ხელის მიკარება იგრძნო, როგორაც შეერთა“ (ყაზბეგი).

„რაწამს ქალმა თვალი მოკრა, სიხარულით მისკენ გაეჭანა“ (ყაზბეგი).

„მთების წამს მოახვედრა მზემ თავისი სხივი თუ არა, მთამ ორთქლი აუშვა“ (ილია).

„სთქვა ეს თუ არა, გადაბრუნდა კედლისაკენ“ (ყაზბეგი).

ამ მაგალითებში გამოყენებულია სინონიმური საკავშირებლები „თუ არა“ და „რაწამს“. ნათი შეცვლა მაგვარი მნიშვნელობის სიტყვით („როცა“) არასასურველია, რადგან წინადადებას აკლდება სიზუსტე. „თუ არა“ და „რაწამს“ უფრო მეტად დროის სისწრაფეს, მოქმედების მომენტურობას გამოხატავენ. რომ ეს ასეა, ამას ნათლად გვიჩვენებს ისეთი წინადადებები, რომელთა მთავარ წინადადებაში მისათითებლად გამოყენებულია „მაშინვე“.

„რაწამს კაცმა მომავალს ჭარს თვალი შეპკრა, მაშინვე თოფი პაერში გაისროლა“ (ყაზბეგი).

„მზემ გამოანათა თუ არა, მაშინვე აღმოსავლეთისაკენ ცას მშვენიერად იფარა რკალი გადაეკრა“ (ზ. გოგებაშვილი).



რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შემავალი წინადადებები — მთავარი, დამოკიდებული — ერთმანეთს აზრობრივად უკავშირდებიან. დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს წინადადების თავში, შუაში და ბოლოში, როცა მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებებს ადგილებს შევუცვლით, მათ შორის სხვაობა იჩენს თავს აზრობრივი მიმართების თვალსაზრისით, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება, ადგილის შეცვლამ სხვაობა არ გამოიწვიოს. უნდა მივაქციოთ ყურადღება დამოკიდებული წინადადების ტიპს, მის სინტაქსურ ფუნქციას და მთავართან შეერთების საშუალებას.

როცა დამოკიდებულ წინადადებას იწყებს კავშირები „იმითომ რომ“, „რომელიც“.... მაშინ დამოკიდებულ წინადადებას მთავარის წინ ვერ დავსვამთ:

1. „უკანასკნელი მისი სიტყვა პლატონს აღარ გაუგონია და პასუხი არ მიუცია მასზე, იმითომ რომ ეზოში შემოჭირითდა თავისი ლამაზი. წაბლისფერი ცხენით კირილე და ერთი ყიფინით მიჰმართა ცოლის ძმას“ (კლდ.).

2. „მალე ჩაუარა სოფლის სამმართველოს, რომელიც სოფლის ცოტა ჯამოკებით იღვანა“ (ლ. ქიჩაძე).

აქ მთავარს მოსდევს დამოკიდებული წინადადებები, რომელთა ადგილის შეცვლა შეუძლებელია.

საინტერესოა აზრობრივი მიმართება ისეთი წინადადებებისა, როცა ერთ მთავართან დაკავშირებულია ორი დამოკიდებული.

„როცა მდინარე ბროლიისაკენ გადაუხვია, რომლის გაღმა ანტონია ბუკაძის სახლი ეგულენოდა, მდინარის მხელიდან ერთად ხალხის ლეღვის ხმააც მოჰკრა ყური“. აქ მთავარი წინადადება ბოლოსაა

მოქცეული: „მდინარის შუღლთან ერთად ხალხის ღელვის ხმასაც მოჰყრა ყური“. მთავარინადმი უშუალოდ დაქვემდებარებული წინადადებაა პირველი: „როცა მდინარე ბროლიასაკენ გადაუქცია“. ამიტომაც ეს დამოკიდებული და მთავარი წინადადება უფრო ასლოა ერთმანეთთან აზრობრივად: „როცა მდინარე ბროლიასაკენ გადაუქცია, მდინარის შუღლთან ერთად ხალხის ღელვის ხმასაც მოჰყრა ყური“. მათ შორის მოქცეული წინადადება განსაზღვრებითია და დამოკიდებულის დამოკიდებული. საკმარისია, მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას ადგილი შეეუნაცვლოთ და მთავარი და პირველხარისხოვანი დამოკიდებული წინადადებას აზრობრივი კავშირი მკიდრო აღ აღმოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთის გვერდით მოთავსდება:

„მდინარის შუღლთან ერთად ხალხის ღელვის ხმასაც მოჰყრა ყური, როცა მდინარე ბროლიას გადაუქცია, რომლის გაღმა ანტონია ზუკაძის სახლი ეგულე-ბოლა“.

ამასთანავე ადგილის გადასაცვლებამ ამ შემთხვევაში წინა პლანზე წამოსწია მთავარი წინადადება, ხოლო, როცა დამოკიდებული წინადადება უსწრებდა მთავარს, აქცენტაც დამოკიდებულზე გადადიოდა. ჩვეულებრივ მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას შორის ისეთი მიმართება უნდა დამყარდეს, რომ დამოკიდებულმა წინადადებამ მთავარი წინადადებით გამოთქმული აზრი არ გათიშოს, არ დაანაწევროს; მაგალითად, ამ წინადადებაში — „გასცდნენ სოფ. კობს, სადაც ყველაზე მეტად ეშინოდათ, მშვიდობიანად და გაუდგნენ გადასავალ მთებს“ (ყაზბეგი).— გათიშულია მთავარი წინადადების აზრი. მთავარი წინადადების აზრის ჩაწვდომა გააძნელა იმანაც, რომ დამოკიდებული წინადადების შემასმენელს უშუალოდ მოსდევს ვითარების ზმნიხედა „მშვიდობიანად“. ამ სიტყვის მახვილი სრულიად მიიჩქმალა. წინადადება სტილისტურად უფრო გამართულ სახეს მიიღებდა, თუ სიტყვა „მშვიდობიანად“ წინ გადაინაცვლებდა: „მშვიდობიანად გასცდნენ სოფ. კობს“...

ქვეწყობილი წინადადების მთავარში მრავალთვებელი სიტყვა მოუპოვება ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებას (გარდა შედეგობითისა). დამოკიდებული წინადადებები ხსნიან და აზუსტებენ ნაცვალსახელებით ან ზმნიხედით გამოხატული წევრების მნიშვნელობას. განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში მრავალთვებელი სიტყვა უძღვის ახანხელ წევრს.

ზოგჯერ მისათითებელი სიტყვის განოტოვება. ისევე საჭიროა წინადადებისათვის, როგორც კავშირისა; მაგალითად:

„ცოდნა იმითა კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსი არ იცის, როგორც საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც თითონ ღმერთი, — ერთნაირად შეივდრება, ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონძეშა გახვეულ გლეხსაც და ბუზშენტებით მორთულ თაყდასაცა“ (ილია)

ისე სიტყვის (მისათითებლის) გამოუყენებლობა აიხსნება იმიო, რომ წინადადებაში რამდენჯერმე არის განმეორებული ვითარება; ზმნიზედა „ერთნაირად“, რომელიც ფუნქციით „ისე“ ზმნიზედის ტოლფასია.

მისათითებელი სიტყვები ხაზს უსვამს. ამკვეთრებს, აძლიერებს სათქმელს. რომელიც დამოკიდებული წინადადებით უნდა აიხსნას და დაზუსტდეს:

„იმან სიფრთხილით წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი და იქამდის მიუახლოვდა იმ ადგილს, რომ აშკარად გაარჩია რამდენიმე ჩეჩნელი“ (ყაზბეგი).

„პირველად შეკრა თვალი იმ ქალს, რომელმაც სწრაფად აუღულა სისხლი ძარღვებში“ (ყაზბეგი).

აქ ხაზი ესმის სიტყვებს „ადგილს“, „ქალს“. რასაკვირველია. მისათითებელი სიტყვების გარეშეც ქვეწყობილი წინადადებას აზრი უცვლელი რჩება. ოღონდ სტილური განახვავება მიიწე არის.

მისათითებელი სიტყვა განაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში აუცილებლად უნდა ვიხმაროთ მაშინ, თუ დამოკიდებული წინადადება აკავშირებელი სიტყვა უწუალოდ არ მოსდევს იმ წევრს, რომელსაც იგი ხსნის, მაგ.:

„ისეთ საქმეს შეეკიდა სანდრო, რომლის გაეთებასაც ვერ შეძლებდა“.

მისათითებელი სიტყვა („ისეთ“) აქ საჭიროა იმისათვის. რომ აზრი ნათელი იყოს.



ერთი და იმავე აზრის გადმოცემა შეიძლება როგორც მარტივი. ასევე რთული წინადადებით, მაგრამ მარტივი და რთული წინადადება სტილურად ერთნაირი ღირებულების არ არის. ამ თუ იმ შემთხვევაში ერთ-ერთს უნდა მიენიჭოს უპირატესობა. რთულ

წინადადებაში გადმოცემული აზრი შეიქლება უფრო დაზუსტებული, დაკონკრეტებული აღმოჩნდეს მარტივთან შედარებით. ამიტომ ხშირად დამოკიდებული წინადადების შენაცვლება მარტივით შეუძლებელია. მარტივით შენაცვლებისას ესპობა აზრის სოულად და ზუსტად გამოხატვის მდიდარი და მრავალფეროვანი საშუალება.

მარტივი წინადადება ენაცვლება დამოკიდებულ წინადადებათა უმრავლესობას: ქვემდებარულს, დამატებითს, განსაზღვრებითს, გარემოებითს (ხუთივე სახისას), დათმობითს, ოღონდ განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველ რთულ წინადადებას ან ენაცვლება მარტივით, თუ 1. წევრ-კავშირი „რომელიც“ სახელობითისა, მოთხრობითისა და მიცემითის გარდა სხვა ბრუნვაშია, 2. როცა დამოკიდებული წინადადების ვნებითი გვარის ზნა აწყოშია და 3. როცა ზნა სათანადო მიმღეობა არა აქვს.

მარტივ ან რთულ წინადადებათა გამოყენებით იქმნება განსვლებული თხრობა, განსხვავებული სტილი.

სტილის გაუფერულების თვალაზრისით უნდა ვერიდოთ იმეო რთულ წინადადებათა შენაცვლებას მარტივით, როცა დამოკიდებული წინადადების შემასმენელს ახლავს „ვერ“; „ველარ“. „ალარ“ და „არა“, „არ“ ნაწილაკები. მაგ.:

„ყმაწვილი ბიკი ჯავრობდა თავის თავზე, რომ აღძრული გრძობა ვერ შევმაგრებინა“ (ყმაწვილი თავის თავზე ჯავრობდა აღძრული გრძობის ვერ შემაგრებას) — (რა თქმა უნდა, არ ვარგა) და სხვ.

ზოგჯერ უპირატესობას რთულ წინადადებას ვანიკებთ ხოლმე. მაგ.:

„გოჩამ შეხედა პირბადეჩამოფარებულ ქალს, რომელსაც წამდაუწუმ აჯანკალვდა“ (ყაზბეგი).

მარტივად იქნება:

„გოჩამ შეხედა წამდაუწუმ აჯანკალვებულ პირბადეჩამოფარებულ ქალს“.

მარტივი და რთული წინადადება სტილურად განახვავდებიან ერთმანეთისაგან. რთულ წინადადებაში ხაზი ესმის ქალის აჯანკალვებს. მარტივად გადაკეთებისას დაიჩრდილა წინა პლანზე წამოწეულ სიტყვა და გვერდით ამოუდგა მსაზღვრელს — პირბადეჩამოფარებულს. მაშასადამე, მსგავს შემთხვევებში უპირატესობა რთულ წინადადებას უნდა მიეცეს.

მაქვემდებარებალი კავშირები წინადადებაში

„რომელიც“ წევრ-კავშირი

„რომელიც“ წევრ-კავშირი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას აერთებს მთავართან. ასეთი რთული ქვეწყობილი წინადადება რომ ენობრივად გამართული იყოს, საჭიროა შემდეგი წესების დაცვა:

1. აზრის ზუსტად გადმოცემისათვის „რომელიც“ წევრ-კავშირი უშუალოდ უნდა მოსდევდეს ასახსნელ სიტყვას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ორაზროვნობა წარმოიშვას. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

ა) „შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გზების განხილვას მიეძღვნა თეორიული კონფერენცია წარმოების ეკონომიკის საკითხებზე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, რომელიც ამ დღეებში მოაწყო პარტიულმა კომიტეტმა“.

ისე გამოდის, რომ პარტიულმა კომიტეტმა მოაწყო საბჭოთა მეურნეობა (მეურნეობაში, რომელიც...); აზრი რომ უფრო მკაფიოდ გამოვთქვათ, ზემომოყვანილი ქვეწყობილი წინადადება ან ორ მარტივ გავრცობილ წინადადებად უნდა გავყოთ, ან ერთ გავრცობილ წინადადებად გადავაკეთოთ, ან კიდევ რთულადვე დავტოვოთ, ოღონდ შევცვალოთ წინადადების წევრთა რიგი. პირველ შემთხვევაში იგი ასეთ სახეს მიიღებს:

„მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა ამ დღეებში მოაწყო თეორიული კონფერენცია წარმოების ეკონომიკის საკითხებზე. იგი მიეძღვნა შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გზების განხილვას“;

მეორე შემთხვევაში — ასეთ სახეს:

„შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გზების განხილვას მიეძღვნა მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მიერ წარმოების ეკონომიკის საკითხებზე ამ დღეებში მოწყობილი თეორიული კონფერენცია“.

მესამე შემთხვევაში კი ასე გადავაკეთებდით:

„მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა ამ დღეებში მოაწყო თეორიული კონფერენცია წარმოების ეკონომიკის საკითხებზე, რომელიც

შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების გზების განხილვას მიეძღვნა.

მართალია, ამ უკანასკნელ წინადადებაში „რომელიც“ უშუალოდ არ მოსდევს სიტყვა „კონფერენცია“ (საკითხებზე, რომელიც...), მაგრამ ეს ორპარაგრაფობა მაინც არ ქმნის, რადგან „საკითხებზე“ მრავლობით რიცხვშია, „რომელიც“ კი — მხოლოდში და, ამგვარად, ეს წევრ-კავშირი არ შეიძლება „საკითხებთან“ დაკავშირებულად მივიჩნიოთ (ასე რომ იყოს, მაშინ „რომელიც“ მრავლობით რიცხვში უნდა იდგეს: საკითხებზე, რომლებიც...). მაშასადამე, ანალოგიურ შემთხვევაში „რომელიც“ წევრ-კავშირი შეიძლება უშუალოდ არ მოსდევდეს ასახსნელ სიტყვას.

ბ) მეორე ჰავალითი:

„რესპუბლიკაში 140-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი გამოდის ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, აფხაზურ ენებზე, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 1250 ათას ეგზემპლარს აღემატება“.

ამ წინადადებაში, ცხადია, ლაპარაკია ჟურნალ-გაზეთების (და არა ენების) ერთჯერად ტირაჟზე. ამიტომ სიტყვები ასე უნდა დალაგდეს:

„რესპუბლიკაში რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, აფხაზურ ენებზე გამოდის 140-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 1250 ათას ეგზემპლარს აღემატება“.

მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდება „რომელიც“ წევრ-კავშირის დასმა უშუალოდ ასახსნელ სიტყვასთან. ასეთ შემთხვევაში მივმართავთ მთავარი წინადადების ასახსნელი სიტყვის განმეორებას „რომელიც“ წევრ-კავშირით დაწყებული დამოკიდებული წინადადების წინ, მაგალითად:

„საბჭოთა მეომრები ფხიზლად დგანან თავისი სამშობლოს საღარაჯოზე, სამშობლოსი, რომელიც ესოდენ ძვირფასია ყოველი მათგანისათვის“.

ამ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება ხსნიან სიტყვა „სამშობლოს“, მაგრამ თუ ამ სიტყვას არ გავიმეორებთ და წინადადებას ასე დავწერთ:

„საბჭოთა მეომრები ფხიზლად დგანან თავისი სამშობლოს საღარაჯოზე, რომელიც ესოდენ ძვირფასია ყოველი მათგანისათვის“.

— მაშინ ესოდენ ძვირფასი გამოვა „საღარაჯო“ და არა „სამშობლო“.

2. ერთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში „რომელიც“ წევრ-კავშირის განმეორება აზრს ამძიმება: ამიტომ ასეთი წინადადება ან მარტივ წინადადებად უნდა დავყოთ, ან ერთ-ერთი განსაზღვრებითა დამოკიდებულა წინადადების შემასმენელი იმავე ზმნისაგან ნაწარმოები მიმღობით შევცვალოთ და ეს მიმღობა განსაზღვრებად დავურთოთ წინმავალი წინადადების ასახსნელ წევრს. ამის შედეგად დამოკიდებულ წინადადებათა რაოდენობა ერთით შემცირდება. გავაანალიზოთ რამდენინე მაგალითი:

ა) „16 დღის განმავლობაში კიადობდა ოლიმპიური ალი მთელი რომის თავზე, რომლის გარშემო შეკრებილი იყვნენ ხუთი კონტინენტის 80 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები, რომლებიც შეჯიბრებაზე გამოდიოდნენ ერთი დევიზით — „მეგობრობა“. ამ წინადადებაში ორი შეცდომაა. ჭერ ერთი, ისე გამოდის, რომ სპორტსმენები შეკრებილი იყვნენ რომის თავის გარშემო (რომის თავზე, რომლის გარშემო შეკრებილი იყვნენ...), მეორეც, ერთი და

იგივე წევრ-კავშირი განმეორებულია (რომელიც, რომლებიც). წინადადებას ასე გავასწორებთ: „მთელი რომის თავზე 16 დღის განმავლობაში კიადობდა ოლიმპიური ალი. მის გარშემო შეკრებილი იყვნენ ხუთი კონტინენტის 80 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები, რომლებიც შეჯიბრებაზე გამოდიოდნენ ერთი დევიზით — „მეგობრობა“. ან ასე: „16 დღის განმავლობაში მთელი რომის თავზე მოკიადე ოლიმპიური ალის გარშემო შეკრებილი იყვნენ ხუთი კონტინენტის 80 ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები, რომლებიც შეჯიბრებაზე გამოდიოდნენ ერთი დევიზით — „მეგობრობა“.

ბ) „სიზმარიც დაკავშირებულია აგზნების კერასთან, რომელიც წარმოიშვა იმ იმპულსთა გავლენით, რომელნიც სხეულის ორგანოებიდან ნახევარსფეროების ქერქში შედიან“.

ეს წინადადება რომ სტილიატურად დაიხვეწოს (მეორე წევრ-კავშირი „რომელნიც“ რომ არ ვინმართ), მეორე განსაზღვრებითი დამოკიდებულა წინადადების შემასმენელი „შედიან“ მიმღობით უნდა შევცვალოთ: და „იმპულსებს“ განსაზღვრებად დავურთოთ:

„სიზმარიც დაკავშირებულია აგზნების კერასთან, რომელიც წარმოიშვა სხეულის ორგანოებიდან ნახევარსფეროების ქერქში შემავალ იმპულსთა გავლენით“.

3. „რომელიც“ წევრ-კავშირიანი განსაზღვრებითი დამოკიდებულა წინადადება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შეიძლება ხსნიდეს მთავარი წინადადების რომელიმე წევრის მართულ განსაზღვრებას. ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულა წინადადება ზოგჯერ მთავარ წინადადებაშია ჩართული და უშუალოდ მოადევს ასახსნელ სიტყვას, მაგალითად:

„აგზნებისა და ორთქლის, რომლებიც სითბოს მუშაობად გარდაქმნის პრო-

ცესში ძირითად მუშა სხეულს წარმოადგენენ, სითბოტევადობის ექსპერიმენტულად განსაზღვრა საკმაო სიზნელებთან არის დაკავშირებული“.

ამ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადებაა: „გაზებისა და ორთქლის სითბოტევადობის ექსპერიმენტულად განსაზღვრა საკმაო სიზნელებთან არის დაკავშირებული“, ხოლო დამოკიდებულია „რომლებიც სითბოს მუშაობად გარდაქმნის პროცესში ძირითად მუშა სხეულს წარმოადგენენ“. დამოკიდებული წინადადება ხსნის განსაზღვრებებს „გაზებისა და ორთქლის“, მაგრამ ეს სიტყვები მთავარი წინადადების სხვა წევრებისაგან ისე დამორბეულია, რომ აზრის გაგება კირს. ანეთ შემთხვევაში დამოკიდებული წინადადება წინ უნდა მოვაქციოთ ის სიტყვათა ჯგუფი, რომელთანაც დამოკიდებული წინადადებათ ასახსნელი სიტყვებია დაკავშირებული, და კორელატ სიტყვას (ან სიტყვებს) დავურთოთ ჩვენებითი ნაცვალსახელი შესაბამისი ფორმით. შემომოყვანილა წინადადება ანის წინდევ ასეთ სახეს მიიღებს:

„იმ გაზებისა და ორთქლის სითბოტევადობის ექსპერიმენტული განსაზღვრა, რომლებიც სითბოს მუშაობად გარდაქმნის პროცესში ძირითად მუშა სხეულს წარმოადგენენ, საკმაო სიზნელებთან არის დაკავშირებული“.

დამოკიდებული წინადადება ისევ მთავარშია მოქცეული, აზრი კი მკაფიოდ არის გამოთქმული.

„რომ“ კავშირი

სტილისტური თვალსაზრისით მიუღებელია ერთ წინადადებაში „რომ“ კავშირის რამდენჯერმე განმეორება. ანეთი შემთხვევები მაშინ გვხვდება, როცა ერთ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში თავს იყრის „რომ“ კავშირიანი ორი ან რამდენიმე დამოკიდებული წინადადება, მაგალითად:

„იგი ხედავდა, რომ ბერძნული სარწმუნოება ჩინებული საშუალება იყო იმისათვის, რომ მოაღრის ძალაუფლება განმტკიცებულყო“.

მთავარ წინადადებას „იგი ხედავდა“ ხანის დამატებითა დამოკიდებული წინადადება „რომ ბერძნული სარწმუნოება ჩინებული საშუალება იყო იმისათვის“, ამ უკანასკელს კი — მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება „რომ მთავრის ძალაუფლება განმტკიცებულყო“. ორივე დამოკიდებული წინადადება „რომ“ კავშირით იწყება, მაგრამ თუ მიზნის გარემოებითა დამოკიდებულ წინადადებას მიზნის გარემოებით შევეცლით, წინადადებაში უფრო

„რომ“ კავშირი დარჩება; ამისათვის საჭიროა მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი გადავაქციოთ საწყისად და დაეურთოთ თვის თანდებული ან ზმნისაგან ვაწარმოოთ მყოფადი დროის მიმღეობა და დავსვათ ვითარებით ბრუნვაში. ამის შემდეგ წინადადება ასეთ სახეს მიიღებს:

„იგი ხედავდა, რომ ბერძნული სარწმუნოება ჩინებული საშუალება იყო მთავრის ძალაუფლების განმტკიცებისათვის.“ (ან განსამტკიცებლად).

წინადადებიდან ამოვარდა საკავშირებელი სიტყვები „იმისათვის, რომ“, მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების ქვემდებარე კი (ძალაუფლება) მიზნის გარემოების მართულ მსაზღვრელად იქცა.

„რომ“ კავშირი ზოგჯერ შეიძლება „რომელიც“ წევრ-კავშირის ნაცვლად იყოს გამოყენებული განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებაში. ასეთი მაგალითები მეტწილად პოეზიაში გვხვდება:

„ეკალში ვარდი შევნიშნე, ობლად რომ ამოსულიყო“ (ა. წერეთელი);
„ძმის მკვლელის სისხლი სწყურია, კაცი რომ მოდის გზაზედა“ (ვაჟა-ფშაველა).

პირველი წინადადება, თუ მასში „რომელიც“ წევრ-კავშირის ჩავუმატებდით, ასეთ სახეს მიიღებდა: „ეკალში ვარდი შევნიშნე, რომელიც ობლად ამოსულიყო“, მეორე წინადადება კი ასეთ სახეს: „ძმის მკვლელის სისხლი სწყურია იმ კაცს, რომელიც გზაზე მოდის“.

ეს წინადადებები მიმღეობათა მოშველიებით შეიძლებოდა მართივ გაერცობილ წინადადებებად გაგვეკეთებინა: „ეკალში შევნიშნე ობლად ამოსული ვარდი“, „გზაზე მომავალ კაცს ძმის მკვლელის სისხლი სწყურია“. თითოეულ ამ წინადადებას მეტ-ნაკლები ემოციური იერი ახლავს.

„რომ“ კავშირიანი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები შეიძლება პროზაულ ტექსტშიც შეგვხვდეს, ოღონდ მათ უფრო მწიგნობრული ელფერი დაჰკრავს, მაგალითი:

„ეს მშვიდი კაცი, სათნო ღიმილი რომ გადაჰკვრია სახეზე და მოსულება თავაზიანად ესალმება, რუსთაველის თეატრის ნამაგარი მეკარეა“ („თეატრალური თბილისი“).

ზეპირ მეტყველებაში ჩვეულებრივ უფრო მოსალოდნელია ასეთ შემთხვევაში „რომ“ კავშირის ნაცვლად „რომელიც“ წევრ-კავშირი შეგვხვდეს.

„რომ“ კავშირი ზოგჯერ მთავარ წინადადებასთან აკავშირებს დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას, მაგალითად:

„მელანომ რომ უღრო-დროს მოსული უცხო თათარი დაინახა, შიშის ქარმა აიტაცა“ (აკაკი წერეთელი).

ამ წინადადებაში „რომ“ გამოყენებულია „როცა“ კავშირის მნიშვნელობით:

„როცა მელანომ უღრო-დროს მოსული თათარი დაინახა, შიშის ქარმა აიტაცა“.

მაგრამ თუ მთავარ წინადადებას „რომ“ კავშირიანი დროის გარეწობებით დამოკიდებული წინადადების გარდა ამავე კავშირიან დამატებით დამოკიდებული წინადადებაც აწლავს, მაშინ თავს იყრას ორი „რომ“, მაგალითად:

„სპეციალისტებმა მთის ფერდობებზე შეფენილი ცხერის ფარა რომ დაათვალიერეს, მწყემსებს აღუთქვეს, რომ რაიონის ცენტრში დაბრუნებისთანავე გამოუგზავნიდნენ ახალ ზოოვეტერინარულ ლიტერატურას“.

ამ შემთხვევაში სასურველია დროის გარემოებით დამოკიდებული წინადადების „რომ“ კავშირი „როცა“ კავშირით შევცვალოთ“.

„სპეციალისტებმა როცა მთის ფერდობზე შეფენილი ცხერის ფარა დაათვალიერეს, მწყემსებს აღუთქვეს, რომ რაიონის ცენტრში დაბრუნებისთანავე გამოუგზავნიდნენ ახალ ვეტერინარულ ლიტერატურას“.

თუ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ ცხერის ფარის დათვალიერება და ლიტერატურის გამოგზავნის პირობის მიცემა ერთდროულად მოხდა, მაშინ „რომ“ ან „როცა“ კავშირს მოვსპობთ და დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში შემავალ წევრებს მთავარი წინადადების წევრებად გადავაკეთებთ:

„მთის ფერდობზე შეფენილი ცხერის ფარის დათვალიერების დროს (ან — დათვალიერებისას) სპეციალისტებმა მწყემსებს აღუთქვეს, რომ რაიონის ცენტრში დაბრუნებისთანავე გამოუგზავნიდნენ ახალ ზოოვეტერინარულ ლიტერატურას“.

საერთო ქვემდებარის ადგილი რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

ხშირად მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას საერთო წევრად ქვემდებარე აქვთ. ხიარა ქვემდებარე შეიძლება შეგვხვდეს როგორც მთავარ წინადადებაში, ისე დამოკიდებულში: სტილისტურად უმჯობესია, რომ ქვემდებარე მთავარ წინადადებაში იყოს და

არა დამოკიდებულში, მაგრამ გვხვდება ამ ნორმიდან გადახრა. უმეტესად როცა მთავარს უსწრებს დამოკიდებული წინადადება და ეს უკანასკნელი დროის გარემოებითია, გვაქვს სტილური უზუსტობა:

1. „ქალმა დაინახა თუ არა უცხო კაცი მოსული, ცახცახით კედელს მიეკრა“ (ყაზბეგი).

2. „დათვი გამოვიდა თუ არა, შესდგა და ბლუილით დაღუნა თავი, მიწას დაკსუნა და ძლიერის ტოტებით თხრა დაუწყო, თითქოს სამარეს უმზადებდა ვისმე“ (ყაზბეგი).

3. „რაწამს მწყემსმა თვალი მოჰკრა მომავალს ქალსა, სახემ გაუღიმა“ (ყაზბეგი).

4. „რაწამს კაცმა მომავალს ჯარს თვალი შეჰკრა, მაშინვე თოფი პაერში გაისროლა“ (ყაზბეგი).

5. „როდესაც გლახამ გული დაიმშვიდა და თავი შეიმავრა, ისევ წყნარად გააგრძელა თავისი საუბარი...“ (ყაზბეგი) და ა. შ.

ზიარი ქვემდებარეებია: „ქალმა“, „დათვი“, „მწყემსმა“, „კაცი-მა“, „გლახამ“.

წინადადებები უმჯობესია ასე შესწორდეს:

„დაინახა თუ არა უცხო კაცი მოსული, ქალი ცახცახით კედელს მიეკრა“.
„გამოვიდა თუ არა, დათვი შედგა და ბლუილით დაღუნა თავი“... და ა. შ.

თუმცა ვერ ვიტყვი, რომ უპირატესობა ყოველთვის ასეთ წყობას მიენიჭოს. შეიძლება ზიარი ქვემდებარე დამოკიდებულ წინადადებაში მოვაქციოთ, როცა მასზე, ქვემდებარეზე, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება გვსურს.

*
* * *

უკავშირო შეერთება გვაქვს როგორც რთულ თანწყობილ, ისე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში. თანწყობილ წინადადებაში უკავშირო შეერთება სიტყვის ეკონომიის საშუალებად არის გამოყენებული, მაგალითად:

„სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას — ტირილი დისაო,
ტყესა — ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს — ყმული მგლისაო,
ვაჟკაცსა — ომში სიკვდილი,
ხელში — ნატეხი ხმლისაო,
ომს — ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო“ (ვაჟა).

„გლახი ბლახს ეკონება, ხე—ხეს, ყვაილი—ყვაილს, მწერი—მწერს“ (ვაჟა);

ქვეწყობილ წინადადებაში „რომ“ კავშირი გამოტოვებულა. დამოკიდებული წინადადება მთავარისაგან მძიმით არის გამოყოფილი:

-ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი ეოდომ საბუღრაღ გაიხადოს! ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას... (ილია).

უკავშირო თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებანი აზრობრივად იაე ახლო ღგანან ერთმანეთთან, რომ შეიძლება ერთსა და იმავე წინადადებაში თანწყობილის შემაერთებელი კავშირი ვიხმაროთ და წინადადებაც თანწყობილად მოგვევლინოს ან კიდევ: ქვეწყობილი წინადადების საკავშირებელი გამოვიყენოთ და წინადადებაც ქვეწყობილის შინაარსის შემცველად გავიაზროთ, მაგ.:

„ვაეკაცობა უნდოდა, ვაეკაცი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ქედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით“ (ილია).

და კავშირის გამოყენებით წინადადება აეთ სახეს მიიღებდა:

„ვაეკაცობა უნდოდა და ვაეკაცი ვიყავით. ხმალი უნდოდა და ხმლის ქედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა და ომის საქმენი ვიცოდით“. განმეორებულმა წევრებმა (ვაეკაცობა --- ვაეკაცი, ხმალი—ხმლის, ომის საქმეთა — ომის საქმენი) მოგვცა და-ს ჩასმის საშუალება.

მაქვემდგარებელი კავშირის „როცა“-ს გამოყენება წინადადებას სხვა ელფერს მისცემდა: „როცა ვაეკაცობა იყო საჭირო, ვაეკაცი ვიყავით. როცა ხმალი იყო საჭირო, ხმლის ქედვა ვიცოდით. როცა ომის საქმეთა ცოდნა იყო საჭირო, ომის საქმენი ვიცოდით“.

რთულ ქვეწყობილ წინადადებებში სხვადასხვა ხასიათის შეცლომენი გეხვდება:

1. აზრს აბუნდოვნებს საკავშირებლის უადგილოდ, არასაჭიროებისამებრ ხმარება:

„ამ ნაწარმოებში ასახულია, თუ როგორ იბრძოდა სხვადასხვა ეროვნება-ს ხალხი, რაც გამოწვეული იყო სოციალური უსამართლობისა და ცარიხმის კოლონიური მოქმედების გამო“.

„მცხეთაში მას ხვდება თავისი მტერი კუპატნელი და მისი ამხანაგი გამხათი, სადაც არსენას კლავენ“ და სხვ.

2. განსაზღვრებითსა და ადგილის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში კარბობს „რომ“ კავშირი:

„ხელმწიფეს რომ ჰყავდა დაბარებული, ის კაცი მოვიდა.

„ტარიელი რომ ეგდო, იქ ხალხი მოგროვდა“.

4.

უმჯობესია:

„მოვიდა ის კაცი, რომელიც ხელმწიფეს ჰყავდა დაბარებულია“.
„ხალხი მოგროვდა იქ, სადაც ტარიელი ეგდო“.

რა თქმა უნდა, „რომ“ კავშირის ხმარებას არ უნდა გავურბოდეთ, მაგრამ იგი არაა ერთადერთი კავშირი დასახელებული ტიპის წინადადებებში.

3. ქვემდებარულსა და დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში სისტემატურადაა გამოყენებული წევრ-კავშირი „რომელიც“.

„რომელიც წინ წავიდა, ცოცხალი არ დაბრუნებულა“,
„რომელმაც ხმა ამოიღო, დახოცა“.
„რომელსაც ეჩქარება, გამოუშვით“.
„რომელმაც ეს ამბავი მოიტანა, დაასაჩუქრეთ“.
„რომელიც მოგეწონოს, წაიღე“.

მოყვანილი მაგალითები ქვემდებარული და დამატებითი დამოკიდებული წინადადებების გაგებას შეიცავენ და ამდენად აქ ბუნებრივია „ვინც“ ან „რაც“ წევრ-კავშირის გამოყენება:

„ვინც წინ წავიდა, ცოცხალი არ დაბრუნებულა“.
„ვინც ხმა ამოიღო, დახოცა“.
„ვინც ეს ამბავი მოიტანა, დაასაჩუქრეთ“.
„რაც მოგეწონოს, წაიღე“.

4. „როგორც“ საკავშირებელი უზარებულადაა ნახმარი.

„მომეტით ცნობა, როგორც ვცხოვრობ ამ სოფელში“.
„გამათავისუფლეს, როგორც მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ“.
„პირველად ვანო გამოუშვეს, როგორც პენსიონერი იყო“.

უნდა იყოს:

„მომეტით ცნობა, რომ ვცხოვრობ ამ სოფელში“.
„გამათავისუფლეს, რადგანაც მეორე ჯგუფის ინვალიდი ვარ“.
„პირველად ვანო გამოუშვეს, რადგანაც პენსიონერი იყო“.

5. ზედმეტი სიტყვებით წინადადება დამძიმებულია:

„შინ რომ დაბრუნდა, როგორც ეს ჩვეულებად ჰქონდა, კაბინეტში შევიდა, სვარძელში ჩაჯდა და გადაშალა წიგნში ქალაღების საჭრელი დანით ჩანიშნული ადგილი პაპიზმის შესახებ და, როგორც საერთოდ სჩვეოდა ხოლმე, პირველ საათამდე წიგნი იკითხა“.

6. რთულ წინადადებაში ნახმარი ფრაზა შესაცვლელია სხვა სიტყვებით ან სიტყვით, მაგ.:

„მორე მხრივ, თავადიცი საესებით მართალ იყო, ლებედევს რომ არწმუნებდა — სათქმელი არაფერი მაქვს და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა ჩემს თავსო, მაგრამ იქნებ ისიც სცდებოდა“ (თარგმ.).

ფრაზა „განსაკუთრებული არაფერი მომხდარა ჩემს თავსო“ — სიტყვასიტყვითი თარგმანია, უნდა იყოს: „განსაკუთრებული არაფერი შემმთხვევიაო“.

7. შეუსაბამო გამოთქმების ხმარება, ერთი და იმავე სიტყვას განმეორება წინადადებას გამომსახველობის ძალას უკარგავს, მაგალითად: „ო. გიორგობიანის წინადადებით წარმოებამ დინერგა ორი რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგად წარმოებამ დიდი ეკონომია ნახა“. გაუმართავია სტილისტურად: „წინადადებით დინერგა წინადადება“. სტილისტურად საჩოთირო გამოთქმაა: „წარმოებამ დიდი ეკონომია ნახა“. იტყვიან კი „ზარალი ნახაო“.

ს ა მ ა რ ჯ ი შ მ 1. გამოიყენეთ სიტყვა „მარალ“ და გამართეთ წინადადება.

წითელი ატლასის მსგავს სახეზე დასთამაშებლა მხურვალბას ელფერი, რომელიც თავის დღეში არ გადადიოდა.

ს ა მ ა რ ჯ ი შ მ 2. რთულ წინადადებას შეუნაცვლეთ მარტოვი.

რომანის მთავარი გმირია გოჩა, რომელიც სამართლანი ხალხისა და სამშობლოს მოყვარულია.

ს ა მ ა რ ჯ ი შ მ 3. ჩამოთვლილ წინადადებებში რაღარა კავშირების გამოყენება სჭობს.

ალ. ყაზბეგის მოთხრობაა „ხევისბერი გოჩა“, სადაც ასახულია მოხვევების თავდადება სამშობლოსათვის.

ლევანის მეგობარი ბეჟანა ყველაზე მეტს მუშაობდა, იმიტომ რომ დასუსტებული ტარიელისათვის შრომა შეემსუბუქებინა.

ს ა მ ა რ ჯ ი შ მ 4. „რომ“ კავშირი არ გაიმეორეთ; „ეტყობოდათ“ შეცვალეთ მსგავსი მნიშვნელობის სიტყვით.

„მათ ეტყობოდათ, რომ სამტროდ არ მიემგზავრებოდნენ, რადგანაც არც სიფრთხილე ეტყობოდათ და არც ისე ბევრნი იყვნენ, რომ ასე გულითადად შესულიყვნენ ხევის სოფლებში“.

ს ა მ ა რ ჯ ი შ მ 5. დაასახელეთ ისეთი რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომლებშიც შედარება ნათლად ჩანს.

ნ ი მ უ შ ი: 1. „ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროს ქარიშხლით ტოტებდამსხვრეული, აქა-იქ კანდაკორქებული, მაგრამ ფესვებმაგარო და ტანძლიერი ძველი მუხა დგას ხოლმე ახლად ავარდნილ მწვანე ნორჩ ტყეში“ (ლ. ქიაჩ.).

2. გამოჩნდა ქალი ლამაზი
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალვა ტანადა,
ვარსკვლავი ციღამ მოცილილი“ (ვაჟა).
3. „წამოდგა ისიც ფეხზედა,
როგორც კლდის ვეფხვი. ძლიერი“ (ვაჟა).

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო 6. ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებები გამართეთ სტილისტურად და დაახაბუთეთ თქვენი ჩასწორების მართებულობა.

1. იუ ყურძენი დასეტყვილა, კლარტის რაოდენობა დიდია, რომელიც გავლენას ახდენს ღვინოზე.

2. დიდმა მწერალმა ამ რომანში აღწერა გლეხთა მოძრაობა არსენა ოსელაშვილის მეთაურობით, რომელიც მიმართული იყო ბატონებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

3. არსენა ვერაგულად დაეცა ხალხის კეთილდღეობასათვის ბრძოლაში, რომელსაც სიკვდილის წინა წუთშიაც მშრომელი გლეხები აგონდებოდა.

4. გიო გაემართა იქეთკენ, საიდანაც მკაფიოდ მოისმოდა მეზობლების სიმღერის ხმა.

5. ანა მიეღა ერთ-ერთ საღამოზე, სადაც ფიქრობდა შეხედებოდა მას, მაგრამ ვრონსკი იქ არ აღმოჩნდა და ანამ უსიამოვნო მწუხარება იგრძნო.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სტილური ფუნქციები

წერასა და მეტყველებაში სხვისი ნათქვამი შეიძლება ან სიტყვა-სიტყვით იყოს გამეორებული, ან რაიმე ცვლილებით. სხვა ნათქვამს, თუ ის უცვლელად არის გამეორებული, პირდაპირ ნათქვამს უწოდებენ, ხოლო თუ მასში რაიმე ცვლილებაა შეტანილი ისე, რომ აზრი არ არის დამახინჯებული, ირბ ნათქვამს.

პირდაპირი ნათქვამის მაგალითები:

„როდესაც ოსებისაგან მოიცალეს, გოჩა ისევ ჩაფიქრდა და წყნარად და დამშვიდებით წარმოთქვა:

— მოიყვანეთ გუგუა!“ (ა. ყაზბ.).

— „ყველა-ყველა და ამაღამ ვახშვად რა ვვაქვს? — ერთ საღამოს ლუარსაბმა თავის მეუღლეს ჰკითხა, როცა ქათმების შესხრომის დრომ მოაღწია. — დარეჯანი! არ გაყურება, დედაკაცო? ამაღამ რა უნდა ვქამოთ?

— რატომ რა უნდა ვქამოთ, გენაცუალოს დარეჯანი! ღვთის წყალობა ბევრა ვვაქვს, — ანუგეშა დარეჯანმა.

— მინც?

— სადილიდან დარჩობილი კაი ციკლ პიონა გვაქვს. კარგი ღორის სუკები, ვარგა...

კიდევ უნდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ღორის სუკების ხსენებაზედ ავტოკებულმა ლუარსაბმა სიტყვა გააწყვეტინა:

— უა, უა, უა! ეგ ღორის სუკები, შენმა მხემ, რაღაც უნდა პიარს. სხვა? მე ამაღა რეგორაც მალაზედ ვარ“ (ილია).

ამ ნაწყევტში ლუარსაბისა და დარეჯანის ნათქვამი უცვლელად არის გადმოცემული ავტორის მიერ. პირდაპირი ნათქვამი ავტორის სიტყვებთანააგან ტირელებით არის გამოყოფილი.

ირობი ნათქვამის იქნებოდა, თუ შემომოყვანილ პირველ წინადადებას ასე გადავკეთებდით:

„როცასაც თქებისაგან მოიკალეს, ვოჩა ისევ ჩაუქრდა და წყნარად დამშვიდებდათ წარმოთქვა, რომ გუგუა მოეყვანათ“.

პირდაპირი ნათქვამი „მოოყვანეთ გუგუა“ ამ მაგალითში შეცვლილია დამოკიდებული წინადადებით „რომ გუგუა მოეყვანათ“.

ირობი ნათქვამისა მაგალითისა ეს წინადადება:

„მე უბასუხე რომ რუსეთში წავილოდი, საქმეს გავიჩენდი რაღაც და ცხოვრებისათვის მოვემზადებოდი“ (ა. ყაზბ.).

თუ ამ ირობ ნათქვამს პირდაპირ ნათქვამად გადავკეთებთ, ასეთ სახეს მიიღებს:

„მე უბასუხე: — რუსეთში წავალ, საქმეს გავიჩენ რაღაც და ცხოვრებისათვის მოვემზადები-მეთქი“.

პირდაპირი ნათქვამით მწერალი თუ მთხრობელი ვილაცი (პერსონაჟის ან რომელიმე ადამიანის) სიტყვებს უცვლელად გადმოგვცემს. პირდაპირი ნათქვამი ხშირად გვხვდება დიალოგებში.

პირდაპირ ნათქვამს შეიძლება ავტორის სიტყვები წინ უძღოდეს ან მოსაუვრდეს, ან კიდევ ავტორის სიტყვები ამ ნათქვამში იყოს ჩართული. ჩვენს პირველ მაგალითში ავტორის სიტყვები წინ უძღვის პირდაპირ ნათქვამს („...წარმოსთქვა“ ავტორის — მწერლის სიტყვაა, „მოოყვანეთ გუგუა“ — გოჩასი); მეორე წინადადებაში (ყველა-ყველა...) ავტორის სიტყვები („ერთ საღამოს ლუარსაბმა...“) პირდაპირ ნათქვამშია ჩართული; მესამე წინადადებაში პირდაპირ ნათქვამს („...რატომ არ უნდა გვამოთ...“) მოსდევს ავტორის სიტყვები.

ავტორისეულ სიტყვებს ანუ, როგორც ზოგჯერ ამბობენ, „ავტორისეულ რემარკას“ პირდაპირი მეტყველების კონსტრუქციის მიხედვით შემთავრები ღუნქცია ენიჭება:

ა) ნეიტრალური ფუნქცია, რომელიც სხვისი მეტყველების ფაქტზე მიუთითებს;

ბ) სტილიატური — როცა ავტორისეული სიტყვები პერსონაჟის მეტყველებას ახასიათებენ" (ბ. კონტრიძე, პერსონაჟის მეტყველებისა და ავტორისეული თხრობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ), „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 2 (13), 1969 წ., გვ. 31).

მართლაც, ავტორისეული სიტყვები ზოგჯერ სრულიად ნეიტრალურია პერსონაჟის მეტყველების მიმართ; ასეთ შემთხვევაში პერსონაჟის მეტყველებას ახლავს სიტყვები: თქვა, უპასუხა, უთხრა, დაუყვირა, ჰკითხა, მიუგო, წარმოთქვა, ანუგეშა, მიმართა, დაიწყო, დასძინა, დაუმატა, დაუდასტურა, კვერი დაუკრა, უბრძანა, სიტყვა გააწყვეტინა და ა. შ.

— „როგორ მოგეწონა სასძლო? — ჰკითხა ცოლმა. ლუარსაბმა ყურები აიციქვითა.“

— მზეთუნახავს რომ იტყვიან, ის არის, — მიუგო ლუარსაბმა, — მე იმისთანა ლამაზი ქალი არ მინახავს“ (ილია).

„— გაათავეთ, ბესარიონ, ქათამძესთან მოლაპარაკება? — იკითხა სიკოიამ.

— რას გაათავებ, ყმაწვილო! მომკლეს, მომკლეს, იმდენს ჰიჭყინებენ თითო-კაპიზე.. — მიუგო ბესარიონმა“ (დ. კლდ.).

— „გთხოვთ დაასახელოთ ანდიდატები! — თქვა თავმჯდომარემ.

— ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი! — წამოიძახა რამდენიმე ხმოსანმა“ (დ. კლდ.).

„— ხალხო! — დაიწყო გოჩამ. — გვიანობისა აღირაა, მტერი კარს მოკვდგო-მია. გამოვიდნენ თემის თავები.. მტერსაც და მოყვარესაც ყველას დახვედრად უნდა.. თემის კაცი! — დაიძახა იმან“ (ა. ყაზბ.).

— „აი, მაგალითად, გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნია? — წამოიძახა ენა-ქართლა ელისაბედმა, — იცით, რა უქნია? — ბიჰს გაუჯავრებია... ზაქარიას ცოლი ხომ აჩხლია?

— მერე რა-რიგი! საშინელი! — დაჰკრა კვერი დარეჯანმა“ (ილია).

— „მამას დაემსგავსება ბატონიშვილი, იმისავეთ ქვეიანი იქნება და სვიანი. აი, დახედე... თვალის კილოში და პირის ნაპობში მთლად მამაა, — მოახსენა გამდელმა.

— შუბლია და საფეთქლების მოყვანილობა კი დედისა აქვს, თითქოს განზრახ არისო მწყაზრად ნაშენი, — დასძინა ძიძამ“ (ვ. ბარნ.).

ამ წინადადებებში არ ჩანს ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟთა მეტყველებისადმი. მწერალი მხოლოდ ფაქტით კონსტატაციით ემყარება: მან მას ის ჰკითხა, იმან ეს უპასუხა და სხვ.

მაგრამ ზოგჯერ ავტორის რემარკაში მკაფიოდ ჩანს მისი დამოკიდებულება პერსონაჟთა მეტყველებისადმი. იგი მოკლედ აწვრცლად ახასიათებს პერსონაჟის ნათქვამს, რითაც აძლიერებს დია-

ლოგის ემოციურ ძალას. პირდაპირი ნათქვამის დახასიათება შეიძლება ნაირ-ნაირი იყოს. ერთ შემთხვევაში ავტორი ავლენს თავის განწყობილებას პერსონაჟისადმი, მეორე შემთხვევაში მიუთითებს იმაზე, თუ რა სიტუაციაში იქნა წარმოთქმული ეს სიტყვები, სხვა შემთხვევაში დამატებით ცნობება იძლევა აღწერილი მოვლენის შესახებ და ა. შ. განუხილოთ რამდენიმე მაგალითი.

— „ახ. ღმერთო! რატომ არ ჩამოგვეხსნებოან. რა უნდათ ჩვენგან, რა?... — მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა.

— ის უნდათ, ჩემო ყველავე, ისა, რომ შენ მეტისმეტად ლამაზი ხარ! — გაბაცებით უთხრა ელგუჯამ და მიიკრა გულზედ. — მაგრამ ღვთის მადლმა, — გააგრძელა იმან, — მთელი ქვეყანა მთლად რომ გაღამეილოს, მაშინაც არავის დაუუთმობ.

მზალმ ამ სიტყვებზე დაღუნა თავი, მთლად აენტო სიხარულის ცეცხლით და, თუმცა ტუჩები მორთოლვარედ უცახცახებდნენ, სიტყვა კი ველარ წარმოეთქვა“ (ა. ყაზბ.)

— „თამრო!... — შევიკვლე მე კანკალით და თრთოლით.

— გაბრიელ!.. — მომამახა მე იმან და მკერდზე ფერმკრთალი დამეცა.

— მამა რა მექნა, მამა? — შემომბლაველა საცოდავად.

— მოშორდა ამ წუთის-სოფელს — ერთი მითხარ, რამ მოგიყვანა აქა?.

— მაგას ნულარ მკითხავ! ნუ, ნუ მკითხავ! — სტიროდა საწყალი, — შენი თამრო დღეი ხანია დამიწვებულია: შენი თამრო მოკვდა.

— მაშ, შენ ვინა ხარ?! — დავიძახე თავზარდაცემულმა.

— ის თამრო აღარა ვარ. მე ესლა ავღაზრის უნამუსო ვარ, ზემობრალე და დამიტირე მე ზღმავი!...

— უნამუსო!...

ვკარ ხელი შეუბრალებლად იმ უბედურსა და მკერდიდამ, როგორც გველა, ისე მოვიშორე. გარეტიანებული გიყსავით გამოვეარდი გარეთ, მოვახტი ცხენსა, დაწყველე იქაურობა და ჩვენის სოფლისაკენ გამოეწიე“ (ილია).

ავტორისეული სიტყვენი ერთგვარ კომენტარებს უყებებენ პერსონაჟის მეტყველებას. აქ ავტორი ნეიტრალური არ არის მოქმედი პირის ნათქვამის მიმართ.

პირდაპირ ნათქვამს დიალოგებში შეიძლება ავტორისეული რემაკები არ ახლდეს, მაგალითი:

„— მე შევნიშნე, რომ როცა იმათ ეშლებოდა, მაშინ აქნევილი თავს. მართალია თუ არა? ნუ გეშინია, მითხარი!

— დიახ, უნებურად!...

— მაგალითად, რა შეეშალათ?

— აქლემი გაფრინდებაო, რომ მოგახსენეს, ეტყობათ, არ უნახავთ აქლემი!

— შენ? სად გინახავს?

— შარშან თათრებმა ჩაატარეს მადანში; ძლივს მოიფხორობოდნენ.

— მერე, რა იცი, რომ ვერ გაფრინდება?

— ღრთები არა აქვს.

-- რასაც ფრთები არა აქვს. ვერ გაფრინდება. მაგალითად. კაცი ვერ გაფრინდება?

— ვერა“ (აკაკი).

დიალოგებით სხარტად გადმოიციემა ის, რის თბრობასაც გაცულებით მეტი ადგილი დასკირდებოდა. ავტორისეული რემარკების უქონლობა ან მსოლოდ აქა-იქ ხართვა დიალოგს მეტ დინამიკურობას ანიჭებს. ავტორისეული რემარკები, გარდა იმისა, რომ უშუალოდ მიუთითებენ სხვისი მეტყველების ფაქტზე და დამატებით ცნონებს იძლევიან იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში, როგორ, ვის მიმართ წარმოითქვა ეს სიტყვები, შეიცავენ მათს შეფასებას, მოქმედი პირის ან პირების დახასიათებას, ავტორის დამოკიდებულებას მათადმი და ა. შ.

ფართო სტილურ შესაძლებლობებს ქმნის თვით იმ სიტყვების წერჩევა, რომლებითაც პირდაპირი ნათქვამი იწყება: უთხრა, უპასუხა, უბრძანა, ჩაიბურტყუნა, ჩაილაპარაკა, ჩაიბუტბუტა, აუწყა, აპცნო, ჰკადრა, დაძინა, დაუმატა და სხვ. ამ ზმნებს მწერალი იყენებს არა მარტო ერთფეროვნების ასაცილიეზ ლად, არამედ თბრობის ემოციურობის გასაძლიერებლადაც. ასეთივე სიტყვა-გამოთქმებია: გაუელვა თავში, გაისმა (მოისმა) ხმა, აღმოხდა, ამოიკენება, შეჰყვირა და სხვ.

პირდაპირი ნათქვამი გვხვდება ანდაზებშიც, რომლებშიც გამოტოვებულია მთქმელის სიტყვები: „თქვა“, „უთხრა“ და სხვ. მაგალითად:

„მელა კვდებოდა და — საქათმეში დამმარხებოდა“. (დას შემდეგ მოსალოდნელი იყო „ამბობდა“ ზმნა); „პატარაძალმა ძროხა ვერ მოწველა და — ბაიკი მრუდულო“ (გამოტოვებულია „თქვა“ ზმნა); „კუმ ფეხი გამოყო, — მეც ნახირ-ნახირაო (გამოტოვებულია „თქვა“ ზმნა); „მკვდარი მკვდარს აეკიდა, — სამარემდის მიზიყვანეო“ (გამოტოვებულია „უთხრა“ ზმნა).

ზოგ ანდაზაში მთქმელის სიტყვები „თქვა“, „უთხრა“ დაცულია; მაგალითები:

„ლორმა თქვა: რაც გოკები დავზარდე, წმინდა წყალი არ დამილევიო“; „აქლემმა თქვა: თორმეტი კოზაკი გავზარდე, მაგრამ ჩემი საპალნე არ მომეშვაო“ და სხვ.

პირდაპირი და ირიბი ნათქვამის ურთიერთმონაცვლეობა შესაძლებლობას იძლევა მწერალმა (მთბრობელმა) ცალკეულ შემთხვევებში ხან ერთი აირჩიოს, ხან მეორე,

ს ა მ ა რ ჯ ი შ ო 1. სტილისტურად გამართეთ ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები:

ა) თინათინი ისეთი ლამაზი იყო, რომ „თინათინ მზეცა სწენობდა, მკრამ მზე თინათინობდა“.

ბ) ყოვლა შემოუძახებს კარზე მოსულ მეზობლებს:

„რას ჩადით? შემოუძახა,
ვის სტუმარს პბოკეთ თოკითა,
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა“.

გ) ამათი გაუძღვა ტარიელს ნესტანის ოთახისაკენ. მან ფარღაგი ასწია, ნესტანი განრისხებული დახვდა:

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპარასა, ვეფხი პირ-გამეხებული“.
ნესტანი ძლიერ გაბრაზებული იყო ტარიელზე.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 2.

ა) გადმოეცით აზრი ისე, რომ პირდაპირ ნათქვამს—ციტატას — მოხდევებს თქვენი სიტყვები.

„მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტესთვის, არამედ სიკუდარად“.

ბ) გადმოეცით აზრი ისე, რომ ციტატას უსწრებდეს თქვენი სიტყვები.

„მე, ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრეთ არა მუმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი“.

გ) პირდაპირი ნათქვამი — ციტატა — მოაქციეთ თქვენი სიტყვების შუაში.
„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 3. დასახელებულ წინადადებებს მოუძებნეთ შესაფერისი პირდაპირი ნათქვამი — მწერლის სიტყვები.

ა) ზრდილი და თავდაპირილი თინათინი ფიცით არწმუნებდა თავის სატრფოს.

ბ) შუშანიკი შენატრის ისეთ სამყაროს, სადაც მამაკაცსა და დედამკაცს შორის უფლებრივი განსხვავება არ იქნება.

გ) ტყვედმყოფი ნესტანი სატრფოს მოუწოდებდა, დაბრუნებულყო სამშობლოში და დაეცვა მტერთაგან.

ს ა ვ ა რ ჯ ი შ ო 4. დაუკვირდით განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებით მდიდარ ტექსტს, ირიბ ნათქვამად გადაკეთებისას რა დააკლდება ნათქმელს?

ა) ზ ა ლ ხ ი, როდემდე უნდა გვატყუებდნენ? როდის გაახელთ თვალებს და როდის შეიგნებთ, რომ თავადები მუდამ გვატყუებენ?
— სტყუი, შე კარამზადე! გააჩუმეთ! დაიკირეთ! შეპბოკეთ! — მოისმა თავადების ყვირილი.

ბ) — ამ ხალხისათვის ვიბრძოდი? ამათ უნდა ამიშენონ გლეხური სიონი? —
პუიქრობდა სულიერად მოდუნებული მარაბდელი. — ეს ხალხი კი არა, ლაფი ყოფილა, ქვიშა, ქაობი. მათ კირი არა ქქონიათ.

არ აშენდების შლამისგან ბირთვის-სამშვილდის ციხენი. ვ ა ი დ ა კ ა რ -
გ უ ლ ო ჭ ა ფ ა ვ ე! ვ ა ი ტ ყ უ ი ლ უ ბ რ ა ლ ო დ დ ა ლ უ ჰ უ ლ ო ძ მ ა დ ნ ა -
ფ ე ც ე ბ ო! ვ ა ი შ ე ნ ც, ბ ე დ ო ვ ლ ა თ ო ო ი ე ლ ა შ ვ ი ლ ო!

განაქრობადი სიტყვებისა და გამოთქმების. სტილური თავისებურება

განაქრობადი განსაზღვრება

განაქრობადი განსაზღვრება, რომელიც თავის მიმყოლი სიტყვებითურთ პაუზით გამოეყოფა თავის საზღვრულს. სალიტერატურო ქართულში გვაქვს როგორც გავრცობილი, ისე გაუვრცობელი განსაზღვრების განაქრობა, მაგრამ უმეტესად გავრცობილი განსაზღვრება განაქრობადია ხოლმე. თუ გაუვრცობელ განსაზღვრებას განაქრობებს მწერალი, ამას აკეთებს იმისათვის, რომ საგნის ნიშან-თვისება უფრო გამოკვეთოს. განაქრობადი განსაზღვრება თავისი ბუნებით უახლოვდება განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებას, მაგრამ განსხვავდება კიდევაც მისგან. წინადადების ლაქონიურობისა თუ შეკუმშულობისათვის ამკობინებენ განაქრობადულ განსაზღვრებას. „განაქრობადი წევრების საერთო ნიშანი განუქრობადი წევრებისაგან განსხვავებით ის არის, რომ მათ მეტი სემანტიკური წონა აქვთ, /გამოყოფენ, /ხაზს უსვამენ დეტალს, რომელსაც იხინი აღნიშნავენ“ (А. Н. Гвоздеа, Очерки по стилистике русского языка, М., 1955, გვ. 357).

განაქრობადი განსაზღვრება წინადადებააგან უფრო დამოუკიდებელია, ვიდრე განუქრობადი, მაგრამ განსხვავდება მისგან ფუნქციით. განაქრობადი განსაზღვრება დამატებით ცნობას გვაწვდის და ამით ნიშან-თვისებას უფრო სრულყოფს, მაგ.:

-ცხვირპირდასისხლიანებული გიორგი, გულისპირჩამოგლეჯილი, რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა“ (ილია).

წინადადებაში ჩვეულებრივ განსაზღვრებად წარმოდგენილია „ცხვირპირდასისხლიანებული“, ხოლო განაქრობადი „გულიწკპირჩამოგლეჯილი“. ამ სიტყვით კიდევ ერთი დამატებითი თვისება გამოიყო გიორგისა, ხაზი გაესვა იმას, რომ გულისპირი ჩამოგლეჯილი ჰქონდა. „გულისპირჩამოგლეჯილი“ მსაზღვრელის წინ რომ გვექონოდა, ჩვეულებრივ პირდაპირი წყობით, მაშინ ამ სიტყვაზე ხაზგაშეკვეთად ნაკლებად გამოჩნდებოდა, შდრ.:

„ცხვირპირდასისხლიანებული, გულისპირჩამოგლეჯილი გიორგი, რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა“.

ეს წინადადება წარმოვადგინოთ სხვადასხვა კონსტრუქციით და შევადაროთ ერთმანეთს.

1. „ცხვირპირდასისხლიანებული გიორგი, გულისპირჩამოგლეჯილი, რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა“ (ილია).

2. „ცხვირპირდასისხლიანებული, გულისპირჩამოგლეჯილი გიორგი რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა“.

3. „ცხვირპირდასისხლიანებული და გულისპირჩამოგლეჯილი გიორგი! სახლში მისვლისას დედას ელდა ეცა“.

4. „გიორგი, რომელიც ცხვირპირდასისხლიანებული და გულისპირჩამოგლეჯილი იყო, სახლში მივიდა და დედას ელდა ეცა“.

ბოლო ორი წინადადება ხელოვნურად შეკოწიწებულია იერს ატარებს, ყველაზე ბუნებრივად კი პირველი წინადადება გვეჩვენება. აზრობრივად ერთნაირი არიან, მაგრამ კონსტრუქციათა მონაცვლეობამ მათი ფუნქციური სხვაობაც თვალნათლივ დაგვანახა. (როცა ერთი სიტყვაა წარმოდგენილი განკერძოებულად, მაშინ ლოგიკური მახვილი ამ სიტყვაზე მოდის.

ერთი სიტყვის განკერძოების ორი შემთხვევა შეიძლება გამოვყოთ:

ბ) გაუფრცობელი განსაზღვრება საზღვრული წევრის შემდეგ დგას; საზღვრულს ახლავს მსაზღვრელი.

ბ) გაუფრცობელი განსაზღვრება საზღვრული წევრის შემდეგ დგას; საზღვრულს არ ახლავს მსაზღვრელი.

ნიმუშები:

ა) „ერთხელ, დაცოლშვილიანებული ვიყავი, შევესწარი, რომ ჩემ პატარა შვილს, მძინარს, მისდგომოდა და სიფრთხილით, არ გამოიღვიძოსო, ჰკოცნიდა და ეალერსებოდა“ (ააკი).

„ამ ტყეში უზარმაზარი ხეები იდგა, თვალუწვდენელი“ (ვაჟა).

ბ) „ცოლ-ქმარნი, დაჯერებულნი, რომ მემყვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ, საღილზე გამხიარულდნენ“ (ილია).

„როცა ხნის შემდეგ, ცის ტატანზე დავინახე, რომ იმისი ყურშა, წითელენაგაღმოდებული, ედგა პატრონს გურღით“ (ვაჟა).

ორსავე შემთხვევაში (როცა საზღვრულს ახლავს და არ ახლავს მსაზღვრელი) ხაზი ებმის განკერძოებულ წევრს. მსაზღვრელის ხლებიას განკერძოებული წევრი დამატებითი ცნობის ელფერს ატარებს, ხოლო, როცა მსაზღვრელი არ ახლავს საზღვრულს, ძირითადი დატვირთვა ნიშან-თვისების თუ ხასიათის გადმოსაცემად ეკისრება განკერძოებულ განსაზღვრებას და უპირატესობაც ენიჭება პირველთან შედარებით (ე. ი. როცა საზღვრულს მსაზღვრელი ახლავს).

გვაქვს ისეთი განკერძოებული განსაზღვრება, როცა მათი წევრები ერთმანეთს და კავშირით უერთდებიან. და-თი შეერთებული სიტყვები შეიძლება იყოს სინონიმური ან გარკვეული ნიშან-თვისებით ახლოს მდგომი, მაგალითად:

„ერთი შვილი მყავს, (საყვარელი და სანატრელი“ (ილია).

„მუხა იდგა ველზე, შტომრავალი და დიდი“ (კ. გამსახურდ.).

„მისი დაღლილი და არ-უგონო თვალები, პირქუშად და შეწუხებულად მაყურებდენი, სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა“ (ილია).

განკერძობულგანსაზღვრებიანი წინადადება მრავლადაა წარმოდგენილი ი. ქავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ და ა. წერეთლის პოემა „თორნიკე ერისთავში“.

შესაძლებელია, რომ განსაზღვრული წევრი განკერძობულ განსაზღვრებაში განმეორდეს. ამით მწერალი ერთდროულად უსვამს ხაზს როგორც საგანს, ისე მის თვიაზედაც, მაგ.:

„შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვერ მიგვიწვდენია, თვალი, მართალი და უტყუარი“ (ილია).

(განკერძობული განსაზღვრება ზედსართავი სახელია ან მიმღეობით გადმოიცემა.)¹ შეიძლება სხვადასხვა სახის მიმღეობა იქნეს გამოყენებული, მაგრამ უმეტესად წარსული დროის ვნებითი გვარისა, მიმღეობით ისე სრულად ხასიათდება საგანი თუ მოვლენა, როგორც ზედსართავი სახელით. (მიმღეობიანი ფორმებით საგნის მოქმედებაც წარმოჩინდება ხოლმე;) ნიმუშები:

„ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნაღვაწი“ (აკაკი).

„ალაზნის შხული, ნიავისაგან მოტანილი, თითქოს შესჩივის და შეჰხენეშის მის გარეშეშოს“ (აკაკი).

„დიდრონი შავი თვალები, ხქელი წარბებით გადმოხურულ-დაჩრდილულები, საოცრად ბრიალებდნენ“ (აკაკი).

„მხოლოდ მისი ხმა მოესმოდა არსაკიძეს, ბნელში მდგომარენს“ (კ. გამსახურდ.).

მწერლები მეტყველები, ემოციურობი, გასაძლიერებლად მიმართავენ შედარებას. წმინტ უფრო ^{საინტერესოა} შედარება, თუ ის განკერძობულ განსაზღვრებაში გამოიყენება. განკერძობული განსაზღვრებით გადმოცემულია საზღვრული სახელის შედარება სხვა საგანთან თუ მოვლენასთან; მაგალითები:

„მან ხმალივით შეაგება მზერა (ისრიმისფერ თვალებს, დაფანჩულ, თეთრ წარბებქვეშ თრითინებხავით აწრიალებულთ“ (კ. გამსახურდ.).

აქ თვალენი შედარებულია აწრიალებულ თრითინებთან.¹

„გამჰვირვალე ბლონდი ებურა პირზე, ბროწეულის ყვავილისდარი, სითვით ამოქარგული“ (კ. გამსახურდ.).

ბლონდი შედარებულია ბროწეულის ყვავილთან.

„ზევით კლდე, სიკვდილის მსგავსი,
სხვა კლდეთ თავეს დაეფარება“ (ვაჟა).

კლდე შედარებულია სიკვდილთან.

პოეტური სიტყვები უფრო ძლიერია, თუ განკერძოებულ განსაზღვრებაში არ არის გამოყენებული შედარების მინიშნებელი სიტყვები: „მსგავსი“, „დარი“, „მაგ“:

„მათი ფარება და ენწლოზა,
სიჩქარით ელვა გასაკვირველი,
მოჩნუბარს მხოლოდ ბრახს უმატებდა...“ (ავაქი).

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ი 1. განკერძოებული განსაზღვრება გადააქციეთ ჩვეულებრივ განსაზღვრებად და ისე გამართეთ წინადადება:

„საკოდავი მეურმეები, ქანცაწყვეტილი სიცხისაგან, გულამა გამოტრიაყვნენ კონკილაზედ აყენებულ ურმებ-ქვეშ“.

„კაცი, სიცხისაგან დაოქებული, ძლივს სულს იქცევდა“,

„მეურმეებმა თითო ღერი შეშისა, შორიდან წამოღებულნი, გადმოიღეს ურმე-ბიდან“.

„დაინახა ისევ ის ნაბადში გახვეული ტანად მალაღი ყმაწვილი ჰიკი, თვალ-ებზედ ქუდჩამოფხატული“.

2. გაუერცოზელი განსაზღვრება განავრცეთ:

„მარტო ორიოდ ბიკი, კალთებაწვეულნი, იღვნენ გუბის პირას“.

„პეტრემ, გაოცებულმა, მარტო ესლა მოასწრო ეკითხა წარმავლისათვის“.

3. ჩვეულებრივი განსაზღვრებანი გადავაქციოთ განკერძოებულად.

„სუნნელთა მფენი დილის ნიავი ბანს აძლედა ღეთიურ ნანინას“.

„დამარცხებული მტერი შეუღლს ველარ უბედავდა“.

„ამ იმედით ფრთაშესხმული ჩვენი გული სიამით ძვება“.

„უღრან ტყეში მოსული თალხ-კაბა და ენამტკბნარი ია მთის სასახელოდ ითვლება“.

4. განკერძოებული განსაზღვრება გათიშულია საზღვრულისაგან, დაალაგეთ ისინი წესისამებრ:

„მეცხვარეებს ისე სციოდათ, რომ შეცივნი ხელები გულზედ გადაეჭვარდნინებიათ და უბეში ეწყით. ხოლო კომბლები, წინ წამოშვარილები, ილდაწა ეჩარათ“.

„ნადირი განზე გადაუხტა, თვალები დაუბრიალა უცხოს, შემზარაჟელ ლამ-დარენილმა“.

5. მსაზღვრელ-საზღვრულებზე გადმოეცით ინვერსიული რიგით:

„ძაყუარებ უღაბურ ადგილს...“

„მომეწონა შემოდგომის საღამო...“

„თუალს მოგპირდათ ცის ტატნობზე მორცხვით მომღიმარი მთვარე...“

„ჩემს სოფელს ჩამოუღის მღინარე...“

განკერძოებული ადგილისა და ღროის გარემოება

ადგილისა და ღროის განკერძოებული გარემოებები ზნით გამოჩატული მოქმედების ადგილსა და ღროს გადმოგვეცემენ და-ზუსტებული, დაკონკრეტებული სახით.

ქართულში ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ორი გარემოებიდან მეორე ხანის და აზუსტებს პირველს, ე. ი. განკერძოებულია.

ფართოდ გავრცელებულია ისეთი განკერძოების ფორმები, როცა პირველი გარემოება გამოხატავს უფრო ფართო, ზოგად ცნებას, ხოლო მომდევნო განკერძოებული აკონკრეტებს. /

განკერძოებული ადგილის გარემოებანი:

„იქით, ხალიჩის დასწვრივ, ღობის გადმოღმა, ჩვენი ნაცნობი ქოფაკი ძალი წევს“ (ილია).

ერთ გარემოებას დამზუსტებლად ახლავს ორი განკერძოებული:

(„აქ, აქ პატარა ახმეტაში,“) ყოველიფერი. მალამოდ ეცხება ჩემს გრძობა-გონებას“ (აკაკი).

„მითქვამს და კიდევ ვიტყვი, რომ იქ, სასახლის ქარზე, ბედნიერება მოგელის“ (აკაკი).

„ქვევით, მტკვრის დაყოლებაზე... ცას მტრედისფერი ზოლი გადაეწო“ (მ. ჭავჭავიძე).

ასევე ღროის ზმნიზედებს (ზოგადას) აკონკრეტებს განკერძოებული ღროის გარემოებანი:

„ერთ დღეს, დილიდან საღამომდე, შუამთის უღაბურ ტყეში დადიოდა აბდუშაჰილი...“ (აკაკი).

„დღეს დილით, რიყრაყზე, კაიშაურის ქვირის სახლი გაუტეხეს“ (მ. ჭავჭავიძე).

იშვიათია ისეთი შემთხვევები, რომ განკერძოებული გარემოება უფრო ზოგადას გამოხატავდეს, ვიდრე მის წინ მდგომი:

„ძაღლის გვერდით, ცოტა მოშორებით, ვილაც მოხუცებული დედაკაცი კერათან ცეცხლისპირასვე იწვა“ (ილია).

დასაზუსტებელი და განკერძოებული გარემოებები ფორმობლივ განახვედებიან ერთმანეთსაგან — ან ერთსა და იმავე ბრუნვაში არიან და ერთნაირ თანდებულებს დაირთავენ, ან ერთნაირ

ბრუნვაში არიან და სხვადასხვა თანდებულებს ირთავენ, ან კიდევ სხვადასხვა ბრუნვაში დგას და ერთი თანდებულიანი ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო მეორე უთანდებულოდ და ა. შ. ნიმუშები:

„გაღმა გორაზე, სოფლის სასაფლაოს მოშორებით, გრძელი და ვიწრო ორმო ამოეთხარათ“ (მ. ჯავახიშვილი).

„ლობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩაღური“ (ილია).

„ხმაურობა მისწყდა, მარტო კუთხეში, პურის კიღობანთან, თავკი აფხაკუნებდა“ (ილია).

ში თანდებულითაა წარმოდგენილი როგორც დასაზუსტებელი, ასევე განკერძოებული გარემოებაც.

„შუაგულ ტყეში, ერთ თითქმის მიუვალ ნაპრაღში, გამოქვაბულში, ისხდნენ ახალგაზრდა ბიჭები ცეცხლის წინ და მწვადებს ამიშხინებდნენ“ (აკაკი).

როგორც ცნობილია, დამოკიდებული წინადადება ხანის და აზუსტებს მთავარი წინადადების რომელიმე წევრს. ეს ახსნა-დაზუსტება უფრო ვრცელია და ზოგჯერ აუცილებელია, რომ 'ათქმელა სრულად გადმოვცეთ. ამიტომ გამართლებულია უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებული წინადადების გამოყენების საჭიროება, მაგ.:

„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ,
შუაღამე იწვის, ღნება“ (გალაკტიონი).

არის შემთხვევა, როცა ერთი და იმავე აზრის გადმოცემა შეგვიძლია განკერძოებული გარემოებითაც და გარემოებითი დამოკიდებული წინადადებითაც, მაგრამ ერთ-ერთს რაღაც ნიშნით უპირატესობას ვანიჭებთ, მაგ.:

„ერთხელ, ზამთარი რომ დადგა, მე და ჩემმა პატარა ფარეშებმა შვილკოვლების კეთება დაიწყეთ“.

აქ დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება უფროა მორგებული, ვიდრე განკერძოებული „ზამთრის დადგომისას“. მაგრამ განკერძოებულს ენიჭება უპირატესობა ასეთ შემთხვევაში:

„ერთხელ, შუაგულ ზამთარში, სანადიროდ წავედიო და არა: „ერთხელ, როცა შუაგული ზამთარი იყო, სანადიროდ წავედიო“.

დანართს განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. დანართი აქვს აზრებს, აკონკრეტებს წინადადების ერთ-ერთ წევრს. დანართის შეერთების საშუალებანი ასახსნელ სიტყვასთან შეიძლება იყოს კავშირიანი, საკავშირებელ სიტყვიანი, უკავშირო. შეერთების საშუალებათა ნაირგვარობა განსაზღვრავს დანართის ბუნებას, მის ხასიათს. წინადადებაში დანართისათვის ადგილის შეცვლა, გადაადგილება იშვიათად შეიძლება: დანართს წინ უნდა უძღოდეს ამხსნელი სიტყვა, თუმცა გამონაკლისებიც გვაქვს.

დანართის ეს კლასიფიკაცია მკვეთრადაა გამოვლენილი რ. შამელაშვილის წრომში „განკერძოებული სიტყვეზი და გამოთქმეზი ქართულში და მათი სწავლების მეთოდოკა“ (თბილისი, 1958).

კავშირიანი დანართი. დანართისა და ასახსნელი სიტყვის დასაკავშირებლად გამოყენებულია მაიგივებელი კავშირები „ანუ“ და „ესე იგი“ (ე. ი.). ეს კავშირები წიგნური მეტყველების კუთვნილებან და თათქმის სრულებით არ გამოიყენება სასაუზრო ენაში.

საკავშირებელ სიტყვიანი დანართი. დანართთან გამოყენებულია ისეთი სიტყვები, რომელთაც კავშირის ფუნქცია აქვთ. მათ საკავშირებელ სიტყვებს უწოდებენ, ასეთებია: შთამომავლობით, განსაკუთრებით, სახელად, გვარად, წოდებით, ხუულით, ნამეტან, უმთავრესად, მაგალითად, სახელდობრ და სხვ.

უკავშირო დანართი. არის შემთხვევა, როცა დანართი და ასახსნელი სიტყვა ერთმანეთს უერთდენს მხოლოდ პაუზით. პაუზა მართალია, კავშირიან დანართთანაც გვაქვს, მაგრამ უკავშირო დანართს პაუზა გაცილებით მეტია ხანგრძლივობით (გვ. 130—132).

დანართები, რომლებთანაც გამოყენებულია მაიგივებელი კავშირები „ანუ“, „ესე იგი“ (ე. ი.), ძირითადად აერთიანებენ სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებს, გამოთქმებს, ოღონდ სინონიმების ერთმანეთთან სიახლოვე მნიშვნელობის მიხედვითი მეტ-ნაკლებია:

მაგალითები კავშირიანი შეერთებისა:

„როგორც სათვალთვლოდ, ისე პაერის სიკეთითაც ის საუცხოო რამ არის და ამიტომაც დაურქმევიათ „სავანე“, ე. ი. მოსახვეწებელი ადგილი“ (აკაკი).

„დაიბადება თუ არა, ე. ი. თავს იჩენს თუ არა საღმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ეონვას ნელ-ნელა“ (აკაკი).

„ლოცვის შემდეგ პირს გავისველებდით, ე. ი. ცოტა რასმე ვისაუზმებდით, რომ იმ დღეს ჩვენთვის ნიტს არ დაესწრო და არ ეჯობნა“ (აკაკი).

დანართი ჩვეულებრივ არსებითი ან არსებითი სახელის მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვითაა გადმოცემული; მაგალითები:

„ერთ მოსწავლეს — კლდიაშვილს — პირით დაქკრა შუბლზე „ლინეიკა“ და თავსლე გადაადინა“ (აკაკი).

„ერთ ემაწვილს, გვარად კაპიაშვილს, დღი ყურები ჰქონდა“ (აკაკი).

„გრიგოლ წერეთლის შვილი, ნესტორ წერეთლის მამა, დიმიტრი, რუსეთში იყო გამწორდილი“ (აკაკი).

„თვლამირველად ამაღევენეს ჩემოდენა ბატონის შვალსა, დათიფოს“ (ილია).

„...მოიხედა და დაინახა თავისი გოგო, ღამაწისეული, რომელსაც ხელში ეჭირა რალაც ნაბარათევი“ (ილია).

დანართი ნაცვალსახელის ზოგადი შინაარსის ახსნა-დაკონკრეტებას წარმოადგენს:

„ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“ (ილია).

„თქვენ, ქალები, ამით გვჯობნიხართ მამაკაცებს“ (ილია).

„ამ საცოდავ იმერეთს, რომელიც მართალია მეტი არის ამერეთისაზე, თვარა ნაკლები არა, ყველა გაურბის და მე, როგორც იმერელი ქართველი, მოვალედ ვხდი ჩემს თავს, აქ ვემსახურო. რაც კი შემიძლია“ (აკაკი).

„აი, ახლა თქვენ, ახალგაზრდა ქართველებმა, უნდა გაიმართლოთ ჩემი ქმრის იმედებიო“ (აკაკი).

„იმით, საზოგადოდ ბიქსა და გოგოებს, აკრძალული ჰქონდათ ერთმანეთთან მისვლა მოსვლა და თამაშობა“ (აკაკი).

დანართი რიცხვითი სახელით გადმოცემული წევრის დაკონკრეტებას წარმოადგენს:

„...მამაჩემს ახირებულობა ბევრჯერ ხელს უშლიდა და ამ ორს, სრულიად ერთმანეთის წინააღმდეგ ბუნების მქონე ადამიანთ, ხშირად ჰქონდათ ერთმანეთში საყვედური (აკაკი).

თვით რიცხვითი სახელია დანართის როლში:

„ამ დროს ერისთავები, სტუმრები და მასპინძელი. ხამიფე, ერთად იჯდნენ სასტუმრო ოთახში ტახტზე ფეხმორთხმით და გაცხარებული საუბარი ჰქონდათ“ (აკაკი).

სტილისტური თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ისეთი დანართები, რომელთაც მეტაფორულ-შედარებითი მნიშვნელობა აქვთ. ემოციურ-ექსპრესიული დანართების გამოყენებით სათქმელი მეტი გამომსახველობითი მნიშვნელობის მქონე ხდება; მაგალითად:

„გვერდით ედგა ერთი პირმოტეხილი ლიტრა, იქვე ედგო რუსული... ტილოს თოფრაკი და ერთი მოზრდილი კომპალი — ეგ ერთგული და უმუნანათო თანამგზავრი ყოველის უბედურისა“ (ილია).

„ვუსმინოთ ყაზბეგს, ხევის ბეთხოვენს, აგუგუნება კაიშაურის“ (გ. ტაბიძე).

„მეცნიერება და ხელოვნება — ეგ საკვირველნი საღარონი კაცის გონებისა — არიან კანონიერი მიმკვიდრენი გენიოსისა“ (ილია).

ს ა მ ბ რ ჯ ი შ ო. ორი მარტივი წინადადებისაგან შეადგინეთ დანართიანი წინადადება:

1. თორნიკე იყო განთქმული მთავარსარდალი.
თორნიკე დაკუთრებდა ბრძოლის ველს.
2. ია კლდის თავზე გაიშალა.
ია მთის სასახელო ყვავილია.

მ ი მ ა რ თ ვ ა

წინადადებაში მიმართვის ადგილი და ფუნქცია ერთმანეთთან მკვიდროდაა დაკავშირებული. მიმართვას წინადადებაში არა აქვს მყარი ადგილი, ის შეიძლება შეგვხვდეს როგორც თავში, ასევე შუაში და ბოლოშიც. მიუხედავად აღნიშნულისა, შეინიშნება კანონზომიერება — მიმართვის ამა თუ იმ ადგილას დასმა ერთგვარი უპირატესობით სარგებლობს.

მიმართვით დაწყებული წინადადების ნიმუშები:

„გულო, არ გასტყდე, გამაგრდი,
კლდეო, კლდედ იღუგ სალადა“ (ვაჟა).
„ლურჯავ, შენც გრძნობა გქონია,
როგორც კაცს, ადამიანსა“ (ვაჟა).
„ქისტებო, ჩვენი მოსისხლე
შემოგვეპარა ღამითა“ (ვაჟა).

როცა მიმართვა ერთსიტყვიანია, თანაც არსებითი სახელით გადმოცემული და წინადადების შუაში. მოქცეული, ყურადღება მახვილდება წინა ნათქვამზე:

„ეგ სამხვეწროა, ბერღიავ, !!
ძოდან მოკლულის ქისტისა“ (ვაჟა).
„ტყუილად სცდები, აღუღავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო“ (ვაჟა).
„ქარში გამოდი, ჭოყოღავ,
წყნარად ნუ სწევხარ კერასა“ (ვაჟა).
„აქ მენდე, ლაზავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი“
(ილია).

მიმართვა წინადადების ბოლოს:

„შენი სათქმელიც გავიგე, ლურჯავ“ (მ. ჭავჭავაძე),
მიმართვა წინადადების თავშიცაა და ბოლოშიც:

„მდინარეც, ჩემის მშობლიურ შთის ცრემლით შემდგარო
აწ შენს კიდზედ ვლგევი, ლაგვიკარ მე, შეგობარო!“
(ილია)

მიმართვას თან ახლავს მთქმელისა ამა თუ იმ გრძნობის, ემოცი-
ის გამოხატვა, რომელიც მთელ გამონათქვამს ეკუთვნის. ძლიერ-
მოწოდების დროს მიმართვა ძახილის ნიშნით გამოიყოფა./მაგ.:

„სიტყვის მთხველნო/ისპინეთ,
ნუ დამელაღი, შერანო
და ველთა სისხლით ნაღებო,
ჩემო ქვეყანავ ვერანო,
და თქვენც, ჰე მთანო მალანო,
ჩემის სამშობლოს მცველანო
თქვენც, საქართველოს ასულნო
ერთად ვიცოცხლოთ ყველამო!
არ გვეშველება, თუ ერთ დროს
სისხლად არ იქვეც. შელანო!“

(ვაჟა)

მთქმელის ემოცია წეიძლება იყოს ალერსობითი, მოფერების,
შიშის, სიძულვილის, ზიზღის, დანაწევის, აღშფოთების, საყუდუ-
რის. თანაგრძნობის, გულთბილობის. ამის გამოსახატავად მნიშვნე-
ლობა აქვს იმას, თუ რა ლექსიკური შინაარსი აქვს თვით მიმარ-
თვას ან მიმართვის განმსაზღვრელ სიტყვებს, ან კიდევ მიმართვასთან
ახლო მდგომ შორისდებულებს, რომლებიც უმეტესწილად ადა-
მიანთა გრძნობის ნაირგვარი ელფერი გამოხატველნი არიან.

როცა მიმართვაში მსაზღვრელად გვაქვს „ჩემო“, მაშინ, უმე-
ტესად იგრძნობა მთქმელისაგან სიტბო, სიახლოვე, მაგ.:

„ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლევ. ჩემი ნათლია არის. ტერტერას ქვრივი,
ხაშხაშნაქამია და სძინავს“ (ვაჟა);

„ოხიე კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰქედები, სადაც დაიბადე“ (ილია).

„ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?“ (ილია).

„ცოდვა ის არის, ჩემო ძმავ, როცა შვილი დედის კირანხულს ყვავილებს
არ გამოატანინებს“ (ილია).

კენობითი ფორმით ნახშირი მიმართვები ალერსობითია მნიშ-
ვნელობის მატარებელნი არიან. მაგ.:

„მე, მოდი, ნუციკო, მოდი“ (მ. ჭავჭავაძე).

— „კმარა, ჩემო შვილიკო, კმარა, თორემ იცოდე, ნამდვილ სახელს წაგარ-
თმევ და „მიყიდეს“ გიწოდებ“ (ი. გრიშაშვილი).

ძოფერებითად გამოყენებული სიტყვებით ქართული მდიდარია. საკმარისია, მოვიტანოთ ნაწყვეტები შემოქმედთა ნაწერებიდან და დავრწმუნდეთ, რაოდენ დიდია ქართული სიტყვის მადლი:

- ჩემო სიცოცხლის ცისკარო!...
- ჩემო გაშლილ იაო!
- შენი გულის კირიშე!
- საყვარელო, სასახელო,
- წამლად დაგენაყე, წამლად დაგედე!
- ჩემო სიყრმის მზევ, შენ კი დაგენაცვლე!
- კირი მოგჭამე!
- ჩემო სულო და სიცოცხლე, ჩემო სულისდგამე!
- შენი მუხლებია კირიშე!
- ჩემო ცხოვრების ნაეო“ (გ. ლეონიძე).

სემანტიკური თვალსაზრისით სიახლოვე ჩანს წყევლის, გაკენწე-ლის, დატუქსვის, დაცინვის გამომხატველ წინადადებებსა და მიმართვებს შორის. წყევლა-დატუქსვის სიტყვები და წინადადებები განეკუთვნებიან იდიომებსა თუ ხალხურ სასაუბრო ფრაზებს. ამის ნიმუში მრავლად გვხვდება როგორც ილიას, ასევე ვაჟას და სხვა მწერლების ნაწერებში.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი „ოთარაანთ ქვრივიდან“:

„რაო, მუქთამქამელოო? — ეტყოდა ხოლმე“.

„ვერა ხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელბზედ ფხს იღამს“...

„— აჰა, შე არ-დასარჩენო, ამოსხი და ჩაიცივი“.

„შე გულმკვდარო... ქვეყნისა არა გრცხვენია! არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა“.

ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ს თხზულებებში:

„— მაშ მიგქონ ჩემნ იარაღნი,

კიდევ არ შაირცხენია?

დადეგ, შენ უნამუსოვო,

ქვაზედ გინაყო ტვინია!“

„რა დროს ძილია, ბედმწარევ,

შე უღელათოს გვარისა?“

„სად მიხვალ. სადა, წყუთლო,

საითყენ მიეჩქარები?!

ვინ გაკმევს კაის ყმის ლეშსა?

ძალლო, დაგიდგა თვალები“.

„გავყვე“! რას ამბობ, კვავთხელო,

არ გამივლევინ ახლოსა“.

-ბიკო. შე. ოჯახქორო. სუ. გაქუძდი. რას ამბობ. შე თავხედო? — ჩასხერ-
ჩულეს დრინველთა“.

.დაცინვის ელფერი ახლავს მიმართვებს:

„რას ამბობ. შტერო. რას ამბობ,
რად არ მოდიხარ ცნებასა?“ (ვაჟა).
„არ იცი, არა. კვე-თხელო
უბედო, ზეზერე მგრძნობარე.
თავისა სასიამოვნოდ
წუთისოფლისა მცნობარე!“ (ვაჟა)

შეკოდების, სინანულის იერი დაჰკრავს მიმართვა-ეპითეტებს,
რომლებიც განოხატულია სიტყვებით: „საცოდავო“, „საბრალოვ“,
„უბედურო“, მაცალითად:

„აი ტვირთ-ქვეშა მოკაეულსარ. საბრალოვ. შენა!“ (ილია).

„— უი, შე საცოდავო, შენა! რომელმა ეშმაკმა შეგაცდინა. ვინ გავაბრავა,
შე საბრალოვ, შენა“ (მ. ჭავჭავაძე).

სიხარულისა და აღტაცების ინტონაცია

„რა მშვენიერი რამ ხარ, დილის რიყრაყო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის
ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ!“ (ილია).

ქებისა და წაქეზება-გამხნეების ინტონაცია

„ა, ყოჩაღ, ბიკო! — დაკიეზებუნენ თავუნას, ფრინველნი“ (ვაჟა).

„ბარაქალა, ჩემო დათო! თუ კაცმა დაივიწყა, ლმერთი არ დაივიწყებს ბატონის
ერთგულებასა. ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი“
(ილია).

თუ წინადადებებს დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ქება ან
წაქეზება-გამხნეება განაპირობა არა პარტოლოდენ მიმართვენმა,
არამედ წინადადებისაგან განკერძოებითად მდგომმა სხვა სიტყვებ-
მაც, კერძოდ, შორისდებულებმა. მათ ინტონაციურად დატვირთვა
სათქმელი, რამაც შექმნა მეტი ემოცია.

მიმართვას ხშირად ავტორის ენაშიც ვაწყდებით. ასეთ შემთხვე-
ვაში ავტორის სურს მკითხველთან კონტაქტი დაამყაროს, მკითხველი
მოქმედების უშუალო მონაწილე გახადოს — მოუწონოს ნათქვამი,
დაუდასტუროს ან ყურადღება მიაქციოს ფაქტისადმი. მოვლენი-
სადმი, პიროვნებისადმი: ავიღოთ ნიმუშები:

„მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა“ (ილია).

„ვერ უყურებთ მკითხველო კნენა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა და დახეთ, რაები სცოდნია? (ილია).

„ბოლოს ხომ, — შენც იცი, მკითხველო, — რომ ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ“ (ილია).

„მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ „მედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა დღესა თუ ხვალე შენში გაიღვიძებს“ (ილია).

„არ გეგონოთ, მკითხველო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვინმეს ღარიბსა და მის გამო იყოს ეგრე გულშეუტყვირად თავმინებებული“ (ილია).

რამდენი პოეტის შთაგონების წყარო გამხდარა სამშობლო, მისი მთები, ზღვები, მდინარეები. რამდენჯერ ანღერებულან დიდი გრძნობით ქართველი მგოსნები, ლექსების სათაურებად მიმართები გამოუყენებიათ და ამით სწარტად გადმოუციათ ძირითადი სათქმელი. კვითხულობთ ლექსის სათაურებას და უკვე სათქმელს წინასწარ ვგრძნობთ. მაგალითები:

ვაჟა-ფშაველა: „ისევ შენ, ისევ, ქალაო“, „უგულო, რას დაღონებულხარ“, „შემომღულუნე, ჩონგურო“, „ცაზე იარე, მთვარეო“.

ი. ჭავჭავაძე: „ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევე, სიტკბონი შენნი“. „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“.

გ. ლეონიძე: „ჩამობრიალდი, ჩემო არწივო“ „ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ“, „ვაზნარო და ატამეთო“ და ა. შ.

უსულო საგნებთან დიალოგი, მიმართებები პოეტურ მეტყველებას ლალს. უშუალოს და მსუბუქს ხდის, როცა ბუნება არა მარტო ლამაზია, არამედ სიბრძნისა და სათნოების წიაღიც არის, მაშინ უფრო მეტად შეიძლება მასთან საუბარი, საკმარისია მოვიგონოთ ბუნებისადმი მიმართებები ვაჟას პოეზიიდან:

„ცაზე იარე, მთვარეო...
მზეო, აბრძანდი-დაბრძანდი...
მთებო, იშიშვლეთ გულ-მკერდი,
ხან მოიხიეთ ნაბადი...
დაწვიმე, შავო ღრუბელო,
დაალბე მკერდი მიწისა“.
მთავ, შენ ის ჩემი ნათქვამი
გულ-მკერდზე დაიწეროდი!
ბარო, წარბნი და წამწამნი
იმ სიტყვით დაიკვროდი“

ამ სულდგმულ არსებებს თვითონ აქვთ სურვილი, გადმოშალონ გულის დარღები, ზრახვები. ვაჟას შვლის ნუკრი ჩივის:

„ოჰ, აღამიანო! რატომ არ გებრალეები შე, პატარა? - ოჰ, აღამიანებო! თქვენ ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი და ჩვენი ქაერი არა გაქვსთ.“
ჩიტი გალობს:

„შენ გენაცვალე, ტყვე დაბურულო,
ჩემო სიცოცხლეც, სულო და გულო,
რომ საზრდოს მალეც, — არ დაჩაგრეო,
ჩემო მშობელო, ტურფა მხარეო!“

ხე ეხვეწება აღამიანს:

ნუ მომკლავ, ჩემო მინდიაფ,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარალო რომა ვარ,
მიტომ მიბრძელებ ხესაო!?”

ქადარი ემუდარება:

„დღეს მოვექვრ ერთი ქადარი,
თუმც მემუდარა ბევრია:
„რას სჩადი მაგას, მინდიაფ,
ვითომ არ იყავ მტერია?!”

ფესვები თავს აბრალეებს, აცოდებს:

„ღმერთო, ნუ დაგვიკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ. დედამიწავ, კიდეე გაგვიჩინე ბინა! სიცოცხლე და შრომა გვწყურია, გვინდა კიდეე ვიშრომოთ, ეგებო კიდეე გავზარდოთ ჩვენს ფესვებზე შვილი, ეგები კიდეე ვიგროძნოთ სიყვარული. ბუნების ძაღნო, შეიწყნარეთ საბრალეო ფესვებია მუდარა!“

მიმართვა შეიძლება განმეორდეს. განმეორებული მიმართვები აძლიერებს ემოციურობას, მაგ.:

„ჰოი, მთებო, მთებო!
თქვენ, ისევ თქვენა,
თორც არ ძალმიძს
ამდენთ ჰირთ თმენა!“ (ვაჟა)
„მთებო, მთებო რას ელით,
ვის ელით?“ (ვაჟა)

ამ მაგალითებში ყურადღება ექცევა საკუთრივ მიმართვას, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა წინადადების წევრებია განმეორებული და მათ შორის მიმართვაა მოქცეული, მახვილი ძირითადად განმეორებულ სიტყვაზე მოდის და არა მიმართვაზე, მაგ.:

„ომებში დამქრეს, შვილო, ომებში“ (ვაჟა)
„გაუბედო, წრუწუნავ, გაუბედო!“ (ვაჟა) და მისთ.

მიმართვას თუ ახლავს ანხსნელი სიტყვა, განსაზღვრება, მაშინ წინა პლანზეა წამოწეული თვისება, ხასიათი, განსაზღვრებად გამოყენებულია უმეტესად ზედსართავი სახელები, რომლებშიც საგნის ნიშან-თვისება მკვეთრად ჩანს, მაგ.:

„პოი, ბნელო ლამევს მეჯავრები შენ მე“ (ილია) და ა. შ.

ს ა მ ა რ ჯ ი შ ი: მოძებნეთ მიმართვით მდიდარი ტექსტები და იმსჯელეთ მათს სტილურ თავისებურებებზე.

ჩ ა რ თ უ ლ ი

განკერძოებული სიტყვა-გამოთქმებიდან ჩართული ყურადღებას იპყრობს თავისი მრავალფეროვნებით: ჩართული გამოხატავს ამა თუ იმ გრძნობას — წყენას, დანანებას, სიხარულს; ჩართულით აღინიშნება მთქმელის ვარაუდი, გამოთქმული აზრის საეგებიოდ თუ საექვოდ მიჩნევა; მიგვითითებს, თუ ვის ეკუთვნის წინადადებაში. გამოთქმული აზრი; გადმოგვცემს დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრებთან და ა. შ.

შევეხებით ზოგიერთ ჩართულს, რომლებიც სტილური თვალსაზრისით საინტერესო ნიუანსს გვაძლევენ.

სიტყვა „მართალია“-ს ხმარების სამ შემთხვევას ვარჩევთ:

1. „მართალია“ გამოყენებულია, როგორც მთავარი წინადადება, მაგ.

„მართალია, რომ ამ კაცს თავს მოსჭრიანო და მერე ისევ გააცოცხლებენო?“ (ილია).

აქ „მართალია“ რომ მთავარი წინადადებაა, ამას გვიმტკიცებს როგორც მთლიანად წინადადების სემანტიკური, ისე გრამატიკულ-სინტაქსური მხარე.

2. „მართალია“ (როგორც ჩართული სიტყვა) გამოხატავს ნათქვამის აზრის უექველონას, მაგ.:

„მართალია, მოთარეშები არა თუ არა გაუწყვეტია, თვალთაც არ უნახავს არაფერ მათგანი მთავრობას“ (აკაკი).

3. „მართალია“ წინადადებაში გამოთქმული აზრის დასტურსა და უექველობაზე კი არ მიგვანიშნებს, არამედ „საექვოდ დასტურზე“, რომელიც არ არის კატეგორიული და ახლავს დათმობის იერა.

ჩნდება რალაც დამატებით საპირისპირო მომენტი, რომელიც „კატეგორიულობას“ ნიადაგს აცლის, მაგ.:

„მართალია, გამარჯვებული კი ყოველთვის კრეხი რჩებოდა, მაგრამ იმ საპირისპიროს მოსვენება არ ჰქონდა და იტანებოდა“ (აჟაი).

თუ დავუკვირდებით, შევამჩნევთ, რომ ჩართულს („მართალია“) ასეთი იერი უმეტესად დათმობითი დამოკიდებული წინადადებაა შემცველ რთულ ქვეწყობილსა და მაპირისპირებელკავშირიან რთულ თანწყობილ წინადადებებსში აქვს. ქვეწყობილი წინადადების მთავარში ექცევა კავშირი „მაგრამ“, რომელსაც დაპირისპირების ფუნქცია ეკისრება, მაპირისპირებელია. როგორც პროფ. ლ. კვაქაძე შენიშნავს, „მართალია“ მიღებულია მთავარი წინადადებისაგან, რომელიც ამჟამად ჩართულად არის ქცეული, წინადადებაში გამოიყოფა მძიმით (როცა მთავარშია) ან მძიმეებით (როცა დამოკიდებულის შიგნითაა) და რამდენადმე კავშირის როლს ასრულებს და გვანიშნებს კიდევ, რომ პირველ ნაწილს, რომელსაც დათმობითის შინაარსი აქვს, უნდა მოჰყვეს საპირისპირო შინაარსის წინადადება“ (თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი, 1966, გვ. 413).

თუ დავუკვირდებით დადასტურებით ნაწილს „ჰო“ (მაგრამ) და ჩართულ „მართალია“ (მაგრამ) სიტყვების ურთიერთმიმართებას, შევამჩნევთ მათს მონაცვლეობას.

შევადაროთ ერთმანეთს:

„მართალია, ვყვები და ვიღრინებოდი, მაგრამ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ჩემ პირადობაზე მე ხელი გამენძრიოს“ (აჟაი).

და

„ჰო, ვყვები და ვიღრინებოდი, მაგრამ ვერავინ ვერ იტყოდა, რომ ჩემ პირადობაზე მე ხელი გამენძრიოს“.

„მართალია“ და „ჰო“-თი აქ დასტური კი არ არის გამონატული, არამედ თავშეკავებული თანხმობა, კატეგორიულობისაგან დაცლილი.

ასეთი შინაარსის მატარებელია ქვემოთ ჩამოთვლილი წინადადებანი:

„მე, მართალია, ვიყავ ერთ დროს კაი მოსხეილი, ხელმარჯვე ბიჭი, ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა, მაგრამ, ღვთის წინაშე ვაღიარებ, მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი“ (ილია).

„ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შევლა კი არსად იყო“ (ილია).

„ჩემს ძმას გამოუტყდი, რომ მე, მართალია, სამხედრო სამსახური მსურს, მაგრამ მისთანა ადგილას მინდა შევიდე, სადაც სწავლის გაგრძელება შესაძლებელი იქნება“ (აკაკი).

ჩართული „მგონი“ გამოხატავს მთქმელის ეარაუდს, წინადადებაში გამოთქმული აზრის საეგებიოდ, საექვოდ მიჩნევას, მაგ.:

„მგონი, მაშინ იმას სწავლაზედაც გული აკრუებულიცა ჰქონდა“ (ილია).

„ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში“ (ილია)...

ასეთივე შინაარსის შემცველია ჩართული „მე მგონია“.

ჩართული „ერთი სიტყვით“ გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოში სამართლიანადაა მოქცეული იმ ჩართულებთან, რომლებიც გვიჩვენებენ დამოკიდებულუჯას წინ გამოთქმულ, აზრებთან, ოლონდ შეიძლება ვთქვათ, რომ ეს დამოკიდებულება სხვადასხვა ხასიათისაა. ჯერ ჩამოთვლილია მოქმედება ან ნიშან-თვისება, რითაც ხასიათდება საგანი თუ მოვლენა, შემდგომ მას მოსდევს ჩართული „ერთი სიტყვით“ და ამ ჩართულს — განმაზოგადებელს სახით დასკვნა, დასაბუთება ჩამოთვლილებისა; მაგალითები:

„აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცის კვლა, არც უიშედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთი სიტყვით — რაც ამშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა...“ (ილია).

„ქვევითი ტუჩი ძირს ჩამოშუვა და ღორბლმა დენა დაუწყო, თვალბი აეშლერა და თავისთავად ეხუქებოდა — ერთი სიტყვით — დარეჯანი ქვიფხედ იყო“ (ილია).

„დასწევლიდა, დაქოლავდა, დატუქსავდა — ერთი სიტყვით — მთელის ღამის ნავუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ“ (ილია).

როცა ჩართულ „ამგვარად“ — სიტყვას ვიყენებთ, დასკვნაში ძირითადად და ზოგადად უნდა გადმოვცეთ ის, რაც ადრე გვქონდა გადმოცემული (წინ რომ უსწრებდა დასკვნას). ეს ლოგიკური მაჯელობის განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა.

წინადადებაში ჩართულის ადგილის შესახებ ასეთი აზრია გატარებული სამეცნიერო ლიტერატურაში: თუ ჩართული სიტყვა ან გამოთქმა ეკუთვნის მთელ წინადადებას, მაშინ ჩართული არის წინადადებას თავში ან ბოლოში, ხოლო ჩართული თუ ეკუთვნის მხოლოდ წინადადების ნაწილს ან მის რომელიმე წევრს, მაშინ იგი ჩვეულებრივ უშუალოდ ამ სიტყვასთან ან სიტყვათა ჯგუფთან დგას.

ისმება კითხვა: როცა ჩართული სიტყვა წინადადების შუაშია, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ, რომელს ეკუთვნის ჩართული, მის წინ მდგომ წინადადების ნაწილს (ან სიტყვას) თუ მის მომდევნოს? ამასაც ერთგვარი კანონზომიერება აქვს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ჩართული სიტყვა „რასაკვირველია“:

როცა „რასაკვირველია“-ს წინ დგას ც ნაწილაკდართული სიტყვა, მაშინ ჩართული თითქოს ეკუთვნის მის წინ მდგომ ც ნაწილაკიან სიტყვას: ამას ხელს უწყობს ისიც, რომ ც ნაწილაკი გაამძლიერებელია, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ჩართული მთელი წინადადების კუთვნილება ხდება მაინც,

ნიმუშები:

„მეც, რასაკვირველია, ქართულად ვუბასუსჯ“ (აკაკი).

„იმათაც, რასაკვირველია, შემოიტანეს შეშის კონა“ (აკაკი).

წინადადების შუაში მოქცეული „რასაკვირველია“ მაშინ ხსნის მის მომდევნო სიტყვას ან წინადადების ნაწილს, როცა ჩართული სიტყვის „რასაკვირველიას“ წინ მდგომი სიტყვები რაოდენონივად ბევრია, სჭარბობს ჩართულის მომდევნო სიტყვებს, მაგალითები:

„ერთი ქართველი დიდი კაცი, გამოჩენილი გვარიშვილი, რომელიც თვიანში ბევრჯერ ყოფილა და სტამბოლიც რამდენჯერმე ჰქონდა მოვლილი, რომ გარდაიცვალა, რასაკვირველია, ყოველიფერი შეიღებს დაუტოვა“. აქ „რასაკვირველია“ სემანტიკურ კავშირშია მომდევნო წინადადებასთან „ყოველიფერი შეიღებს დაუტოვა“.

ჩართულების სიახლოვე ჩანს სხვა განკერძოებულ სიტყვა-გამოთქმებთან:

შორისდებული ჰაი, ჰაი! გამოხატავს სინანულს, მაგრამ ზოგჯერ დადასტურებითი, თანხმობითი ნაწილაკის („დიახ“, „სწორედ“) როლში გვევლინება:

„— ეხლა გვეწვიენენ, თუ თავი მოსძლებიათ!... კაი სტუმრები არ-ან, მაგრამ ღვთის მადლმა, ჩვენც კარგი მასპინძლები დაუხუცდებით.

„...ჰაი, ჰაი, რომ დაუხუცდებით! — იყო პასუხი“ (ყაზბეგი).

„— მამ აქაც ლაპარაკობენ ჩერქეზულად?

— რად არა! ...ჰაი, ჰაი, რომ ლაპარაკობენ“ (ყაზბეგი).

დამაჯერებლობის ხაზგასაძლად, თავისივე ნათქვამის უფრო გასაძლიერებლად ავტორები ხმარობენ არა ნაწილაკს, მაგ.:

„...ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოქალაქეებულავეთ გაჩერებულო, — არა, ყოველი გონიერი ჟურნალის თვალი ხშირად არის მომავლისაკენა“ (ილია).

„სხვა ქვეყანაში, როცა ცოდნა აქვს ხალხსა, თხზის დღის მიწა ისე უპეულად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერ ცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვკობნიან?!... არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან“ (ილია).

ასევე ნათქვამს ხაზს უსვამს და ადასტურებს ავტორთან გამოცენებული დადასტურებითი ნაწილაკი „ღიახ“ („ღიאל“), მაგ.:

„ღიალ, ამ შვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა“ (ილია).

„ღიალ, არ იციან უგუნურმა ხეცებმა, რომ ხალხს ჭერ არ დაუვიწყნია ხმელის წიფლის სახელი“ (ვაჟა).

„ღიახ“, „ღიალ“ ასეთ შემთხვევებში უახლოვდება „სწორედ“ სიტყვის მნიშვნელობას. „სწორედ“ კი ჩართულია. სამართლიანადაა მითითებული „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“, რომ ღიახ ნაწილაკი გვიჩვენებს გამოთქმული აზრის უდავოწას, უეჭველობას.

შევადართ:

„— ეგენი კაცები თი არა, ნამდვილი ქაჭები ყოფილან, ქაჭები — სწორედ, მართალსაც ბრძანებთ“ (ყაზბეგი).

მომავალი ნაწილაკები

თვით ნაწილაკის განმარტებაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნაწილაკს გარკვეული ელფერის მიცემა შეუძლია წინადადების წევრისათუ მთელი წინადადებისათვის — „ნაწილაკი ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ბგერას, ბგერათა კომპლექსს თუ სიტყვას, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრით“ (ა. შანიძე). პროფესორი მ. თალაკვაძე წერს: „ნაწილაკი“ (იგი) ელფერს უცვლის, სხვაგვარა გაგენს შეაქვს იმ სიტყვისა თუ წინადადების გაგებაში, რომელსაც დაერთვის; ესაა მისი ძირითადი ფუნქცია მეტყველებაში“.

განკერძოებულ სიტყვებად და გამოთქმებად მიიჩნევა მიგებითი ნაწილაკები. მიგებითი ნაწილაკი ორგვარია: დადასტურებითი და უარყოფითი. დადასტურებითია: კი, ღიახ (ღიალ), ჰო (ხო); უარყოფითია: არა, ვერა. მიგებითი ნაწილაკები სრული თუ უსრული წინადადების ეკვივალენტად გვევლინებიან და ამიტომაც სამართლიანად უწოდებენ მას სიტყვა-წინადადებას.

პროფესორ ლ. კვაჭაძეს დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკების სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარების შემთხვევები აქვს შენიშნულ-გამოკვეთილი.

ა) დადასტურებითი ნაწილაკი წარმოადგენს დადასტურებით პასუხს დასმულ კითხვაზე მაგ.:

„— გეტყობა, ქართველი უნდა იყო.“

— ღიახ, ქართველი ვარ“ (ილია).

ბ) მიგებითი ნაწილაკი გამოხატავს არა პასუხს დასმულ კითხვაზე, არამედ თანხმობას, მაგ.:

— თუ ემი სიყვარული გაქვს, ჩემო ვერიჩკა, ერთი ბოთლი ახლავე შემომირბენინე!

— კი, ბატონო (კლდიაშვილი).

გ) მიგებითი (დადასტურებითი) ნაწილაკი ადასტურებს და აღიერებს თვით მთქმელის აზრსა და ნათქვამს, მაგ.:

ეს ამბავი დღის თორმეტ საათზე მოხდა, ჯიბ, სწორედ თორმეტ საათზე.

უარყოფითი ნაწილაკის ხმარების, გამოყენების სამი შემთხვევა გარჩეული:

ა) ნაწილაკი წარმოადგენს უარყოფით პასუხს დასმულ კითხვაზე, მაგ.:

— კაცი ვერ ვაფრინდება?

— ვერა (აქაყი).

ბ) უარყოფითი ნაწილაკი წარმოადგენს არა პასუხს დასმულ კითხვაზე, არამედ გამოხატავს, რომ მთქმელი არ ეთანხმება თანამოუბრის მიერ გამოთქმულ აზრს, მაგ.:

— .. ეს ხუთი თუმანი ბე ისევ წაიღე.

— არა, ათი თუმანი მიბოძე (ილია).

გ) წარმოადგენს უარყოფით პასუხს მთქმელის მიერვე დასმულ კითხვაზე ან უარყოფს მისსავე წინა თქმულს, რომელიც არაა კითხვითი შინაარსისა, მაგ.:

„არა! აყვავდეს იმედი! გულს ვერ გამიტებს ჰალარა“ (აქაყი).

სწორედ დადასტურებით და უარყოფით ნაწილაკთა სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარება გვაძლევს საფუძველს, ვიმსჯელოთ მეტყველებაში მათი გამოყენების ნაირგვარობაზე.

როგორც საერთოდ წინადადების წევრების განმეორება გვაძლევს ეფექტს, ასევე სიძლიერის მქონეა მეტყველებისათვის განმეორებული ნაწილაკები — ეს იქნება დადასტურებითი თუ უარყოფითი. მათი ხმარებით დასტურებს ან უარყოფას მეტი ემოციურობა ენიჭება.

მაგალითები:

— სასულიერო სასწავლებელში, მამაო?

— დიახ! დიახ! (დ. კლდ.)

— მაშ, რა გინდა, რა მოგდის, შეილო?... იქნებ კრილობა გაწუხებს?

— არა, არა — მოუსვენრად ცრემლმორეულის ხმით წარმოთქვა ავადმყოფმა (ყაზბეგი).

— რას იტყვით, ჯამაათნო... დავმორჩილდეთ?

— არა, არა, არა! — განუწყვეტლივ ისმოდა ხალხში (ყაზბეგი).

უარყოფითობას უფრო მკვეთრად ესმება ხაზი, როცა არა, ვერა უარყოფითი ნაწილაკი გვაქვს ზმნასთან გამოყენებული და უარყოფითობის აღმნიშვნელი ზმნიზედაც, მაგ.:

1. — ვაი შენს მოსეს! განა უნახავს სადმე?

— არა, არსად არ უნახავს, მაგრამ შეუტყვია (ილია).

2. — ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო, თუნც სულ დაგენტქას ოჯახი დღეს! (ილია).

სიტყვებმა „არასად არ უნახავს“ და „ვერ მოგცე“-მ გაამკვეთრეს, გააძლიერეს უარყოფა. ამ სიტყვებთან არ და ვერ უარყოფითი ნაწილაკების ხმარება სწორედ რომ არა და ვერა მიგეზიომა ნაწილაკებმა განაპირობეს.

არა ნაწილაკი გამოხატავს, რომ მთქმელი არ ეთანხმება თანამოუბრის მიერ გამოთქმულ აზრს, მაგრამ დაუთანხმებლობა კატეგორიული არ არის, „შერბილებული ტონი“ ახლავს. ამგვარ მორიდებულობასა და მოკრძალება-დაყვავებებს ხელს უწყობს მიგებით ნაწილაკებთან ხმარებული მოფერება-აღერასისა და ფიცილის ფორმულები, მაგ.:

— ჰო, ეგრე სთქვი, მე მეგონა, მართლა, ეს ცალკე გინდა, რომ ჩემს საქმეს მოახმარო.

— არა, გეთყვანე, იმის ანგარიშში მიმაქვს. საკაბე კი მალე მიბოძე, რომ შეეკრვა მოვასწრო (ილია).

— რად გქნებოდათო? ჩვენ მკათათვის ნახევარში გუთანინ გატანილი გქვონდა, თქვენ კი ენკენისთვეშაეც არ გაგეტანათ.

— არა, თქვენმა მზემ, ჩვენ თქვენზედ აღრე გავიტანეთ (ილია).

— უფრო კარგი, რასაც თავის თვალით პნახავს, თუნდ ქრთამი არ იყოს. ის არ უნდა უთხრას? თორემ ფულიც ხომ არა მშურს.

— არა, გეთყვანე, მე მაგ ცოდვაში არ ჩაედგები... (ილია).

ზოგჯერ შეიძლება დიალოგში მიგებითი არა ნაწილაკი იყოს გამოყენებული, მაგრამ ის საპირისპირო მოქმედებაზე მიგვითითებდეს, ე. ი. თანხმობის, დასტურის ნიშნად მოგვევლინოს. მიგებითი ნაწილაკი არა, როგორც არა, კი-ს ბადალია, მაგ.

— ხომ მოხერხება შეიძლება? ოცდარვა იყოს.

— არა, შეძლებით კი შეიძლება, მაგრამ თავს ვინ გამოიმეტებს? (ილია).

თვით ფრაზა „შეიძლებით კი შეიძლება“ და საკუთრივ ფრაზაში

ნახმარი ნაწილაკი კი ქმნიან საშუალებას, რომ არა ნაწილაკმა კი-ს ფუნქცია იკისროს, შეენაცვლოს მას.

არა ნაწილაკი სწორად შორისდებულის როლშია, მაგ.,

„არა, მართლა მითხარით, როგორი თმა გაქვთ, შეი?“ (კ. გამსახურდია).

„— არა, ნამუსია?... შენა გკითხავ, ნამუსია?“ (ილია).

„— არა, კხურობ, თუ მართლა მეუბნები? — ჰკითხა შეპკრთალმა სუტ-კენინამა (ილია).

დამაჯერებლობის ხაზგასასმელად, თავისივე ნათქვამის უფრო გამძაღვიერებლად ავტორები ხმარობენ არა ნაწილაკს, მაგ.:

„...ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელი ცხოვრების წრეში მოქადობებულსავეთ განერებული, — არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი სწორად არის მიმართული მომავლისკენა“ (ილია).

„სხვა ქვეყანაში, სადა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უქვეყლად აცხოვრებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა ცხოვრობს. რათა? განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობნიან?! არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან“ (ილია).

ასევე ნათქვამს ხაზს უსვამს და ნათქვამს ადასტურებს ავტორთან გამოყენებულ დიდასტურებითი ნაწილაკი დიახ (დიად) მაგ.:

„დიად, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა“ (ილია).

„დიად, არ იციან უგუნურმა ხეებმა რომ ხალხს ჯერ არ დაუვიწყნიო სკელას წილღის სახელი“ (ვაჟა).

„ზემოთხსენებულთ წელთ შემდეგმა დრომ... ვასწმინდა ცოტად თუ ბევრად (ქვეყნის დამზადებელი) ბურუსი, გადაყარა ღრუბლები და ჩვენი (ეროვნული) ცნობიერება გამოათხიზლა. დიახ, დღეს ბუერსაც ერთნაირად გვწამს ჩვენს ჩვენის ქვეყნის მომავალი“ (ილია).

დიახ, დიად ასეთ შემთხვევებში უახლოვდება „სწორედ“ სიტყვის მნიშვნელობას. „სწორედ“ კი ჩართულია.

შევადაროთ:

— ეგენი კაცები კი არა, ნამდვილი ქაჯები ყოფილან — ქაჯები!

— სწორედ, მართალსა ბრძანებთ(ყაზბეგი).

მიგებთი ნაწილაკი გამოხატაჟს არა პასუხს დამმულ კითხვაზე, არამედ თანხმობას, მაგრამ ეს თანხმობაც თავისი ელფერით განსხვავდება ერთმანეთისაგან. შევადაროთ:

1. „— რაც უნდა იყოს, მამასავეთ გპატრონობთ.

— დიად, შენი კირიმე, სწორედ მამა ბრძანდებით და ჩვენ შეიღებო ვართ“ (ილია).

2. — „დათო, ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ?...

— დიად, შენი კირიმე“ (ილია).

მეორე წინადადებაში გამოყენებული დადასტურებულ ნაწილაკი დიად განსხვავდება პირველი წინადადების დიად ნაწილაკისაგან თავისი შეფერილობით. დიად ნაწილაკი (მე-2 წინადადებაში) არის თანხმობის გამომხატველი, მაგრამ ეს თანხმობა აუცილებლობითაა გამოწვეული. მთქმელი, შეკითხვის მიმცემი აუცილებლად დადასტურებით პასუხს მოელის მოპასუხისაგან. ანალოგიურია ეს მაგალითიც.

— ამ წინაზედ რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა, ხომ ვახსოვთ?

— დიად, მიუგეს ერთ-ხმით ცოლ-ქმარმა.

— იმ დღეს თურმე გველეშაპი გამოსდგომოდა მზესა, — ისიც ხომ ვაივით?

— დიად, დიად, ვავიგეთი — წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმა (ილია).

დიად ნაწილაკის გამოყენება განპირობებულია წინადადებებში ხომ ნაწილაკის ხმარებით. „ხომ (პომ), ხო (პო) გამოხატავს კითხვას, რომელზედაც დადასტურებით პასუხს მოელიან „ხომ წაივია?“ (ა. შანიძე).

მიგებით ნაწილაკებს „თანხმობისას“ ხშირად კატეგორიული ტონი არ ახლავს, თითქოს არც თანხმობაა, არც დასტური, რაღაც თავშეკავება, კოჰმანი იგრძნობა. ეს უმეტესწილად მაშინაა მკვეთარი გამოვლენილი, როცა დადასტურებით ნაწილაკს ახლავს მაკავშირებელი „მაგრამ“. მაგრამ თავისი ფუნქციით მაპირისპირებელია. თითქოს დასტურს. თანხმობას, კი-ს, დიან-ს რაღაც უპირისპირდება, რომელიც ნაწილობრივ აქარწყლებს თანხმობას, მაგ.:

„როგორადაც არ უნდა გამეცუტა ადამიანი მის თვალში, ოვი უციფლოდ შემომავებებდა ასეთ თქმას:

„...პო, მაგრამ... ადამიანი რთული არსებაა!!! (გამსახურდია).“

შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ი

შორისდებული ადამიანის სულიერი განწყობილების, გრძნობის გამომხატველია. „ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება სხვადასხვაგვარად შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა გუნენაზეა კაცი ან რა თვალსაზრისით უცქერის მოვლენას. ამიტომ გრძნობათა გამომხატველ შორისდებულებში სუბიექტური შეფასებაა ყოველთვის მოცემული“ (ა. შანიძე). შორისდებულებით ზუსტად ვიგებთ სუბიექტის მიერ გამოხატულ მწუხარებასა თუ სიხარულს, სინანულსა თუ ალტაცენას, ზიზღსა თუ მოწონებას, გაყვირვებსა თუ ნატვრას, გაჯავრებასა თუ შეცოდებას. შორისდებულის ძალა ზოგჯერ წინადადებაზე დიდია, ამიტომ აძლევენ ენათმეცნიერები შორისდებულს ასეთ

შეფასებას: შორისდებული მეტია წინადადებაზე „არა სინტაქსურისა თუ მორფოლოგიურის თვალსაზრისით, არამედ... მნიშვნელობის თვალსაზრისით“ (არნ. ჩიქობავა).

აღამიანთა განცდებიდან გამომდინარე იმდენად მრავალფეროვანია შორისდებულები, რომ მათი სიძლიერის გამოხატვა მთელი სისრულით ზეპირი მეტყველებით უფრო მიიღწევა. ერთი და იმავე შორისდებულს განსხვავებული ინტონაციით წარმოთქმა განსხვავებულ ელფერს აძლევს სათქმელს. სტილური თვალსაზრისით საინტერესოა ისეთი შორისდებულები, რომლებიც ერთნაირი ბგერითი შედგენილობის არიან, მაგრამ სხვადასხვა გარდობას გადმოგვცემენ. ამ შორისდებულთა ერთმანეთისაგან გარჩევას განაპირობებს კონტექსტი, მაგალითები:

— ახ! გადმოგვცემს:

ა) მწუხარებას:

„ახ, ღმერთო რატომ არ ჩამოგვეხსნებიან, რა უნდათ ჩვენგან, რა?... — მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა“ (ყაზბეგი).

ბ) ნატვრას:

„ახ, ჩემი ხანწალი მქონოდა!“ (ვაჟა).

გ) დარღს:

„როცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბილახს, ყვავილებს, მღინარეს თუ მოუსვენარს, დაუღალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიოსრებენ და ცრემლსა ღვრიან. ჩვენ, კაცნი, მაშინ ვამბობთ: „ახ, რა შიშე ლოღოვით ნალექი მაწევს გულზეო“ (ვაჟა).

აჰუ, ააუ, აუ — გამოხატავს:

ა) გაკვირვებას:

„აჰუ... მაშ ელგუჯამ გაჰბედა? ელგუჯამა?!“ (ყაზბეგი).

„აჰუ მაგას როგორ ამბობ?! შენც რომ არ გენდო, მაშ ვილას ეენდო?“ (ყაზბეგი).

„ააუ... პირი რაოდენად დაუღია, — გაიკვირვა იმან“ (ყაზბეგი).

ბ) შიშს:

„აუ, ბედშავო ჩემო თავო, მე კი ვული ვაშიხეთქე — და, რალა გამაჩქე-ბისა?“ (ყაზბეგი).

ოჰ ა) მოწონებას, აღერსს:

„ოჰ, თევზები, დედილო, თევზები! რა კარგებია, კრელები — ამბობდნენ ბავშვები და თან ხელებს უსვამდნენ და საკონცენტრაციო ელამუნებოდნენ“ (ვაჟა).

ბ) გაოცებას:

„ოჰ, ოჰ ოჰო! გაიოცა ბეჟიამ და ტაში შემოჰკრა“ (ყაზბეგი).

გ) დანანებას:

„ოჰ, რამდენი გამოცდილება მაქვია ჯერ კიდევ, მე საცოდავსა“ (ვაჟა).

ღ) მწუხარებას:

„ოჰ, დიდად ვწუხვარ! — მიპასუხა მან“ (ნ. ლომოური).

ე) ნატვრას:

„ოჰ, თუ კი ჩემს შვილს ვნახავდი თვლით, თუნდ მაშინვე მომკვდარიყავ!“ (ვაჟა).

ვ) გაჯავრებას:

„ჰე! — ნიშნის მოგებით წარმოსთქვა გიორგიმ, — ეგ ძალიც ჩაქვდა“ (ყაზბეგი).

ჰე! — ა) ნიშნის მოგებას:

„ოჰ ოჰ, ჩამწარდა წუთისოფელი, სიცოცხლე შხამი გახდა შენს ხელში, დედაკაცო!“ (ვაჟა).

ბ) ავტორის მიერ მრავალმნიშვნელოვნად არის ნახმარი:

„ჰე, შენ რაც უნდა სთქვა, მკითხველო, და ამ ცოლ-ქმარს კი ეგონა, რომ თუ მუცელი მაძლარი აქვთ, ამ-გვარ ყმების მოხმარების ცოდნისაგან აქვთ“ (ილია).

— აა! ა) სიხარული:

„— აა! — სიხარულით შესძახა იმან: — ახლაც წამიხვალ?“ (ყაზბეგი)

ბ) დანანება:

„— ა, ბედშავ ვაჟაო!... სულ არ დაუხერხეთო!... ამისათვის ყოფილა დედის ძეძუ, ალალი!...“ (ყაზბეგი).

ადამიანის გაცინებას შეიძლება სხვადასხვა ნიუანსი ახლდეს: პოროტად გაცინება, მწარედ გაცინება. მაგალითები:

ჰა, ჰა, ჰა, ჰა (ეჰ, ჰე, ჰე) — „და თქვენც დაუჯერეთ? ჰა, ჰა, ჰა, ჰა? — ბოროტად გაიხარხარა ნუგზარმა“ (ყაზბეგი).

„გიხარიათ, გიხარიათ განა?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა — მწარედ გაიხარხარა ონისემ და გაქჟანდა მტრის ბინისაკენ“ (ყაზბეგი).

„— შემდეგში? — იკითხა იმან და მწარედ ჩაიციხა: შემდეგშიმ ეჰ, ჰე, ჰე, ჰე! (ყაზბეგი).

„შეიარაღებულიო... ჰა, ჰა, ჰა, — დასცინა ჯარის მოთავემ“ (ყაზბეგი).

ჰაი, ჰაი ა) გამოხატავს სინანულს: —

„— ჰაი, ჰაი, რომ ვუთხარი“ (ყაზბეგი).

ბ) დადასტურებითი, თანხმობითი ნაწილაკის („დიახ“, „სწორედ“) როლში გვევლინება:

„— ეხლა გვეწვიენენ, თუ თავი მოსძულებით!... კარგი ! ტუმრები არიან, მაგრამ, ლეთის მადლმა, ჩვენც კარგი მასპინძლები დაეუხვდებით.

„ჰაი, ჰაი, რომ დაეუხვდებით! — იყო პასუხი (ყაზბეგი).

— მაშ, აქაც ლაპარაკობენ ჩერქეზულად?

— რად არა!.. ჰაი, ჰაი, რომ ლაპარაკობენ“ (ყაზბეგი).

შორისდებულმა ზოგჯერ შეიძლება უარყოფითი ნაწილაკის „არა“-ს ფუნქცია იკისროს, გამოსატოს კითხვისა თუ გამოთქმული აზრისადმი დაუთანხმებლობა. შორისდებულთ გამოსატული უარყოფა უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვეულებრივ უარყოფითობის „არა“ ნაწილაკით, შევადაროთ ერთმანეთს:

1. „ — ჩემს რჩევას არ იჯერებ? — უკანასკნელად ჰკითხა სვიმონმა.

— აჰ, გავათავოთ მაგაზედ ლაპარაკი“ (ყაზბეგი).

2. — არა, გავათავოთ მაგაზედ ლაპარაკი.

შორისდებულების ორმაგად ხმარებით, მისი განმეორებით ემოცია ძლიერდება. ყველა სახის შორისდებულის განმეორებაა შესაძლებელი.

ს ბ მ ბ რ ჯ ი მ მ: გაარჩიეთ, თითოეული შორისდებული რა მნიშვნელობა უნდა ნახმარი.

ა) „— ვაჰმე, ვაჰმე, ნემო პაპავ, რამდენი წყლულები გქონია! როგორ არ შეეძლოდნე იმ წყეულებს“ (ვაჟა).

ბ) „ვაი, ჩვენო სიციოცხლეე. ვაი, ჩვენო ყოფაე! ვინღებთ და ვინღებთ სხვის მად, სხვის საკმელად, სხვის ტყლაპად“ (ვაჟა).

გ) „ვაი, ნეტავი ეხლა ჩემი თამრო დამანახვა“ (ილია).

დ) „ვაი, თუ შეშინდით! მეთვალყურე შესიდო...“ (აკაკი).

ე) „ვაჰმე, თუ დივირა დედაჩემი და თავის აღმასის კბილებით სწეწს! (ვაჟა).

ვ) „დედაჩემმა ერთი კი ამოიკენესა და წაიქცა. ვფხმე მე იქვე გავისხიბე“ (ილია).

